ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲡᲐᲯᲐᲠᲑᲭᲘᲚᲝ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ
ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲣᲢᲣ ᲯᲔᲯᲠᲔᲚᲘ
ᲕᲐᲠᲯᲘᲔᲜ ᲩᲐᲮᲔᲚᲘ

ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1981

14

Г 1
899.962.1—82
Ґ 272

შეადგინა, წინასიტყვაობა და
შენიშვნები დაურთო

ლილი გოგოსიამ

70803 — 51
Ц————————70—81
М-603(08) — 81

ცახელი ფსევდონიმია პარმენ თვალჭრელიძისა. პარმენ თვალჭრელიძე იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე. იგი ღიღსანს ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ქუთაისის ეაჟოა კლასიკურ გიმნაზიასა და წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში. წერდა ლექსებს, პოემებს, თარგმნიდა ევგენ-არაკებს. 1904—1905 წლებში მონაწილეობდა სასალსო მოძრაობაში. მის ბინას ხიფ ოფიცრებდნენ რევოლუციონერები. თვითონ ავრცელებდა რევოლუციურ პროკლამაციებს, პოლიტიკურ წიგნებს, ისასავდა თარგლს.

პარმენ თვალჭრელიძე 1866 წელს დაბადებულა რაჭაში, სოფელ ცახეში. მამამისი ივანე მღვდელი ყოფილა. პარმენისთვის წერა-კითხვა შინ უსწავლებიათ. ცხრა წლისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ. ათი წლისა უფროს ძმას ანტონს სტავროპოლში წაუყვანია. სტავროპოლში იგი ექვსკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში შესულა. საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პარმენი რაჭაში დაბრუნებულა. 1883 წელს თბილისში გადმოსულა ბიცსოვრებლად. სწორედ ამ წელიწადს გამოაქვეყნა მან საბავშვო ჟურნალ „ნობათში“ პირველი ლექსი „მარინე“, რომელიც სალსური ლეგენდის საფუძველზე იყო შექმნილი. „ღირსეულ ლეგენდას ხალხისას ღირსეული კალამი შესაფერია და მშვენიერი ნაწარმოები შეუმატნია ჩვენი ლიტერატურისათვის“. — წერდა ამ ლექსის თაობაზე მაშინ იაკობ გოგებაშვილი. მაგრამ „მარინე“ მას საბავშვო ნაწარმოებად არ მიაჩნდა... „იგი საბავშვო არ არის და მისი დაბეჭდვა „ნობათში“ ცოტა უადგილო იყო“.

პარმენ ცახელი თბილისში მასწავლებლის ადგილს ეძებდა თურმე. ამ მიზნით გადაუწყვეტია მასწავლებლობის უფლების მისაღებად გამოცდების ჩაბარება, მაგრამ ვერ მოუსერხებია და ისევ სტავროპოლში გამგზავრებულა. ხმის, შემწეობით იქ ჩაუბარებია საათანადო გამოცდები და მასწავლებლობის უფლება მიუღია. პედაგოგიური მოღვაწეობა დაუწყია სტავროპოლის გუბერნიის სოფელ ბეშპაგირში. სოფელში სოფლის მეურნეობით დაინტერესებულა და ერთი წლის შემდეგ მოსკოვს გამგზავრებულა. იქ შესულა პეტროვ-რაზუმოვის სასოფლო-საეურნეო აკადემიაში უმაღლესი აგრონომიული განათლების მისაღებად. უსახსრობისა გამო აკადემია არ დაუმთავრებია, ისე დაბრუნებულა საქართველოში.

ქუთაისში ცასელს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა 1903 წელს დაუწყია და სიკვდილამდე არ მიუტოვებია. იგი მოუკლავთ 1919 წლის 31 აგვისტოს ქუთაისის მასლობლად ბოროტმოქმედთ.

ცასელი თავის მოსწავლეებს ძალიან პყვარებიათ. პყვარებიათ, რადგან იგი ყოფილა გულისსმიერი, დაუზარელი, სამართლიანი, სსვისი ჭირის გამზიარებელი, უშურველი, კაცთმოყვარე.

„ჩვენს დროს გიმნაზიაში უკეთესი მასწავლებელი არა გვყოლია, ის იყო ჩვენი სულის ჩამდგმელი, ჩვენი მამა, ჩვენი პატრონი, დამცველი და გამამსნეველი.“ — წერდნენ მისი მოწაფეები.

იგი დასვენების დღეებში ოცეს უყრიდა თურმე მოსწავლეებს და ესაუბრებოდა ქართველი ერის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

ცასელს დიდი სიყვარულით იგონებდნენ: ვანო წულუკიძე, დოდო ანთაძე, პაველ კანდელაკი, მიტროფანე ლაღიძე, დიმიტრი თულაშვილი და სსვანი.

ცასელს, როგორც კარგ მასწავლებელს, სამშობლოს მოყვარულს იგონებს აკადემიკოსი სიმონ ყაუსხიშვილი.

„მე ვსწავლობდი ქუთაისში, ე. წ. კლასიკურ გიმნასიაში, სადაც ქართულ ენას დათმობილი პქონდა კვირაში ერთი საათი. ისიც მეექვსე გაკვეთილი. მაგრამ კარგი მასწავლებლები გვყავდა (პ. ცასელი, ცნობილი მწერალი, ს. ყიფიანი და სსვები). ისინი გვინერგავდნენ საქართველოს ისტორიის სიყვარულს. მათი რჩევით დავამუშავეთ მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია“ (ს. ღოღობერიძის მიერ თარგმნილი), რომელიც არსებითად „ქართლის ცსოვრების“ ეპიზოდების მოყოლას წარმოადგენს“, — წერს იგი.

ცასელს საამური საუბარი სცოდნია. წყნარი და სასიამოვნო სმა პქონია. მის გაკვეთილებს, მის საუბრებს მოსწავლეები სულგანაბულნი უსმენდნენ ი ურმე.

„უნდა ნასოთ ცასელი, როდესაც ბავშვები გარს ესვევიან მას და ისიც ნელის ლიმილით, წყნარის სასიამოვნო სმით ებაასება მათ. უნდა ნასოთ, რა სულგანაბული უგდებენ მას ყურს მოწაფეები, როდესაც იგი სსნის ასალ გაკვეთილს, რა ცეცსლი ბრწყინავს მის თვალებში, როდესაც იგი გრძნობს, რომ აფართოვებს ბავშვების შეგნებას. ყველა ეს უნდა ნასოთ და, მაშინ შეგიყვარდებათ პოეტი, მაშინ დააფასებთ მას, როგორც პედაგოგს და ადამიანს. მაშინ მისცდებით, რატომ უყვართ მოწაფეებს თავისი ცასელი“. — წერდნენ ცასელის მოწაფეები ჯერ კიდევ ცასელის სიცოცსლეში.

ცასელი მოწაფეებისთვის ყოველ მხრივ მისაბაძი ადამიანი ყოფილა.

მას ერთი მოწაფე პყოლია, ფრიად შეუსმენელი. რამდენჯერმე გადაურჩენია იგი სასწავლებლიდან გარიცსვისაგან. სსვა „სიკეთესთან“ ერთად ის მოწაფე თამბაქოსაც ეწეოდა თურმე.

ერთ დღეს ცასელს კლასში დიდსანს ულაპარაკია თამბაქოს მავნეობაზე. ის მოწაფე ჯერ თავისთვის ჩუმად იცინოდა თურმე. მერე სმამაღლა გაუცინია და უტიფრად უთქვამს მოსწავლეებისთვის, ჩვენი პატივცემული მასწავლებელი თვითონ კი კარგად ეწევა თამბაქოსო. კლასი აჩოჩქოლებულა, როგორ ბედავო. ცა-

ხელს ყმაწვილები დაუწყნარებია, თქვენი ამხანაგი მართალია და სიტყვას გაძლევთ, დღეიდან აღარ მოუწევო. ის იყო და ისა. იმ დღიდან თამბაქო აღარ მოუწევია. მოსწავლეებს კი შეახსენებდა, ვაშა იმ მოსწავლეს, რომელმაც მოსთხოვა მასწავლებელს, კარგი მაგალითით დაუმტკიცოს სიმართლე იმ ვალდებულებისა, რასაც სთხოვს მას თვით მასწავლებელიო.

თავისი ლექსებითა და პოემებით ცასელი ყმაწვილებს სწავლისადმი, შრომისადმი სიყვარულს უნერგავდა.

სწავლისა და შრომისაკენ მოუწოდებდა პოეტი ყმაწვილებს, როცა ეუბნებოდა: „სწავლა სალსისათვის ბნელიდან ნათელს გამყვანი სადია, მომავალიც და იმისი აწმყოც იმაზე პკიდია“. ან „შრომა ახარებს კაცის გულს და ავარჯიშებს ღონესა, უქონელსა სძენს ქონებას, აძლევს ცოტას მქონესა“.

ცასელს ქვეყნის ერთგულად ის მიაჩნდა, „ვინც სალსში თესავს სწავლასა“. ამიტომ ლოცავდა მათ, ვინც მსნე მუშაკნი აღზარდა. „ამხნევებდა იაკობ გოგებაშვილს,“ როცა ის „შინაურ მტერმა დაწიხლა.“. აქებდა, ადიდებდა, ასალისებდა მათ, „ვინც რომ შრომაში, სწავლაში ბეჯითია და კარგია“.

სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარული გამოსატა პოეტმა, როცა წყველა-კრულვით მოისსენია სიტყვით ქვეყნის გულშემატკივარი და საქმით ურგები ადამიანი ლექსში „ზოგიერთებს“. როცა სალსურ თქმულებებს, ლეგენდებს უდებდა საფუძვლად თავის პოემებს: „მარინეს“, „ზაალს“, „ზარნაშოს“, „გურგენ-რაინდს“, „მთავარის სალებს“...

მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულითაა დაწერილი მისი ლექსები: „გასიფსული“, „ყვავილთ სიმღერა“, „შოშია“, „წყარო“.

ცასელის ლექსების უმეტესობა მიმართვაა, მოწოდებაა. პოეტი ელაპარაკება, ესაუბრება მკითხველს, მოუწოდებს მას. იმ ლექსებშიც კი, რომლებშიც ბუნების სურათს სატავს, მოწოდებაა, ყვავილები მიმართავენ მზეს: „ამოდი დილის მნათობო, ამოდი, ჩვენ შენ გელითო.“ შოშიას თვითონ მოუწოდებს: „კილო შესცვალე, მკვნესარო, სმას აუმაღლე ლსენითა და განმიკურნე მე გული, დღეს შეპყრობილი სენითა!“

ცასელი სშირად მიმართავს და მოუწოდებს ყმაწვილებს: „ნუ ზარმაცობ, აღდეგ ძილით“... „ხელსაქმეს ხელი მოეკიდოთ...“ „ებრძოლე ბოროტს, სანამ სარ, აღმოფსარ იგი ძირითა...“ „გაიმაშაცეთ მკლავები...“ პოეტი პოემებშიც, როცა მოუთხრობს ყმაწვილებს ამბავს, არ ივიწყებს რჩევა-დარიგებას, მიმართვა-მოწოდებას. მაგალითად, პოემას „შალვას თაეგადასავალი“, რომლის „აზრი და სურათები გადმოღებულია და გადმოკეთებული რუსულისგან“, წამძღვარებული აქვს მიმართვა:

თქვენთვის დავწერე ეს წიგნი,
ყრმებო, პატარა გვრიტებო,
და ძღვნად მიიღეთ თქვენ, ჩემო
ძვირფასო მარგალიტებო!

ცასელს სურდა, თავისი ლექსებითა და პოემებით, თავისი თარგმანებით ყმაწვილები გონებითა და გრძნობით გაეწვრთნა, გაელაშაოებინა.

ცასელს სშირად მიმართავდა იაკობ გოგებაშვილი.

ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილმა აკაკი წერეთელს სთხოვა, გადმოეთარგმნა მთელი რიგი ლექსები რუსულიდან ქართულად. 1889—90 წლებში აკაკიმ რუსულ ლექსთა მისედვით თითქმის ახალი პოეტური ნაწარმოებები შექმნა. დღეს ყველასათვის ცნობილი ლექსი „ვაშლი და შაქარა“ აკაკის ასე გადმოუგეთებია:

ფოთლებში გამოუყვია
თავი მწიფე ვაშლს შებრაწულს,
ქვეყიდან უშვრეტს ყმაწვილი
და რომ ვერ სწვდება, იტკენს გულს;

ამბობს: „ნეტავი ეს ვაშლი
თავისით ჩამოვარდესო!
ასე მომეცეს სიკეთე,
როგორც ეს გამისარდესო!“

თითქოს ქარმაო უსმინა —
სე შეარსია გრიალით,
ბუნწში მოსწყვიტა ნაყოფი,
ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.

ყმაწვილმა სელი დასტაცა,
ქარს მადლი უძღვნა გულითა
და სასლისაკენ მოპკურცხლა
აღვსილმა სისარულითა“.

1891 წელს „დედაენაში“ ლექსი გაუმჯობესებული სასით გამოქვეყნდა. თავიდან ორი სტროფი ასე შეიცვალა:

მაღლა ფოთლებში ელვარებს
ვაშლი სისხლივით წითელი,
მას აქეთ-იქით აქანებს
სიო საამო და ნელი.

დიდი სანია შესცქერის
მაღლა ვაშლს ცელქი შაქარა,
ოს, ნეტავ ერთი მოსწყდესო,
ამბობს თვის გულში პატარა.

ლექსი იაკობ გოგებაშვილს ცასელის დასმარებით შეუცვლია. აკაკი წერეთელს ლექსი მოსწონებია, მაგრამ 1893 წელს თავის „თხზულებანში“ არ შეუტანია.

ცახელი კარგად აგრძნობინებს ყმაწვილებს ბუნების მშვენებისა თუ მრისხანებას, თუ „ყვავილთ სიმღერაში“ იგი წერს:

„ზაფხულის ღამის წყვდიადთან
რიჟრაჟმა ოდსავ იომა,
ხძლია და ფოთლებს კეკლუცად
ნაუსავარდა სიომა.

უცბად მოცოცხლდნენ ყვავილნი,
რა მორჩნენ ბნელის ცქერასა
ერთად შეჯგუფეს თავები
და ასე მოპყენენ მღერასა...“

ლექსში „ბებია და შვილიშვილები“ ამბობს:

„ძალიან დაჭრილი მსეცეთით
ეამწარებულად მყვირალი,
მანდერად და მთაში გლოვის სმით
საზარლად ღმუის გრიგალი!..“

იაკობ გოგებაშვილს გაუთვალისწინებია ცახელის სიმარჯვე ბუნების სურათების სატვისა და უთსოვა, დაეწერა „დელაენისათვის“ ლექსი „რა დრეა?“

იმ სანად ცახელის საყმაწვილო ლექსები დიდად პოპულარული ყოფილა, თუმცა თავისთავს ცახელი პოეზიაში „მბეუტავ სანთელს“ აღარებდა.

• ■ •

დუტუ მეგრელი ის კაცია, ვინც ქართველ ბავშვებს „მე პატარა ქართველი ვარ“ ანუქა. „მე პატარა ქართველი ვარ“ ის ლექსია, ენის ამოდგმისთანავე რომ სწავლობს ბავშვი.

დუტუ მეგრელი ის კაცია, ვინც ქართველ ბავშვებს „ქინაქინა“ ანუქა. „ქინაქინა“ კი ის მოთხრობაა, რომელშიც მწერალს ბავშვის სისარული თუ საწუხარი ხაკუთარიეითა აქვს განცდილი.

გარდა ამ ლექსისა და მოთხრობისა, დუტუ მეგრელს ორმოცდაათი წლის მანძილზე, მოყოლებული 1888 წლიდან 1938 წლამდე, უწერია სხვა ლექსებიცა და მოთხრობებიც, პოემებიც, იგავ-არაკებიც, პუბლიცისტური წერილებიც, უთარგმნია უცხო მწერალთა ნაწარმოებებიც.

დუტუ მეგრელი 1867 წელს დაბადებულა სუჯუნაში. სუჯუნა აბაშის რაიონში ერთ-ერთი სოფელია, დუტუ გვარად სოშტარიაა. მეგრელი თვითონ შეურჩევია ფსევდონიმად ჭაბუკოაში, სახელად დამიტრი ერქვა, მაგრამ ყმაწვილობაში საალერსოდ დუტუს ეძახდნენ ოურმე და ეს სახელი დაიმკვიდრა მწერლობაში.

დუტუს მამა, თომა სოშტარია, სოფლის დიაკვანი ყოფილა. იგი დუტუს დაბადების მეორე წელიწადს გარდაცვლილა. დუტუ დედას, მარიამ (ლედუ) ვაგუას, გაუზრდია. დედა ყოფილა მისი პირველი მასწავლებელი.

„პირველი ჩემი მასწავლებელი თვითონ დედუ იყო, რომელსაც უნდოდა ქალაქად გავეზარდე და თავიდანვე ხუცური კითხვაც დამაწყებინა“. — იგონებდა შემდეგში დუტუ მეგრელი.

1877 წელს დუტუ ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებიათ.

გიმნაზიაში შესვლამდე ხან სუჯუნის სკოლაში უელია, ხან თავად დავით აბაშიძის შვილებთან ერთად შინამასწავლებელთან უმეცადინია სარაგოულში.

1887 წელს ოდესაში გამგზავრებულა სასწავლებლად. ნოვოროსიის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შესულა. სწავლის ჟამს დაუწყია ლექსების, მოთხრობების, წერილების გამოგზავნა იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთებისათვის.

1889 წელს საქართველოში დაბრუნებულა, რადგან ქლექით დაავადებულა.

1892 წელს, როცა მომჯობინებულა, ისევ გამგზავრებულა ღა უნივერსიტეტის სრული კურსი დაუმთავრებია.

1893 წელს დიპლომი აუღია და სამშობლოში დაბრუნებულა.

საძწუსაროდ, საქართველოში სამსახურის შოვნა გასჭირვებია და 1894 წელს ყარსის ოლქის ოლთისის მაზრაში დაუნიშნავთ გადასასადთა ინსპექტორად.

1897 წელს დუტუ მეგრელი და მწერალი ქალი ანასტასია ერისთავი დაქორწინებულან.

1900 წელს დუტუ მეგრელი ნასჭევანის მაზრაში გადაუყვანიათ ისევ გადასასადთა ინსპექტორად.

1903 წელს კი ერევანში გადასულა საგუბერნიო-საველსო საქმეთა საკრებულოს წევრად. უმუშავია საპატიო მომრიგებელ-მოსამართლედაც.

1917 წელს გადმოსულა საქართველოში. უმუშავია სსვადასსვა თანამდებობებზე.

დუტუ მეგრელი 1938 წელს გარდაიცვალა.

იგი დაკრძალულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დუტუ მეგრელი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, და როგორც უნდა ყოფილიყო, თავისი ქვეყნის, თავისი საქართველოს ცსოვრებით ცსოვრობდა.

„მოპკიდეთ, მოპკიდეთ მეცნიერებას ხელი, შეისწავლეთ და მით აღჭურვილნი წადით საქართველოში. ეს ყოვლად შემძლებელი ღონეა კაცის გაბედნიერებისა. იქნებ, თქვენ მაინც მიეხმაროთ სამშობლოს.“ — მიმართავს იგი 1890 წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველ სტუდენტობას.

1894 წელს ოლთისში მიმავალი წერს: „ენუგეშობ იმით, რომ ოლთისიც ერთ ღროს საქართველო იყო და ასლაც არის იქნება იქ ქართველობა და მივდივარ სიამოვნებით“. მივდიეარ სიამოვნებითო კი წერს, მაგრამ გულისტკივილით უთხოვება სამშობლოს: „მაშ ასე, ჩემო სამშობლოვ, უნდა მოგშორდე ეს არი ღა სხვაგან გადავისვეწო მარადის შენთვის მკვნესარი!“

ოლთისში მამულის სევდა რომ შემოაწვებოდა სოლმე, გასაქარვებლად ღედასთან ერთად ოლთისის ცისის ნანგრევებს ეწვეოდა. დედა-შვილი იგონებდნენ იმ ღროს, როცა ეს ცისესიმაგრე იდგა ეტკიცედ, ძლიერად. მოგონებაღა იყო სამშობლოზე დარდის გამაყუჩებელი.

სამშობლოზე ფიქრი ღა ნაღველი ღუტუ მეგრელს ყველგან თან სღეედა.

ჟურში ედგა „ქართული ენა და სამღვრენა, — სან გულამოსკვნით მწარე ქვითინი, სინ სიმამაცით აღსავსე სმები". მისი ნატვრა იყო, საცოცხლეს თუ არა სიკვდილს მაინც ღირსებოდა საქართველოში.

1903 წელს დუტუ მეგრელს ერევანში წაუკითხავს გაზეთ „იევრეის" 123-ე ნომერში ფელეტონი „ქუთათური რამე-რუმე". ფელეტონის ავტორი Amicus-ის ფსევდონიმით წერდა, რომ ზოგიერთ წარჩინებულ ევრეიშვილს მოუთხოვია, თაეიანთი შვილები გაეთავისუფლებინათ ქართული ენის გაკვეთილებიდან. ერთი ამბობდა. „საუმჯობესოდ მიმაჩნია, ჩემს ქალს ქართული აღარ ვასწავლო". მეორე მოითხოვდა, „უმორჩილესად ვსთხოვ სასწავლებლის უფროსს ჩემი შვილი ქართული ენის გაკვეთილებისაგან განათავისუფლოთ". დუტუ მეგრელი აღშფოთებულა და მაშინვე გამოუგზავნია წერილი „იევრეის" რედაქციაში. ეს წერილი გამოქვეყნდა 128-ე ნომერში. იგი წერდა: „ამას იქით წასვლა აღარ შეიძლება ზნეობრივ დაცემისა და გათახსირების გზაზე. ეს უკანასკნელი წერტილია აღამიანობისა, რომლის იქითაც ყოველივე აღამიანური ისპობა, და მსოლოდ სულმდაბალნი და ავაზაკნი უარყოფენ სალმე ოავის ვინაობას. თავის ეროვნების უარის ყოფაც, ეგივე ვინაობის უარის ყოფაა, სოლო ვინაობის უარის ყოფა სრული ზნეობრივი გაკოტრება, ინტელექტუალური სიკვდილია ყოველ ცალკე პიროვნებისათვის! თქვენს თავს რაც გინდათ უყავით, ბატონებო, და რა ნება ვქონეთ, რომ საუკუნოდ ამასინჯვებთ და აუბედურებთ თქვენს შვილებს, რომელნიც, იცოდეთ, მადლობას არ გეტყვიან მისთვის..."

დუტუ მეგრელი იმ ეპოქის შვილია, როცა მწერლის სიტყვას განსაკუთრებით პქონდა გამასვილებული აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როცა მსოლოდ ქართული მწერლობა პფენდა ნათელს ქართველობას.

დუტუ მეგრელის საბაეშვო ოთხრობები მორალურ-ზნეობრივი ხასიათისაა. მწერალს სურდა, მის მოთხრობებს ხელი შეეწყო ბავშვის სულიერი სრულყოფისათვის. იგი კეთილ თესლს თესდა, კეთილს უდებდა საწყისს. ამ მიზნით ხოტბას ასხამდა: გულკეთილობას, მცირედით კმაყოფილებას, სხვისი საკეთილ გასარეკას, ქველმოქმედებას, კაცთმოყვარეობას. წარმოაჩენდა ადამიანის შინაგან სულიერ სიფაქიზეს, ხალას დამოკიდებულებას ღედა-შვილს შორის, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მეუღლეებს შორის...

დუტუ მეგრელს თანამეღროვენი იგონებენ, როგორც წრფელსა და ალალ ადამიანშვილს. წრფელია მისი ლექსებიც.

ოცი წლისა იყო დუტუ მეგრელი, როცა წერდა: „დაე, ვაცოცხლო მაშ მეცა. ვიღრემდის ვისმე ვჭირდები". ოცი წლისას უკვე არჩეული პქონდა გზა ცხოვრებისა — ეცხოვრა ამქვეყნად სხვის შემწედ, სხვისი ჭირის გამზიარებლად.

ოცდათოთხმეტი წლის ასაკში „წმინდა ურძნობით გატაცებული" დუტუ მეგრელი ეალამს იმად პკიდებდა ხელს, რომ „ცხოველი, აზრიან სიტყვით" აღეფრთოვანებინა ერისთვის სული.

ერის მწარე სვეღრზე ჩაფიქრებულ დუტუ მეგრელს ერისთვის თავდადებული ადამიანები ამსნეველნენ.

იგი აღფრთოვანებული იყო დამიტრი ყიფიანით. „ივი ერი არ მომკვდარა,

არც მოკვდება, ვისაც შვილი ამისთანა პყოლია და ეყოლება“. — წერს დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში. მან დიმიტრი ყიფიანს სამი ლექსი უძღვნა. ერთი — 1889 წელს, მეორე — 1899 წელს, მესამეც — 1899 წელს, 24 ოქტომბერს, იმ დღეს, როცა დიმიტრი ყიფიანის საფლავზე ძეგლი გაიხსნა.

ღუტუ მეგრელს ლექსები მიძღვნილი აქვს ერეკლე მეორისადმი, ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, აკაკისადმი, ევნატე ნინოშვილისადმი, შამია გურიელისადმი, იაკობ ნიკოლაძისადმი...

ღუტუ მეგრელი ლექსებსა, პოემებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში ელოლიავება ქართულ სიტყვას, საქართველოს, „პატარძალივით ტურფად მკობალსა და სამოთხის მსგავსს იმის მშვენებას“. მას ასარებს „ათას ჭირისაგან გაუტეხელ“ საქართველოში „შამულისშვილთა თავგანწირული ბრძოლა მუდმივი და მამაცობა“, „სალსი მებრძოლი, სალსი გმირი სულს“ უნეტარებს. საქართველოში არა აქვს აღგილ-მამული, არა აქვს სასლი და კარი, „მაგრამ მთლად საქართველო სომ ჩვენი მამულია“, ამბობს იგი „წმინდა, წრფელ გრძნობით აღფრთოვანებული“ და „გარს შემორტყმულ ბნელს“ მცირე ნათელს პფენს.

მან იცის, რომ „ორბელიანის სამსატვრო ნიჭი“ არ მიუცია მისთვის განვებას, ორბელიანივით ვერ აღწერს „საქართველოს სიდიადეს და მშვენიერებას“. „არ მიმადლებია ბარათაშვილის „სულის კვეთება“, არც აკაკისებრ „სუბუქ ფრთითა აღმაფრენ“ ლექსთა წერა ძალუძს, „მაგრამ რა ვუყოთ? განა ბნელაში უბრალო ჭრაქიც არ სწევს სანთლობას?“

ეს „უბრალო ჭრაქი“ იყო არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე, დიდად ჭირთა მოთმენი ადამიანი, რომელსაც უყვარდა ოცნებით გატაცებული ჭაბუკი, უყვარდა დაბრძენებულ-დადინჯებული მოსუცი, მაგრამ ყველაზე უფრო უყვარდა პატარა ადამიანი — ჩვილი თუ უსუარი, ნინველი თუ ყმაწვილი. ჩვილის ულურტული როცა ესმოდა, ეჩვენებოდა, „თითქო ჩქეფსო წყარო ანკარა, თითქო ფრინველი უცნაური, ტკბილად მღერისო, თითქო ისმის სმა ზეციურის ჩანგის ულერისა!“ და სწამდა უკვდავებისა.

ბავშვების სიყვარულისა და სამშობლოს სიყვარულისა გამო წერდა იგი პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც ძრახავდა მანკიერებათა. 1902 წლის 24 ნოემბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულა ღუტუ მეგრელის წერილი „სამწუსარო ფაქტი“. წერილი ესება იმ სამწუსარო ფაქტს, ქართველს რომ ეროვნებას პკითხავენ და ის „ქართველი ვარო — კი არ ამბობს, არამედ გურული, მეგრელიო და სსვა“.

„...ვერაფერი სანუგეშო ფაქტია, რომ ღღესაც, ასის წლის შემდეგ, რაც საქართველომ თავისუფლების დაკარგვით მოიპოვა გაერთიანება, არ გვქონდეს შეგნებული, რომ ყოველი ქართველის სამშობლო მთელი საქართველოა და ყველა საქართველოს საზღვრებში მცსოვრები ეროვნებით ქართველია და არა ქართლელი, კასელი, გურული, მეგრელი, იმერელი და სსვანი“. — წერდა ივი.

მაშინ მას ყმაწვილებისათვის უკვე დაწერილი პქონდა და გამოქვეყნებული ეს მარად უბერებელი „მე პატარა ქართველი ვარ.“

ბავშვებზე ზრუნვისა ვამო გამოეკამაია ღუტუ მეგრელი იაკობ ეოვებაშვილს

წერილით „ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და ჟურნალი „ჯეჯილი“. გამოეკამათა იმ იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც თაყვანს სცემდა. მართალია, მაშინ შეცდა. ის წერილი, რომლის გამოც დაობდა, იაკობ გოგებაშვილს არ დაუწერია. იაკობ გოგებაშვილმა უპასუხა წერილითვე „ჯეჯილის“ ადვოკატსა“ და საქმეც გაირკვა. მაგრამ მთავარი აქ შეცდომა კი არ არის. მთავარი ისაა, რომ დუტუ მეგრელ. არ დაერიღა ბავშვებზე ზრუნვისა გამო ბავშვების ყველაზე დიდ მოამაგესაც.

როცა „ქინაქინას“ კითხულობ, ასე გგონია, სოფლის მასწავლებელი ეს „ახალგაზრდა, ცოტა გამხდარი კაცი“ მწერლის ავტოპორტრეტია. მასწავლებელს თვალი ყველაფერს სწვდება. ივი ამჩნევს კუთხეში მარტოდ მიმჯდარ პატარა ბიჭის მოწყენილობას, ერთი შეგირდის ჩამოსხეულ სახელოს, მეორის ფესვიტკაკვილს. შეგირდს ეკალს უღებს ფეხიდან, დაგვიანებულ პატარა მისას თავზე ხელს უსვამს, ფერშალი მიპყავს მისას დედასთან და მისასათვის საჩუქრად ხურათებიანი წიგნი მიაქვს.

ის მასწავლებელი დუტუ მეგრელს იმიტომ ეგონებს, რომ დუტუ მეგრელიც იმ მასწავლებელივით კარგად იცნობდა ბავშვის ბუნებას, იმ მასწავლებელივით უყვარდა ბავშვი, იმ მასწავლებელივით ხურდა, ეიქვა ბავშვისათვის: „ცოდნა უნდა მოისმაროთ, როცა საჭიროება მოიტანს“.

დუტუ მეგრელს უყვარდა ადამიანები, უყვარდა მეგობრები. ივი ეყო მართალი, გულწრფელი, იცოდა სსვისი დაფასება.

1903 წელს გაზეთ „ივერიის“ 65-ე ნომერში დუტუ მეგრელმა გამოაქვეყნა წერილი მისი გიმნაზიის მეგობრის პოეტ გრიშა აბაშიძის გარდაცვალების გამო. ეგი ეგონებდა:

„მე და გრიშა... ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ლექსების წერაში. (ჯერ კიდეე მესამე კლასში ჩვენ სელნაწერ გაზეთსაც ვცემდით, რომელსაც „სხივი“ ერქეა. შემდეგ „თარის“ გამოცემა დავიწყეთ, რომელიც სულ ლექსებისაგან შედგებოდა). ის მჯობნიდა... გრიშა ჩემზე ნაკითხი და განვითარებული იყო... მე მაშინ ეცდიღი პირველად ჩემს კალამს და გრიშას მადლობელი უნდა ვიყო, თუ ამ ცდამ უნაყოფოდ არ ჩამიარა... ბევრი ლექსი დაგვიწერია მაშინ ერთად და გამოგვეიარგმნია რუსულიდან... ერთად ვამზადებდით გაკვეთილებს, ერთად ვთამაშობდით... ერთიგული ამსანაგები ვიყავით ერთმანეთისა და შუა ვიყოფდით ყოველსავე ჭირსა და ლხენას“.

ადამიანთა ჭირისა და ლხინის გაზიარებით გამოსატავდა დუტუ მეგრელი ადამიანებისადმი უდიდეს სიყვარულს. ადამიანებისადმი სიყვარულისა გამო ეყო, რომ დუტუ მეგრელს ღიდად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ახალგაზრდები.

„მახსოვს, როგორი მოუთმენლობით მოელოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები ყოველ მის ლექსს, ყოველ მის მოთხრობას.

დუტუს ნაწარმოებები ჩვენ გვსიბლავდა მისი მსურვალე სიყვარულიო სამშობლოსადმი, მოწოდებით თავისუფლებისაკენ, სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის ბრძოლისაკენ, მისი ჰუმანური იდეები და, რაც მთავარია, მისი მეზნებარე ტემპერამენტი“. — ეგონებდა მწერალი ალოლტე ვართაგავა.

დუტუ მეგრელი საყმაწვილო ჟურნალების „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“

ერთგული თანამშრომელი იყო. ზრუნვასა და გულისყურს არასოდეს აკლებდა საყმაწვილო ლიტერატურას.

დუტუ მეგრელის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი ნინო ნაკაშიძე მას ასე იგონებდა:

„არიან ისეთი ადამიანები, რომელთა გარდაცვალებას დიდ დანაკლისად კრძნობთ, თითქოს გარემო შოწყენილია, რომ ისინი აღარ არიან ჩვენთან, არ ვეესაუბრებიან, არ იცინიან და აღარ უყვართ ის, რაც უყვარდათ. გწყინს, რატომ მოიშალა ჩვენთვის სიყვარული, მათი სიცოცხლის სალისი, რომლებიც ჩვენ გვასალისებდა. ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა საბავშვო ლიტერატურის მეგობარი დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია)... თვალებგაბრწყინებული, ალერსიანი ადამიანი“.

დილის ლექსი

ნუ ზარმაცობ, აღდეგ ძილით,
დაიბანე პირი დილით,
პირუბანელს ხალხი უცქერს
თან ზიზღით და თან სიცილით.

დაირეცხე კბილი, ღრძილი,
მთლად დაიფრთხე ტკბილი ძილი
და შესთხოვე შენს ქვეყანას,
შეგიყვაროს თვისი შვილი.

დიდხანს წოლა არას გარგებს,
შენს თავს ყველას შეაძაგებს,
სიფხიზლე და ბეჯითობა
ყველას შენს თავს შეაყვარებს.

ვინც თავს აძლევს ხშირად ძილსა,
ვერ ისწავლის გაკვეთილსა
და დედ-მამაც შეიძულებს
იმისთანა ზარმაც შვილსა.

ვინც რომ ცუდად იქცეოდეს,
მას ნუ ჰბაძავ ნურასოდეს,
მას შეუდექ და მიენდე,
ვინც სწავლობდეს და ვარგოდეს.

ყური უგდე მასწავლებელს,
რომ გისსნიან გაკვეთილებს,
მაშინ ყველა ხელს შეგიწყობს
შენ, მშრომელს და მეცადინეს.

შენ ადგომა დაგეზარა
და ვერ წახველ კლასში ჩქარა,
სკოლაში კი შეიკრიბნენ,
სწავლისათვის დაჰკრეს ზარა.

ნუ ზარმაცობ, აღდეგ ძილით,
დაიბანე პირი დილით,
სკოლისაკენ გაემართე
ხალისითა და ღიმილით!

1882 წ.

მაკერავი გოგოცუნეების სიმღერა

დროს ნულარ ვკარგავთ, სწორებო,
მზემ ცაში იწყო ნავარდი,
დილის ნიავმა გაფურჩქნა
ცისფერი ია და ვარდი.

ხელსაქმეს ხელი მოვკიდოთ,
ტკბილად დავმღეროთ ერთიცა;
შრომისთვის კაცი დაგვლოცავს
და მოგვიწონებს ხალხიცა.

შრომა ახარებს კაცის გულს
და ავარჯიშებს ღონესა,
უქონელია სძენს ქონებას,
მეტს აძლევს ცოტას მქონესა.

საქმეს შეეუდგეთ, სწორებო,
ხელიხელგადახვეულნი.
სწავლისთვის, მარტო სწავლისთვის
ვართ აქ ყველანი მოსულნი.

ვინც რომ შრომაში, სწავლაში
ბეჯითია და ვარგია,
იგი ყველასთან ყოველთვის
ამხანაგადაც კარგია.

კეთილი საქმე ყოველთვის
შავ სიღარიბის მტერია:
ვინც წმინდა საქმეს ჯანს ახმარს,
ყველა მის მადლიერია.

1883 წ.

გეგია და მისი შვილიშვილები

მძიმედ დაჭრილი მხეცივით
გამწარებულად მყვირალი,
მინდვრად და მთაში გლოვის ხმით
საზარლად ღმუის გრიგალი!

ხან რისხვით დაიგრიალებს,
თოვლსა ხვეტს მინდორ-ველადა
და ხეებს, ჩაფიქრებულებს,
აკვნესებს გულსაწველადა!

ხან კი კარსუკან ქვითინებს,
თითქოს სიცივით კვდებაო,
და სახლში გასათბობელად
შემოსვლას გევედრებაო.

ცეცხლის პირს დამშვიდებული
ზის და საუბრობს ბებია;
მისი ხელობა ზღაპრები
და ძველი არაკებია.

მას ყურს უგდებენ მდუმარედ
იმისი შვილიშვილები,
გუგულებივით მის გვერდით
საყვარლად ჩასხდომილები.

ხან ჩააფიქრებთ ზღაპრები,
ხან წყნარად ჩაეცინებათ,
და რა სძლევთ ძილი, — ბებიის
მუხლებზე მიეძინებათ.

1881 წ.

ყმაწვილი და ჩიტი

გახარებული ყმაწვილი
მწვანე ბუჩქის ძირს ჯდებოდა
და მისგან დატყვევებულ ჩიტს
ალერსით ეუბნებოდა:
„დიდი ხნით ვუდარაჯებდი,
ჩიტო, შენს ბუდეს ველშიო
და ეხლა უკანასკნელად
მარჯვედ მოვიგდე ხელშიო.
წივიან შენი ბარტყები,

საკენკსა სთხოვენ ყველასო,
ხედავ და გული გიკვდება,
მაგრამ კერ შესძლებ შველასო.
ტყვილა ცდილობენ გაფრენას
ეგ შენი საბრალონიო,
ვერ დამძვრებიან ხელიდან
უფრთო და უბუმბულონიო.“
ამ დროს უეცრად მამალი
ჩიტი შემოჯდა ტოტზედა
და მოთქმა იწყო სევდის ხმით
საბრალო დედა ჩიტზედა.
ყმაწვილს ეტყოდა: „გახსოვდეს,
რომ შენაცა გყავს დედაო,
რომელიც ყოველ წამს ფიქრობს
საყვარელ შვილებზედაო.
რა გენაღვლება, ვიცხოვროთ
ჩვენაც ამ ქვეყანაშიო,
ტკბილის ჭიკჭიკით დაგატკბოთ
და ვინავარდოთ ცაშიო?!
დატყვევებული გაუშვი,
გახადე თავისუფალი,
ისემც მოასწრებს შენს მშობლებს
შენს ბედს და იღბალს უფალი!“
მეტად შესწყალდა ყმაწვილსა
ჩიტუნა საბრალობელი
და მოაგონდა იმავ წამს
თავის ძვირფასი მშობელი.
იფიქრა: „როგორც მე მიყვარს
ჩემი ძვირფასი დედაო,
ისე შესტკივათ გულები
წვრილ შვილებს ამაზედაო.
არა, გაუშვებ ჩიტუნას!
დაე, იფრინოს ცაშიო,
იხაროს, იმხიარულოს
პაწაწინების ზრდაშიო.

ასწავლის თავის შვილებსა
ეს მღერას ეშმაკურსაო
და მათი ნარნარი ხმები
დამიამებენ გულსაო!“
რა გაათავა ეს ფიქრი,
ხელი გაუშვა ფრინველსა
და მხიარულმა ჩიტუნამ
გაუნავარდა ტყე-ველსა.
განთავისუფლებისათვის
ყმაწვილს შესწირა მადლობა,
დაჯდა ბუდის პირს და ნაზმა
ტკბილად დაიწყო გალობა.

1884 წ.

მძინარე დედა

სარკმლიდანა მთვარის შუქი
დაღონებით იყურება
და მშრომელის ღარიბ ლოგინს
ეკრობა და ეწურება.

ძველ კონკებში გახვეული,
მას ყმაწვილი უწვდის ხელებს,
შეჰტიტინებს „აღუ-აღუს“,
ღუღუნებს და შეღიმილებს.

და მნათობიც ტანჯვის შვილსა
მხიარულად დაჰხარის თავს,
ტუჩში ჰკოცნის, უკამათლებს
სხივებსა და გულში იკრავს.

ყმაწვილთანვე მიწოლილი
ძილში ბოდავს მისი დედა
და ვინ იცის, ტანჯულ ძილში
რაზედ ფიქრობს, ან ვისზედა.

ჯაფისაგან დასუსტებულს,
საცოდავს და შესაბრალებს,
არვინ იცის, შიგნით გულში
რა ცეცხლებიც უტრიალებს.

ფერმიხდილი, გულმოკლული
შრომისაგან განისვენებს,
მაგრამ შიმშილი და ხვედრთან
ბრძოლა ძილშიც არ ასვენებს.

ბევრი ტანჯვის განაცადი
ზეზეურად ჩამომდნარა,
დაუცია უმართლობას,
მაგრამ ჯერეთ არ მომკვდარა.

არც მოკვდება!—თუმც კი ტანჯვა
ციდევ ელის მას მრავალი,
მაგრამ ყველამ რად არ იცით,
რომ მისია მომავალი!

იმისთვისაც გათენდება
და დადგება გაზაფხული,
ხვალ ნაყოფებს გამოიღებს
დღეს ნაოესი მიწა-ხნული!

ხელში მარდად ნამგალს იგდებს,
რა იშოვნის იგი ალოს,
და გმირულად გამოთიბავს
პურში ვამორეულ ღვალოს!

ძირიანად ამოაგდებს
კეთილ თესლის წამჩრდილველსა
და მომავლით გაიხარებს,
დაივიწყებს წარსულ ძველსა!

ვით დღემდე სხვებს გაუღიმებს
გაზაფხულზედ მასაც ბედი
და ყოველ მხრივ იამაყებს
თავმომწონე, ვითა გედი!

1884 წ.

ახალი წელი

ახალმა წელმა მცინარედ
მოუკაკუნა კარებსა
და დაიძახა: „იფხიზლეთ,
ნუღარა ხუჭავთ თვალებსა.

ფარულად მოიპარება
თქვენსკენა მომავალიო
და მასთან შეყრა გულწრფელად
აწ არის თქვენი ვალიო.

გაიმამაცეთ მკლავები,
ქუდი მიარტყით ჭერსაო,
ახალს ახალი მოსთხოვეთ,
წესი აუგეთ ძველსაო!“

1884 წ.

ყვავილთ სიმღერა

ზაფხულის ღამის წყვდიადთან
რიჟრაჟმა ოდნავ იომა, —
სძლია და ფოთლებს კეკლუცად
ჩაუნავარდა სიომა.
უცბად მოცოცხლდნენ ყვავილნი,
რა მორჩნენ ბნელის ცქერასა,
ერთად შეჯგუფეს თავები
და ასე მოჰყვენ მღერასა:
„აღმოსავლეთით ამოდის
ტკბილი ვარსკვლავი ცისკრისო
და მისგან შემკრთალს ბნელს გულზე
ოფლი გადასკდა სიმწრისო.
ჩვენ კი ღამეებს, შავბნელებს,
იმის ლოდინში ვათევთო,
და როს ვიხილავთ მას ცაზე,
ხმელეთს ტკბილ სუნით ვაკმევთო!
იმას შეჰღიმის ქვეყანა
საგრძნობლად, სასოებითო
და უმღერიან ფრთოსნები
ათასნაირი ხმებითო.
ბნელს კი, იმისგან განდევნილს
თითქოს რომ გული სწყდებაო,
და მუდამ ნათლის მმუსრავი
ჯავრით და ბრაზით კვდებაო.
ამოდი, დილის მნათობო,
ამოდი, ჩვენ შენ გელითო,
და მოგვალხინე სინათლით,
მოცულნი ღამის ბნელითო!

1884 წ.

რუ ყინულქვეშ

მარტომყოფობამ დამჩაგრა
და მოშაძულა თავბედი,
და სულის დასამშვიდებლად
ნაცნობ რუს პირად განვედი,
ეს რუ ზაფხულზე მთებიდან
ჩანჩქერით ჩამოდიოდა,
და ქვებზე მისი ზვირთები,
ვით მარგალიტი, ცვიოდა.
შესთამაშებდა ნაზ ბუჩქებს,
მის კიდეს გადმოყრდნობილებს.
ლა პირსა ბანდა შხეფებით
ყვავილებს, ჯგუფად წყობილებს.
ბულბულის სტვენა ბუჩქიდან
შორით შორს გაისმებოდა,
მას ყურს უგდებდა ტყე-ველი
და ნაზი ხმებით ტკბებოდა.
მაგრამ დღეს აღარ ამშვენებს
მის კიდეს ყვავილთა გროვა,
და ყინულის ქვეშ მომწყვდეულს
თავს აწევს ჭმუნვა და გლოვა.
მიწიდან ისმის იმისი
ჩაფიქრებული დუდუნი,
ხან ნაღვლით ამოძახილი
და ხან კი მშვიდი ღუღუნი.
დავჩერებივარ მას თავზე
და ვფიქრობ: „წავა ზამთარი,
კვლავ გაცოცხლდება ბუნება,
მნათობის სხივით გამთბარი.
გამოიღვიძებს ჩემი რუც,
მოიკაზმება ლამაზად,
და იადონიც დასძახებს
ნაპირზე ნაზად და ნაზად.

მაგრამ სულ სხვაა უძლური
ადამიანის თვისება:
რა გული ფეთქვას შეუწყვეტს,
მას აღარ გაეღვიძება“.

* * *

დაე, ზეცამ დაჰკრას ზარი
ჩემი ბედის აღსასრულად
და ხმელეთმა დაუნდობლად
მთები მტყორცნოს გულზედ ისრად;

ბედის ვარსკვლავს უკრთეს ფერი,
ამ შფოთარმა სულმა ჰკვნესოს
და ნაღველი მომშხამველი
მკერდს სამუდმო დაღად მესოს!

დაე, ჩემი სასიცოცხლო
გულის ძგერა იქცეს შხამად,
ჰკრას მახვილი გულის ფიცარს
და გამიპოს იგი სამად;

ყბები გახსნას დედამიწამ
და შიგ შთანთქმა დამიპიროს,
და ამ ქვეყნად მეგობარმა
ცოცხალივე დამიტიროს!

დაე, რისხვა ჩემ სამუსრად
შეიკრიბოს ყოველ მხრიდან...
— მე არც მაშინ არ გადვუხვევ
წინ არჩეულ წმინდა გზიდან.

მინამ ვცოცხლობ, სწორის გზებით
ეივლი მე თავგანწირულად,
მტერს ვუმტერებ და მეგობარს
გადავკოცნი მეგობრულად.

თავს არ შევყოფ ფარისევლის
მატყუარა სამოსელში,
რაც გულში მაქვს, იარაღად
მასვე ვიგდებ ცხადად ხელში.

მე სამუდმოდ ვინუგეშებ
იმ საამო იმედებით,
რომ რაცა მაქვს, ის ვიშოვნე
წმინდის გზით და მოქმედებით;

რომ ვის სიტყვით მეგობრობას
ვფიცავდი და ვაფიცებდი,
მას ამ ციურ კავშირ-ძმობას
გულითაც კი ვუმტკიცებდი...

რომ პირადი საქმისათვის
ფლიდობა არ მიხმარია,
ეს მამხნევებს ბედით დევნილს,
ეს მხოლოდღა მიხარია!

დაე, რისხვა ჩემ სამუსრად
შეიკრიბოს ყოველ მხრიდან:
ბედის წყრომა ვერ გამდევნის
მე სიმართლის ზღუდე-წრიდან!

1885 წ.

გაზაფხული

იკაზმება გაზაფხულის
ღამე, გრილი, მთვარიანი,
ტკბილად ფშვინავს ველი მწვანე
და მინდორი ცვარიანი.

ვით ამიყი მაღლით ზეცა
თავზედ დასტრფის დედამიწას
და ქვეყანაც ემსგავსება
ვარსკვლავებით მოჭედილ ცას.

დაქრის სიო, ყვავილთ გროვას
შესცელქობს და ეშხით თვრება,
ხან ბუჩქებში ნავარდს შექმნის
და ხან წამზედ სადღაც ჰქრება.

გადასცილდა შუაღამე!
და ბულბულმაც მოსპო სტვენა,
მოერია დაღლილს ლული
და ცოტა ხნით მოისვენა.

მარტო ვზივარ მაღალ კორდზე
და ოცნებით შორეს ვფრინავ:
დღეს რაღაცა განუსაზღვრელს
იმედს ჩემს გულს მევე ვფინავ.

მინდა ვნახო სხივთა მფრქვევის
განთიადის ცისკრის კრთოლვა
და ამ ბნელის, იმედმკვრელის,
გაქრობა და უკუ-ლტოლვა.

აწ მომავლის ცისკრის სხივი
ვიცი ბევრ გულს ააძგერებს
და ამ მწუხარ მგოსანსაც კი
უფრო ტკბილად აამღერებს.

მაგრამ რა ვქნა? რად შეჩერდა
ცისკრის სხივი მძლავრ-დიადი?!
მინდა, მინდა, რომ ვიხილო
საიმედო განთიადი!...

1885 წ.

ნანა

ცას ვასკვლავები გადეკრა, თავი ამოყო მთოვარემ,
გარს შემოიცვა ტყემ ბნელი, ვით დედამ შვილზე მგლოვარემ,
ბუნებამ დღითი დაღლილმა აწ განსვენება ინება...
დაწყნარდი, ჩემო პატარავ, შენც ტკბილად მიგეძინება.
მიდუმდა ველი და დადგნენ წამები ნეტარებისა,
აღარ გაისმის ჰაერში ყღივილი ფრინველთ კრებისა.
წყნარ ძილში ტკბილი სიზმრებით ყველას მიეცა ლხინება —
შენც გულს დაგიტკბობს სიზმარი, დაწყნარდი, დაგეძინება,
მხოლოდ მჩქეფარე რუს პირზე რეკავს ბულბულის ტკბილი ხმა
და მისკენ მიჰქრის დამთვრალი ჩემი გრძნობა და გულისთქმა.
მეც ვიცი მღერა, როს ერთი რამ მადლი მომეფინება,
შეწყვიტე, გვრიტო, ღუღუნი და წყნარად ჩაგეძინება.
შენა ხარ სრული იმედი ბედკრული ბიძაშენისა,
გზრდი შენი ქვეყნის იმედად და მცველად დედაენისა,
უმსხვერპლე თავი სამშობლოს, ტანჯვის ნუ შეგეშინდება,
ნუ აჩქარდები, ჯერეთ კი ჩასთვლიმე, ჩაგეძინება.
შენში დუღს სისხლი გმირული, მხურვალე, დაუდეგარი
და ვაუკაცურად კვლავ საქმე გაბედე გაუბედარი.
ქვეყნის მოსარჩლეს სამუდმო სახელი შეგეძინება,
დროს მოუცადე, ახლა კი ჩასთვლიმე, ჩაგეძინება.
დროთა სვლა, ჟამთა ტრიალი, ვერ შესცვლის ჩემსა სახესა,
მტრობა და გროვა მდევნელთა ბევრგან დამიგებს მახესა,
მაგრამ დავაჩენ მაინც კვალს, სავლელ გზას ოხერ-ტიალსა,
იძინე, სანამ შეიტყობ ქვეყნის უკუღმა ტრიალსა.

და როს ომიდან დაბრუნდე მხსნელის სახელით მკობილი,
მამულის გმირთა წინამძღვრად ხელში მძლე დროშა პყრობილი.
ჩემს საფლავზედა მახარე მტრის მუსვრა, ჩვენი ლხინება,
და იმის შემდეგ სამუდმოდ მეც ტკბილად ჩამეძინება.

1885 წ.

ზოზია

მიმოეფინენ ხის ძირში
შემოდგომის პირს ფოთლები,
ბუჩქნარებს ფერი ეცვალათ,
დასევდიანდნენ სოფლები.

დაცარიელდნენ მინდვრები,
დასცხრა, მიყრუვდა ტყე-ველი,
და თავის სადგურ-სახურავს
აწ შეჰფარვია ყოველი.

ბულბული აღარ გასძახის,
მერცხალი აღარ ჭიკჭიკობს
ვარდი ქვე-კისერმოხრილი
იასთან აღარ აშიყობს;

სიცოცხლის ფეთქვა შემდგარა
ამ სოფელ-სამყაროშია
და მხოლოდ ტოტზე შემჯდარი,
ჭუკჭუკობს ნაზი ზოზია.

ზოზიავ! რასა ჭუკჭუკობ,
რათა ხარ ეგრე მწუხარე,
რის ნიშანია ეგ სევდა,
გულიდან გადმომქუხარე?

!··ᲔᲦᲔᲠᲐ მᲦᲔᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲘᲒᲐᲕᲡ,
ᲒᲣᲚᲘᲗ ᲒᲔᲜᲗᲮᲔᲕᲐ ᲜᲐᲦᲕᲔᲚᲘ,
ᲛᲐᲒ ᲮᲛᲘᲗ ᲒᲚᲝᲕᲝᲑᲓᲐ ᲛᲗᲐ-ᲑᲐᲠᲘ,
ᲛᲔᲪ ᲕᲒᲚᲝᲕᲝᲑ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ;

ᲨᲔᲜᲘᲡ ᲛᲦᲔᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲣᲚᲘ ᲬᲣᲮᲡ
ᲓᲐ ᲡᲣᲚᲡ ᲫᲐᲚ-ᲦᲝᲜᲔ ᲔᲚᲔᲕᲐ,
ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲢᲧᲕᲔᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ
ᲓᲐ ᲨᲮᲐᲛᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲛᲔᲠᲔᲕᲐ.

ᲙᲘᲚᲝ ᲨᲔᲡᲪᲕᲐᲚᲔ, ᲛᲙᲕᲜᲔᲡᲐᲠᲝ,
ᲮᲛᲐᲡ ᲐᲣᲛᲐᲦᲚᲔ ᲚᲮᲔᲜᲘᲗᲐ
ᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲙᲣᲠᲜᲔ ᲛᲔ ᲒᲣᲚᲘ,
ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲔᲜᲘᲗᲐ!

ᲒᲐᲚᲝᲑᲡ ᲨᲝᲨᲘᲐ: „ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ
ᲡᲐᲒᲚᲝᲕᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲝ;
ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲚᲝᲕᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲔ ᲙᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲐᲠᲝᲝ.

ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘ ᲒᲐᲰᲙᲘᲕᲘᲡ,
ᲓᲐᲦᲛᲣᲘᲡ, ᲓᲐᲒᲠᲒᲕᲘᲜᲐᲕᲡᲐᲝ,
ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲘᲗ ᲨᲔᲰᲛᲣᲡᲠᲐᲕᲡ
ᲘᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲝ!

ᲣᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲓ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ
ᲓᲦᲔᲛᲣᲓᲐᲛ ᲢᲧᲔ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲨᲘᲝ
ᲓᲐ ᲭᲙᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ
ᲐᲛᲜᲐᲘᲠ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲨᲘᲝ;

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲕᲔᲚᲨᲘ ᲛᲔ ᲑᲣᲓᲔ
ᲛᲢᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲛᲘᲜᲒᲠᲘᲔᲡᲝ
ᲓᲐ ᲐᲬ ᲣᲡᲐᲮᲚᲝᲡ, ᲣᲙᲐᲠᲝᲡ
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲛᲦᲕᲠᲘᲔᲡᲝ.

სატრფოც წამართვეს, დამაგდეს
მე უიმისოდ ობლადო,
და გულმოკლული დავდივარ
იმ შავდღეს აქეთ სოფლადო.

გალიაში ზის და ფიქრობს
მწარედ გულშემოყრილო:
„სადა მყავს მოტრფე საბრალო,
სადა მყავს სევდის შვილიო!

მინდა ავფრინდე, გავსწიო,
ვიცხოვრო იმის ახლოსო,
რომ მისი ცქერით მე ჩაგრულს
ლხენა კვლავ განმეახლოსო,

მაგრამ მიშლიან მის ტრფობას
და იმის მუდმივ ცქერასო,
მიშლიან მასთან გაფრენას
და მისთვის ტკბილად მღერასო!“

სთქვა და მისდუმდა ფრინველი,
ბუჩქს მიეფარა შოშია
და მიიკარგა მისი ხმა
შორეს ცის სამყაროშია.

და ქარმან ტიტველ ტყე-ველში
მწარედ დაიწყო კივილი,
მოჰფინა ხმელეთს ნაღვლიანს
სევდა და გულის ტკივილი.

1886 წ.

შეთე და ნაიბი

მზე ჩამავალი — დაღესტნის
მთებს სხივებს ანაცვალებდა,
ჰქროდა ნიავი და შორით
მდინარე მივალალებდა.

დიდოელისა ნაიბის
ცოლი მას გადასცქეროდა,
ხან ეძლეოდა მწარე ფიქრს,
ხან გულდამწველად მღეროდა:

„გუშინ ძვრა მოხდა მიწისა,
მთებმა გუგუნი შეჰქმნესო:
ამბობენ, თურმე ნაიბი
შესტაკებია შეთესო!

შებმია ჩემი აფთარი
თუშის უშიშარ ლომსაო
და დედამიწა შეუძრავს
მათს თავგანწირულ ომსაო.

შეყრილან ორნი ვაჟკაცნი,
შეჰხლია ფოლადს კაჟიო
და აგრძნებულა მათს ჩხუბზე
ომის ალმური მთაშიო.

დღემდისაც ისმის ყოველმხრივ
მწარე გუგუნი მთებისო
და მოჩანს ელვად ზეცაზე
შუქი იმათის ხმლებისო!..

— შეჩერდი, შეთევ, შეჩერდი!
გებრალებოდეს ნაიბი!
— ნუ ცხარობ შენცა, ნაიბო, —
დაწყნარდი, გული დაიბი!

გადაღმა სტირის სატრფოზე
ცოლი მაგ ლომი შეთესი
და ღელედ მიდის აქ ცრემლი,
შენი გულისა მეფესი!

შეთე ლომსა ჰგავს, ნაიბო,
ველში საომრად გასულსა,
აგიყვანს, კლდეზე მიგახლის,
დაგალევინებს წამს სულსა!

შეთევ! ვეფხვსა ჰგავს ნაიბიც,
გულგახელებულს, ფეხმალსა;
ისკუპებს, ხანჯალს მკერდში გკრავს,
ვერც თვალს მოასწრებ, ვერც ხმალსა!

ნუ ხოცავთ ერთი ერთმანეთს
ერთი მხრისავე შვილები,
ჩვენს საშავბედოდ რჯულისგან
დღეს გაყრილ-გაყოფილები!

ძმები ხართ, კვალად ძმურადვე
ერთიმეორე გაჰკოცნეთ
და ვინც გყავთ მტერი საერთო,
ეგ ხმალ-ხანჯალი მას სტყორცნეთ!

1886 წ.

მეურმის სიმღერა

უძილო ღამემ მომქანცა
წყვდიადში ნათლის მძებნელი
და მოტყუებულს ბედისგან
თავს გადმომაწვა მე ბნელი.
ამ ბნელის გასაფანტავად
ვეწვიე მთის წვერს მაღალსა

და ვანდობ სანდო ბუნებას
აქ ჩემს გულის ჭირს ახალსა.

ღამეა!.. მაღლა ზეცაზე
ვარსკვლავნი წყნარად სცურავენ
და თავის სხივებს, ფერმკრთალებს,
მინდორ-ველებზე სწურავენ,
და თითქოს მათგან ნაფრქვევი,
ვით მარგალიტის თვალები,
ეფინებიან ფოთლებზე
ღამის ლამაზი ცვარები.

მთვარე არსად ჩანს, მას თითქო
მგზავრობა მოსძულებია,
სადღაც მთის ძირში ჩასულა
და ტკბილად მისძინებია. —
იმისგან დატოვებულსა
აქაც, ამ სოფელ-ქვეყანას
საამო — ძილი ღამისა
საამოდ უმღერს ნაზ — ნანას.

იდუმალება ყოველმხრივ!..
მხოლოდ შორით შორს მფრინავი,
ხანდახან შეათამაშებს
ფოთლებს ღამისა ნიავი,
იმისი კვნესა, ქვითინი
მთას და ბარს მოეფინება,
და ბოლოს მასაც შორს, სადღაც
ბუჩქის ძირს მიეძინება.

ხან კიდევ ღამის ფრინველი
ზარნაშო, სადღაც გაჰკივლებს,
და ხმა იმისი საგლოვი
გულს ააშფოთებს, ატირებს;

მას თან მოჰყვება მგლის ყეფა
და ტურის მწარე კივილი
და ეფინება მიდამოს
სევდა და გულის ტკივილი.

მაგრამ ჩუ!.. სადღაც მეურმემ
ასძრა თავისი ხმა მწარი,
და ააშფოთა მის მოთქმით
ეს ჩემი გული დამწვარი;
ამ ხმაზე შეწყდა მხეცთა ხმა
გულს სევდის გადმომდებელი
და სმენად იქცა ბუნება
მისი ყურისა მგდებელი.

მღერის მეურმე: „გაგრძელდა
რაღაც ეს ღამე შავიო,
მოვღალდი, ოფლში მივცურავ,
როგორც რომ ზღვაში ნავიო;
ურემი ხან ქვას — ღამეში —
ხან ხის ძირს მოედებაო...
მაგრამ გასწიე, ნიკორავ,
აწ ჩქარა გათენდებაო!..

მე ჩემი ოფლით პურსა ვჭამ,
არვის ვარ ვალდებულიო,
ჩემი განზრახვა წრფელია,
წმინდაა ჩემი გულიო!
გლეხკაცი სიმართლისათვის
სანთლისებრ ჩამოდნებაო...
— გასწიე, ხარო, გასწიე,
აწ ჩქარა გათენდებაო!

თავს არ დავზოგავ შრომისთვის
მინამ ამქვეყნად ვცხოვრობო,

უდაბნოს დავთეს, გავთოხნი,
მთას ბართან გავასწორებო;
ის უფრო საქებარია,
ვინც რომ შრომაში კვდებაო...
— გასწიე, ხარო, გასწიე,
აწ ჩქარა გათენდებაო!

მარტოკა მავალს, ოფლის მღვრელს,
თუ ზეცამ გამიმარჯვაო,
არამცთუ ოჯახს, — მთელს სოფელს
არჩენს ეს ჩემი მაჯაო;
თუ დღეს საშველი არა მაქვს
ხვალ მაინც გამიჩნდებაო...
— გასწიე, ხარო, გასწიე,
აწ ჩქარა გათენდებაო!

ჰხედავ ვარსკვლავით მოჭედილს
იმ ლაჟვარდოვან ცაზედო —
როგორ მიმოდის კრებული
და გადმოგვცქერის თავზედო?!
დასავლეთს ბნელი ედება,
აღმოსავლეთი კრთებაო...
აჰა აღმოხდა ცისკარი,
სჩანს აწ კი გათენდებაო!“

1891 წ.

სოფელს გავშორდი...

I

სოფელს გავშორდი, ველს გაველ,
სურვილმან ამიყოლია,
ვნახე ბილიკი, მთის ქედებს
ზოლივით გადასწოლია:
თაღი შეუკრავს ბუჩქნარებს,
ამკობს ხავერდი მდელოსი,

შიგა ჰქრის გრილი ნიავი
ამ ტურფა საქართველოსი!..
მასზედ დავადექ, გავყევი
ნელ-ნელ მის არემარესა,
თავს გადავადექ ცივ წყაროს
მთიდან ძირს მომჩქეფარესა;
მის პირს ვიგრილე, მივაპყარ
ყური მისს ჩუხჩუხ-ჩქერასა,
სიამით დავთვრი, შევეწყვე
მე ჩემს მწარ ბედისწერასა.
იქავ ყვავილნი ვიხილე:
თითო მარგალიტს სჯობია,
ზოგი თავსა ჰხრის ბუჩქის ძირს,
ზოგი ტოტს ამოჰკრობია;
მათ შუა ერთი ამაყობს,
ედემს ნაზარდის მგვანია,
იმის სიტურფეს ვინ ასწერს?!
ვარდია, — ვარდოსანია!
ყნოსვა მომსურდა იმისი,
მის ახლოს მიველ, ვესტუმრე,
მაგრამ მეეჭვა... შევჩერდი,
უწყალოდ შევცდი მე თურმე.
შინაგნად სული არ ედგა,
გარეგნად იყო შემკული,
შიგ სურნელება ვერ ვპოვე
და მით მეტკინა მე გული.
ვთქვი: გვაცდენს სახე საგნისა,
ჩვენგანვე დანახულისა;
ყოველს სიტურფეს გარეგანს
სჯობს სილამაზე სულისა!

II

სოფლად დავბრუნდი, ვეწვიე
კაცთა სამყოფელ არესა

და კვლავ შეეერთე ცხოვრებას,
ზღვასავით მომღელვარესა;
ქალაქად განველ... ჯარი დგას,
ყოველ ნაბიჯზედ ხალხია;
ვიშ, ეს სახლები ღამ-ღამით
რა ტურფა დასანახია!
ქუჩას დავადექ — ვკვირვობდი
დარბაზთა მშვენივრებასა, —
მივველ ერთ ალაგს, ვეწვიე
რჩეულ ქალ-ვაჟთა კრებასა:
რხევით დადიან ქალები,
ვაჟკაცთა შორის ჩართულნი;
სმენას იამა... სადღაცა
კიდევ მოისმის ქართული!
ერთს მხარეს სხედან ქალწულნი,
დართულნი ფერად-ფერადა,
წამწამთ არხევენ, სხივთ ჰყრიან
კაცთ გულთა დასაჭერადა.
მათ შორის ერთი სხივოსნობს,
ზედ შუქი მოუფენია,
ციურს ჰგავს, ზეცას მისებრივ
აქ არვის მოუვლენია!
ცნობა მომსურდა იმისი,
მივველ მის სანახავადა,
გავესაუბრე, მეეჯვა,
გულს სევდა მოხვდა შავადა:
მის სულში აზრი ვერ ვპოვე,
მნათობთა გარეგნობითა,
შინაგნად იყო უსახო
და დავდნი მწარე გრძნობითა.
ვთქვი: გვაცდენს სახე საგნისა,
ჩვენგანვე დანახულისა;
ყოველ სიტურფეს გარეგანს
სჯობს სილამაზე სულისა!

1894 წ.

წყარო

(აღმოსავლეთის ხალხთა თქმულებიდან)

ზაფხულის მნათობს გოლვიანს
ცეცხლი აენთო ცაზედა
და თავის სხივებს გულფიცხებს
ხმელეთს აფენდა თავზედა;
ცხელი, მდუღარე ჰაერი
განთხეულიყო სოფლადა
და ყველგან ფრინველ-ცხოველნი
იწურებოდნენ ოფლადა.
ძირს დახრილიყვნენ ფოთლები,
ჭკნებოდა ყვავილთ გროვანი;
მიმკვდარინებულ ქვეყანას
თავს აწვა სევდა-გლოვანი.
მხოლოდ ერთ ალაგს, გზის პირად
ტკბილის ჩუხჩუხით, წყნარ-წყნარა,
მოსჩქეფდა ვერცხლის ნაკადად
ქვის ძირას წყარო ანკარა.
ჩქეფდა და კისკის-შხაპუნით
აპობდა მინდერებ-გორებსა,
ყანებს ზვირთავდა, კლდეს ჰბანდა,
ველს რწყავდა შორით-შორესა.
გარშემოველო არშიად
მდელო, — ყვავილი სათუთი,
ვისაც კი მიუწვდებოდა
ჰკვებავდა თავის ძუძუთი.
შიგ სათავეში ხე ედგა
შტოხშირი, განზედ გაშლილი
და მისგან გულმონაფენი
მუდამ თავს ედგა წყალს ჩრდილი.
აქ სამი მგზავრი წყაროს პირს
ისხდნენ, ჩრდილობდნენ ჩეროსა,
ჰმადლობდნენ გამჩენს, რომელმაც
ეს ხე ფოთლებით შემოსა:

აქ მიჰმალოდნენ მზის სხივებს,
შუბლს იგრილებდნენ მაშვრალნი,
წყურვილს იკლავდნენ წყაროს სმით
დაღლილნი, ხახაგამშრალნი.
ამ დროს იქ ერთმა მათგანმა
სხვებს მიუთითა ქვაზედა,
ქვა წყლის სათავეს ეყუდა
და ეს ეწერა მასზედა:
„ვინც ამ ხის ძირში მოხვიდე
და ან აქ წყალი დალიო,
იყავ ისეთი, როგორიც
ეს ნაკადული არიო“.
მძიმედ ჩაფიქრდნენ მგზავრები...
ყველა იმ ფიქრით დნებოდა,
რომ ეცვნა ქვაზედ ნაწერში,
რა აზრი იფარებოდა...
ერთმა თქვა: „ვსცანი ყოველი,
რაც რომ აქ იფარებაო, —
წყარო ჩქეფს შეუჩერებლად,
არა აქვს მოსვენებაო,
შორეს ველ-მინდორს ჩაურბის,
სხვის წყლებს თვისაში ირთავსო,
დიდდება, დარბაისლდება,
ხმელეთს სიმძიმით ტვირთავსო,
კაციც მას უნდა ჰბაძავდეს,
სიმწრის ოფლს უნდა ღვრიდესო,
რაცა აქვს, იმას ხელმარჯვედ
მუდამდღე უნდა ზრდიდესო!
სადაც დასძლიოს, მოხვეჭოს,
შენაძენს კიდევ ჰპატრონოს
და წყაროსავით გაივსოს,
გადიდდეს გაიმატონო!“
მეორემ თქვა: „ეს გული
კი სულ სხვარიგად ამბობს:
ხომ ხედავ წყარო მიწიდან
რა წმინდა მოკამკამებს!

მკვირცხლ ზვირთებს მოაკისკისებს,
შიგ ხატავს სხვების სახესო,
გულით გადაჰყრის ტვირთმძიმეს
დარდსა და სივაგლახესო:
წმინდა წყალს ასმევს მწყურვალეს,
მაშვრალს უგრილებს გულსაო,
მკურნალ მალამოდ უხდება
ტანჯულს და წამებულსაო.
კაციც მას უნდა ჰბაძავდეს...
არვის რამ უნდა ავნოსო
და თავის სული სიწმინდით
ამ წყაროს დაამგვანოსო!“
მესამემა სთქვა: „წარწერას
აი, რა აზრი უდევსო:
წყარო ამოსჩქეფს მიწიდან
და ზვირთი ზვირთებს მისდევსო,
ცხოველთ წყალს ასმევს, ყანებს რწყავს,
ასხურებს მინდორ-ველსაო,
მაგრამ ამისთვის არ იღებს
არვისგან სასყიდელსაო;
კაციც მას უნდა ჰბაძავდეს,
უნდა სწყალობდეს ყველასო
და არ ითხოვდეს არვისგან
სამაგიერო შველასო!“

1895 წ.

* * *

ქვეყნის ერთგული ის არის,
ვინც ხალხში თესავს სწავლასა,
და ვინაც ამცნობს უმეცარს
უმრუდო გზაზე გავლასა.

ნიადაგს, ხალხის გულის მჯობნს,
კაცი ვერ ნახავს ვერსადა:
ჩათესე თესლი კეთილი,
გწამდეს, ერთს მოგცემს ასადა!

მხვნელი კი უნდა მხნე იყოს,
აზრის გარკვევით მკვესარი!
მის ნათესს გვალვა ვერ აწყენს,
თუ ხელმარჯვეა მთესვარი.

სწავლა ხალხისთვის ბნელიდან
ნათელს გამყვანი ხიდია,
მომავალიც და იმისი
აწმყოც იმაზე ჰკიდია.

იკურთხოს მისი მარჯვენა,
ვინც მხნე მუშაკნი აღზარდა,
ვინც ხალხის გული ირჩია
აზრთ სათეს-ნიადაგადა!

1896 წ.

ჩემს შვილს თამარს

ხალხის მწარე ბედ-იღბალზე
ცრემლი ვღვარე მრავალი,
მაგრამ ცრემლი ცრემლად დამრჩა,
ვერ დავძლიე მტარვალი.

გული გატყდა, დაცხრა სულიც,
თვა შეეჭრელდა ჭაღარით,
ხალხის ბედის აყვავება
ალარ ძალმიძს ალარრით.

ჩემი სულის მისწრაფებას
შენღა გიძღვნი, თამარო,
მინდა ჩემი იდეალი
აწ შენ ააკამარო!

ბედთან ბრძოლამ დამიდუნა
ულვთოდ გული და ხელი;
წინანდელის აღმაფრენით
ვერ ცახელობს ცახელი.

აწ ასპარეზს შენ დაგითმობ,
შენ გადმოგცემ აზრს და სულს
გულსა სჯერა, რომ შეავსებ
შეუვსებელ ჩემ წარსულს...

ერში აზრის სათესველად
აწ შენ გზრდი და გამზადებ,
და მჯერა, რომ ქვეყნისათვის
წმინდა მსხვერპლად თავს დასდებ...

გულს ჩაშუქდა რაღაც ფიქრი
და იმის აზრს მივხვდი მე:
ვგრძნობ, რომ წელში იმართება
ჩაგრული და ტვირთმძიმე.

ჩქარა ქვეყნად გაიმარჯვებს,
ვინც დღეს არის ტანჯული,
ავს ავობა არ შერჩება, —
დროა მისი მსაჯული.

და იქამდე თუ მოგიკვდე,
დამფლა, დამასამარო:
ქვეყნის ბედზე საფლავში რამ
ჩამომძახე, თამარო!

ილია ჭავჭავაძეს

მოჰკლეს მგოსანი... აღსრულდა
საქმე მტრის გულის ნებისა,
მოსპეს ტაძარი საქვეყნო,
სადგური ხელოვნებისა.

მოჰკლეს მგოსანი... შებღალეს
ფიქრში ნაწრთობი ჭაღარა,
დიდებულ შუბლით გადმოსჩქეფს
ჭირნანახს სისხლი ღვარ-ღვარა.

ეს შუბლი უნდა შეემკო
ქვეყანას დაფნა-იითა,
ნაცვლად კი — აზრთა სადგური
შელეწეს მედგრად ტყვიითა.

მოჰკლეს მგოსანი მუხთლებმა,
დაგვმართეს საქმე საზარი,
დალეწეს, დაგვინაცარმტვრეს
ეს ხელოვნების ტაძარი.

აწ გათახსირდა ყველა ეს,
აღარ აღენთოს ლამპარი,
ვერ ვნახოთ გრძნობა-სიტურფის
წინაშე მსხვერპლად დამწვარი.

მოჰკლეს მგოსანი!... შეწყდა ხმა,
მიდუმდა ჩანგი ფრთოვანი,
ამოშრა სიტყვის ნაკადი,
აზრთა ზღვა სურათოვანი.

არარაობამ შენს გულში
აზრთ ნაცვლად მოიკალათა;
შენგან შენამკობ ქვეყანას
გამოგასალმეს ძალათა.

ვაიმე! როცა გდევნიდნენ
რა ჭირია შემკრა ბედშავი,
რად არ ვეკვეთნე შენს მდევნელთ,
რად არ გავსწირე მე თავი.

თუ არ შემეძლო მებრძოლნა
შენებრ ძლიერის ენითა,
რად არ გაგერე მტერები
მე ჩემის სუსტის ღრენითა?!

ვაიმე! როცა გდევნიდნენ
რად არ შეგექმენ ფარადა,
რად არ გაისმა ჩემი ხმა
საკვდავი მთა და ბარადა,

რად არ შევკრიბე ყოველმხრივ
მსახურნი ხელოვნებისა,
და არ ჩავმიწეთ ენები
შენზედ ამტყდარის მტრებისა.

ვაიმე! რაკი შენს მდევნელთ
ხმა არ გავეცით მხდალებმა —
იქნებ იმისთვის შეგახეს
ხელი შენ ნაძირალებმა.

ლომის მყეფარა ქოფაკსა
თუ „სუს“ არ გაუგონია,
გოშიაც წახალისდება
და თავი ლომი ჰგონია.

იქნებ ცილი რამ დაგწამეს
და არვინ გაჩნდა ქომაგი,
ჩვენზედ ფიქრობდი, რომ დავგმეთ
შენი წარსული ამაგი.

იქნება გული გაგიტყდა
და შენს ერს, აღზრდილს შურითა
აღსასრულის წამს უცქერდი
გულმშვიდის საყვედურითა!

ჩემს სიჭაბუკეს, სულმნათო!
შენ მამად ჰყავდი — აღმზრდელად,
შენთა ფიქრთა ზღვა ჩემს გულშიც
ღვიოდა მწარ-ტკბილ ნაღველად;

აწ გათახსირდა ყველა ეს,
შენთვის სამარე მზად არი,
ჩაჰქრა სანათი ბრწყინვალე,
გაუდაბურდა ტაძარი.

1907 წ.

ა კ ა კ ი ს

სამშობლოს, წინად დიდებულს, —
დღეს დამდაბლებულს, დაცემულს —
სახელდებული ბგოსანი
შენღა ჰყავ გვირგვინოსანი.
თუმც მოგვიხუცდი, მაგრამ ჩანგს
აყღერებ აღტაცებითა,
მტერს მგესლავ ენით გულს უპობ,
ჩვენ გვატკბობ ტკბილის ხმებითა.
გვწვრთვნი და გვინერგავ ტკბილ გრძნობას
სამშობლოს საერთგულოდა,
ენას ანაზებ ფაქიზად
სახმატკბილ-საბულბულოდა.
ძმობას, ერთობას გვასწავლი,
შიგ სწნავ სიყვარულს მოყვრისას,
თან პატივცემას გვავალებ
თვის ერის, თავის მოდგმისას.

დიდს დიად ენით გვარიგებ,
ყრმას კი — ყმაწვილურ ენითა,
ყველასთვის გასაგები ხარ,
ყველანი ვხარობთ შენითა.
გვსურს, რომ ხანგრძლივად ესმოდეს
სამშობლოს ტკბილი ხმა შენი,
ხმა აზროვანი, მატკბობი,
ჩვენი მწერლობის დამშვენი.
დიდების დღესა გილოცავთ, —
იძღვნეთ ბავშვური სალამი,
გვსურს, კვლავ ხანგრძლივად ღვაწობდეს
ეგ ღვაწლ-მოსილი კალამი.

1908 წ.

რა დროა?

მინდორში ჰღელავს ჯეჯილი, ბალახი ყვავილიანი,
ჰყვავის ათას ფრად ბაღები, ბაღჩები მწვანილიანი.
ვერ ძღება თვალი კაცისა ქვეყნის სიტურფის ცქერითა
და ყური ათას ნაირის ფრინველთ გალობის სმენითა.

მოუმკელი ყანა

(თარგმანი ნეკრასოვიდან)

შემოდგომა მიიწურა, გაემგზავრნენ შორს ფრინველნი,
მინდორ-ველი გაიცალა, ტყესაც გასძვრა სამოსელი,
მხოლოდ ერთგან ობოლივით მოჩანს ყანა მოუმკელი,
მისი ცქერით სული კვნესის და ეხვევა გულს ნაღველი.
თავთავები თავდახრილნი შესტირიან ერთმანეთსა:

ვინ გაუძლებს შემოდგომის მწარე გრიგალს, გულ'საკლავსა?
ქარის ყოველ დაბერვაზე ჩვენ მიწამდე თავსა ვხრითო,
და ამ საწყალ მწიფე მარცვლებს ტალახსა და მტვერში ვსვრითო;
ყოველ ღამეს ჩვენ გვიკლებენ ფრინველთ ხშირი გუნდებიო,
შორი მხრისკენ მიმავლები, უმაძღრები, ურგებიო!
კურდღელი ჩვენ ფეხით გვთელავს, ქარიშხალი ტყავს გვაძრობსო:
სად წასულა ჩვენი მკელი? რაღას უცდის, რას საზრობსო!?
— იმათ ქარი უპასუხებს: „ცუდი მომაქვს ამბავიო;
თქვენი მკელი საწოლსა წევს, ავადმყოფი, უძრავიო“.

გველი და გლეხი

(თარგმანი კრილოვიდან)

გველი შეცოცდა გლეხთანა —
უთხრა: „ნუ მიცქერ მტრულადო,
აწ ჩემი შიში ნუღარ გაქვს,
ვიცხოვროთ მეგობრულადო.
შენც თვითონ ხედავ, აღარ ვარ
იგი, რაც წინათ ვიყავი,
ამ გაზაფხულზე მე ძველი
გამოვიცვალე მთლად ტყავი!“
გლეხმა მიუგო: „ვერ მაცდენ,
გხედავ, ხარ იგივ გველიო,
ტყავი თუმც გამოგიცვლია,
გული გაქვს ისევ ძველიო!“
უთხრა და გამეტებულად
ყუით დაარტყა მას ცული
და მატყუარა ცბიერსა
დაალევინა წამს სული.

შალვას თავგადასავალი

თქვენთვის დავწერე ეს წიგნი,
ყრმებო, პატარა გვრიტებო,
და ძღვნად მიიღეთ თქვენ, ჩემო
ძვირფასო მარგალიტებო!

დაუდეგარი და ცელქი
რამ იყო პატარა შალვა,
უყვარდა იმას ყოველთვის
მარტო ცელქობა და მალვა.
მინამ სხვადასხვა თამაშით
ის გულს არ მოიჯერებდა,
არც დარიგებას, არც რჩევას
არვის არ დაუჯერებდა.
აი, მიტომაც იმ ცუღლუტს
მრავალჯერ ჭირი სწვევია
და ცხარე ცრემლით მტირალსა
თავბედი დაუწყევლია.

• •

ერთ დილას შალვა ბოსტანში
დარბოდა, დაცანცალებდა,
თუმცა კი წიგნი ხელთ ეპყრა,
მაგრამ წიგნს არა სწავლობდა;

ყმაწვილს უნდოდა მხოლოდ რომ
ხელთ საცელქარი რამ ეგდო,
და თვისი წიგნი, პატარა,
იქ ღობის ძირში მიეგდო;
და სწორედ ამ დროს შენიშნა
იმ'ან სკა, სავსე ფუტკრითა,
ფეხით მოჰქონდათ იმ ფუტკრებს
ლუკმა, ნაშოვნი სიმწრითა.
ხშირად მათი ხმა, როგორც რომ
მუშური, გაისმებოდა,
და გაკვირვებით ყმაწვილი
მათ ყურის გდებით ტკბებოდა.
ბოლოს იფიქრა პატარამ:
— ამათ გავრეკავ ხერხითო,
და მას შევიტყობ, ის რაა,
სკაში რომ შეაქვთ ფეხითო?
და შემდეგ წკეპლით საომრად
ფუტკრის სკას შალვა მიადგა,
მაგრამ ის თქვენს მტერს, რა დღეც რომ
იმ ჩვენს პატარას დაადგა!
დასძახა ფუტკრის ლაშქარმა:
ძმებო, მოგვიხდა მტერიო,
ავიძრათ, ვტყორცნოთ ისრები,
ვაგლიჯოთ თმა და წვერიო!
შეიძრნენ ერთხმად ფუტკრები,
შეერთებულად დასძახეს,
მსწრაფლ დაეხვივნენ შალვას და
სულ „ვაი-დედა“ აძახეს.
შინ რომ მივიდა, ძლივს იცნეს
შალვა პირდასიებული...
ნუ ცელქობ, შალვა, ნუ ხარ სულ
წიგნზე გულაცრუებული!

ერთხელაც შალვამ შორს, მაღლა,
თახჩაში ბოხჩა შენიშნა,
ცოტა შეჩერდა, შეფიქრდა
და იმას რაღაც ენიშნა;
ენიშნა მას, რომ გადიამ
წითელ-წითელი ვაშლები
სადღაც დამალა, რომ იმას
არ მისჩვეოდნენ ბავშვები.
შალვამ თქვა: — დასამალავად
თუმც უხმარიათ ღონეო,
მაგრამ მის ჩამოსაღებად
მეც ხერხი მოვიგონეო:
სკამზე სკამს შევდგამ, ზედ ავალ
და ძირს ჩამოვყრი ვაშლებსო,
ზოგს თვით მივირთმევ, ზოგით კი
გულს გავუხარებ ბავშვებსო!
მიიდგა სკამი, საჩქაროდ
სკამი შეადგა სკამზედა
და შემდეგ გახარებული
მარდად ავიდა მასზედა;
მაგრამ უეცრად გადმოსხლტა
სკამი სკამზედა დებული,
და ძირს დაეცა ყმაწვილი,
ყირაზე გადმოგდებული:
მას ნორჩი კანი, სათუთი
ამოებერა კოპ-კოპად
და კაკლებივით დააჯდა
გატეხილ შუბლზე წყობ-წყობად.
ძლივს ააყენა გადიამ
პირქვე დამხული ძირს შალვა
და უთხრა: — შვილო, არ გარგებს
ჩუმად ქურდობა და მალვა.

• •

ვერ შეესძლო წყნარად დადგომა
შალვამ ერთ წამსა ოჯახში...
იფიქრა: — ნოდი, გავხედავ
იმ ჩვენს მეორე ოთახში!
იქ გადიასთან სხვა ისმის
ხმა ვიღაცასი უცხოო,
იქნებ მან ჩემთვის გადიას
ქადები გამოუცხოო?!
და ჩუმად ადგა, მივიდა,
ცოტათ გააღო კარები
და მის გადიის ამხანაგ
ქალს გადაავლო თვალები.
სულგაკმენდილი კარსუკან
მუსაიფს უდარაჯებდა,
ჭუჭრუტანიდან უცქერდა
და კარებს კი არ აღებდა,
მაგრამ უეცრად გააღო
ამ დროს ვიღაცამ კარები,
შალვას ცხვირს მოხვდა, აყვირდა
ბავშვი ბედგანამწარები.
იმის ყვირილი მოესმა
მამას მოხუცსა, ჭაღარას,
ნახა, რომ გასიებოდა
ცხვირპირი იმის პატარას.
შვილს უთხრა: — სხვისი დარაჯი
და ჩუმად ყურის გდებაო
სირცხვილი არის, ცუდია
და არ გამოგადგებაო.
რაც შენი საქმე არ არის,
იმას რად უგდებ ყურსაო?
არ გარგებს, შალვა, რომ გაჰყვე,
სულ საქმეს ეშმაკურსაო!

• •

შალვამ ოთახში შენიშნა
სკივრი კუთხეში დადგმული
და საცელქაოდ ხელახლა
აუცახცახდა მას გული.
იფიქრა: — მოდი, თავს ავხდი
ამ სკივრს, შიგ რასმეს ვნახავო!
მგონია, გუშინ გადიამ
იქ რაღაც შეინახაო!
შემდეგ მივიდა სკივრთანა,
ბევრი ეწვალა ბედშავი
და ბოლოს, რაკი გააღო,
თამამად ჩაჰყო შიგ თავი;
მაგრამ უეცრად პატარას
ფეხი აუსხლტა, წაიქცა,
სკივრისა თავიც შეირყა
და უცბად თავზე დაეცა.
შალვა ყვიროდა, ცრემლს ღვრიდა
და ფეხებს აფართხალებდა,
ხან სკივრის თავსა თავს სცემდა,
ხან ფსკერზე დაანარცხებდა...
ბედად, გადია გამოჩნდა
და შალვა გადაარჩინა,
მაგრამ ეს დაუდეგრობა
ბავშვისგან მეტად იწყინა.
უთხრა: — ამდენი ცელქობა,
შალვავ, გეყოფა, კმარაო;
დაჯექი ტახტზე და წიგნი
იკითხე შენთვის წყნარაო!
თავი რით უნდა ემართლა,
ყმაწვილმა აღარ იცოდა,
თან მას სტანჯავდა ტკივილი
და თან სირცხვილით იწვოდა.

• •

კალათა თავდახურული
შალვამ ერთხელ სახლში ნახა,
მიიპარა და ეს ფიქრი
იმან გულში განიზრახა:
— საზამთროებს და ტკბილ ნესვებს
აქ მიმალავს გადიაო,
მაგრამ ახლა რომ მივაგენ,
სწორედ ეს კი ცხადიაო!
ჩუმად ავხდი თავს კალათას,
ამოვიღებ საზამთროსო;
თუ მე ვპარავ, ვერ მიხვდება
მას გადია ვერასდროსო!
მივიდა და ხელი ჩაჰყო
კალათაში თავწაკრულში,
მაგრამ ხელში სხვა რამ მოხვდა
და მსწრაფლ ეცა ელდა გულში.
სულ სხვა ხილმა ჩვენი ცელქი
სხვანაირად გააკვირა,
კიბო ხელზე მოეკიდა
უკბინა და ააყვირა...
ამ ყვირილზე შალვას დედა
ყმაწვილისკენ გაეშურა
და სიცილით თავის ცელქ შვილს
კიბოები მოაშორა.
უთხრა: — შალვა, შიშისაგან
მუდამ ნუ მცემ თავზე რეტსო,
თორემ მე შენ არას გაჭმევ
დღეს ამ კიბოს ფეხის მეტსო!

• •

სათამაშოდ გულაძრულმა
ველარ გასძლო შალვამ სახლში,
წავიდა და გადიხედა
თვის მეზობლის მწვანე ბაღში.

იქ რომ წინათ დაინახა
მან ყურძენი ვაზზე მკვახე,
დღეს მის მწიფე თეთრ მარცვლებში
იხატოდა კაცის სახე;
და იფიქრა: — მოდი, ჩუმად
გადვიპარვი ამ ბაღშიო,
მტევნებს დავკრეფ, ზოგს აქ შევჭამ,
ზოგს წავიღებ ჩემს სახლშიო.
თქვა და ღობეს თავს მოახტა,
ყურძენს ხელი გაუწოდა,
და მარცვალი რომ იგემა,
გაუცხოვლდა უფრო მადა,
მაგრამ ამ დროს ეკლის ტოტი
შალვას მკლავზე მოეკიდა.
შეკრთა ბავშვი და ღობეზე,
ბაღში თავქვე ჩაეკიდა,
და ფიქრობდა: — აი დღეს კი
ჩემი საქმე წავიდაო!
ვერ მომაგნებს აქ მე დედა
და ვერც ჩემი მამიდაო.
შებინდდება, მგელი მოვა
და თავს ძირში მომაკვნეტსო,
და აწ ველარ დავინახავ
მე დღის ნათელს ამის მეტსო!
მაგრამ ბედზე აქ მებაღემ
შალვას უცებ მოჰკრა თვალი,
წამოვიდა და მოიჭრა
ღობის ძირში გულგამწყრალი.
უთხრა: — ე მაგ ქურდობისთვის
მე შენ მოგცემ სიცხესაო:
ბევრსაც გცემ და უჭმელადაც
დაგაყენებ მთელ დღესაო!
და შემდეგ ბავშვს ისე სცემა,
რომ აკივლა როგორც ტურა,

და ყურებდაწითლებული
შინისაკენ გაისტუმრა.

• •

შალვა წავიდა ერთხელა,
საღღაც ანკესი იყიდა,
მომართა, ჭია ააგო
და წყლის ნაპირას მივიდა.
თქვა: — ამ გუბეში მე ხშირად
თევზები მინახავსაო,
თუკი სხვა იჭერს, მეც ვიჭერ,
მოდავე ვინა მყავსაო!
ჩემს ანკესს მარდად გადვისვრი
მე ამ ამღვრეულ წყალშიო,
თევზებს დავიჭერ, შევკრიბავ,
წავიღებ ჩემთვის სახლშიო!
და სანადიროდ დაიცვა
მან თადარიგი და წესი:
ასწია ჯოხი მაღლა და
განზე გატყორცნა ანკესი.
მაგრამ წაუხდა წადილი,
გაცრუვდა შალვას ხერხია:
ანკესის ძაფი წყლის პირას
ხის ტოტზე შემოეხვია.
ფიქრობდა შალვა: — ფუ, შენს თავს!
ტოტს რომ არ მოსდებოდაო,
აქამდის ათი თევზიც კი
რიყეზე მეწყობოდაო!
რაღა ღონე მაქვს, ზედ უნდა
ავიდე ხეზე მაღლაო
და უნდა ჩამოვიტანო
ჩემი ანკესი დაბლაო!
და შემდეგ შალვა საჩქაროდ
იმ მაღალ ხეზე ავიდა,

ტოტს ცოცვით გაჰყვა და თითქმის
თვით ანკესამდე გავიდა.
მაგრამ რომ წყნარად მოჰკიდა
ანკესის ძაფსა მან ხელი,
უეცრად ტოტი შეინძრა,
და ისმა ჭეხა ფიცხელი:
ხეს ტოტი მოხლჩა და ქვემოთ
იმას ჩამოჰყვა თან შალვა,
და რამდენჯერმე მოუხდა
გუბის ფსკერამდე ჩამალვა.
შემდეგ რის ვაი-ვაგლახით
ნაპირზე გამოაღწია
და მწარედ ატირებულმა
თავის სახლისკენ გასწია.

* *

შალვას ჰყავდა ერთი შავი
ტანწოზრდილი ძაღლი მურა,
კოჭდაბალი, წარბშეხრილი,
ბანჯგვლიანი და გრძელყურა.
დღისით მურა მუდამ მზეში
გარეთ იწვა უსაქმურად,
და ღამით კი სახლს უვლიდა
ფარეშემო ყარაულად.
ერთხელ ფეხებმოკეცილი
იწვა ძაღლი სახლის წინა
და ყურებძირჩამოყრილი
თვლემდა წყნარად და ეძინა.
შალვამ თუმცა კი იცოდა,
რომ ხუმრობა სძულდა მურას,
მაგრამ მაინც მიეპარა,
ფეხი წაჰკრა იმ გრძელყურას.
ძაღლმა ცოტად შეუღრინა
ჯერ დიდად არ გაგულისდა,
და ამითი ჩვენი ცელქი
უარესად წახალისდა.

გაახელა, გააბრაწა,
დააჭირა კუდზე ფეხი,
და მაშინ კი ძაღლი უცებ
წამოიჭრა, როგორც მეხი,
დაიღრინა საზარელად,
წამოვარდა ფეხზე მურა,
და უეცრად საკბენელად
შალვასაკენ გაეშურა,
დაუყეფა მრისხანებით,
ფეხზე სტაცა ყმაწვილს პირი,
და ამ სახით თავს დაატყდა
შალვას ეს ახალი ჭირი.
შიგ ტალახში წაქცეული
შალვა შიშმა გააშტერა,
მას იმ დრომდის ჰკბენდა ძაღლი,
მანამ გული არ იჯერა...
მის ყვირილზე იმისაკენ
დედამისი გაეშურა
და გულდალმა მდებარ შალვას
მურა ძლივსღა მოაშორა.
სანამ საწოლს ჩააწვენდა,
ფეხზე სისხლი გადაჰბანა
და შემდეგ კი საექიმოდ
მას მკურნალი მიუყვანა.
საჩქაროზე შეუხვიეს
შალვას ფეხი დაკბენილი,
რაღაც ასვეს — და ლოგინში
დიდხანს იწვა მოწყენილი.
ბოლოს ძლივსღა მომჯობინდა,
როგორც იყო, ადგა იგი
და მომავალ ცხოვრებისთვის
დაიჭირა თადარიგი.
თქვა, რომ — დედის უნებურად
აღარ წავალ აღარსადო,
თორემ როსმე დავისჯები

ამაზე უარესადო!
ამ ბოლო დროს კარგ ჭკუაზე
დამაყენა მე მურამო,
გულდიდამ და კბილალმასამ
ჭკვიანმა და გრძელყურამო!

* *

მინდორში სეირნობის დროს
შალვას რაღაცა მოესმა,
და თავისაკენ იწვევდა
გასართობელად მას ეს ხმა.
მივიდა გამხმარ ხის ძირში
და წიგნი გვერდით დაიდო,
დაჯდა და ჩაფიქრებულმა
ჩუმად ხმას ყური დაუგდო.
და ნახა: ტოტზე ბუდიდან,
შავი და ტიტველაები,
გადმოსცქეროდნენ მას თავზე
ჭილყვავის ბახალაები.
ბავშვმა შესძახა: — გენაცვა,
რა სანახავი ვნახეო!
მე ამათ დასაჭერადა
არ დამჭირდება მახეო!
უფრთონი ვერსად წამივლენ,
მსწრაფლ გადმოვიტან კიბესო
და ამ პატარა ცელქებით
წამზე ავივსებ უბესო!
და შემდეგ იმან ბაღისკენ
გასწია საჩქაროზედა,
ოფლის ღვრით კიბე მოზიდა
და მიაყუდა ხეზედა;
კიბის წვერამდე ავიდა,
მაგრამ მის ბედისწერაზე,
კიბე შეინძრა და შალვა
ქვემოთ დაეცა ყირაზე.

კისერი დაიზიანა,
თან იღრძო ფეხი და მკლავი
და საწყალს გულით ამოხდა
ქვითინი გულის დამწვავი.
შინ რომ მივიდა, გადიამ
უთხრა: — ნუ გვასმევ შხამსაო,
სულ შენი დარდით მთელ ოჯახს
ნუ გვცემ თავს შიშის ზარსაო.

* *

ერთხელ დილით სასეირნოდ
გამოვიდა შალვა მინდორს,
ბუჩქნარები გაირბინა
და წავიდა სახლიდან შორს.
იქ მან ნახა ყვავილები
და იმაზე პეპელები,
მივიდა და დასაჭერად
დააფარა მათ ხელები.
მაგრამ რაც კი დაიჭირა,
შემოაკვდა ხელზე ყველა,
და ამით გულდაწყვეტილი
შალვა ხის ძირს დაჯდა ნელა.
თქვა: ამ საწყალ პეპელებმა
რა მაწყინეს, რა მიმტრესო?
რად ეუმოკლებ უბედურებს
უმისოდაც მოკლე დღესო!
მოდი, ფრინველებს ყურს დავუგდებ
და ვისწავლი იმათ ხმასო,
იმათსავით ნარნარ ჭიკჭიკს,
ჰანგის ნაზად გამოთქმასო!
და შემდეგში ფიქრს მიეცა
დაუმცხრალი მოცელქარი,
ფრინველთ ყღივილს მას ყურებთან
უზიდავდა შორით ქარი;
ხან ბულბული დაუსტვენდა

და ხმას ცამდე ააფრენდა,
ხან ტოროლა დასძახებდა
და შალვას გულს ლხინსა ჰფენდა.
მაგრამ ამ დროს უცბად შალვას
ტანს რაღებმაც უწყეს კბენა,
შეკრთა ბავშვი... დაავიწყდა
მას ფრინველთა ხმა და სტვენა!
სახლისაკენ მიაშურა,
თან ყვიროდა: —მომხედეთო,
ჭინჭველებმა გამაგიჟეს,
ტანსაცმელი გამხადეთო!
მის ყვირილზე გამოიჭრა
ოთახიდან შალვას დედა,
გახადა და სხვა სამოსი
მან ჩააცვა შვილს ტანზედა.
და უთხრა შვილს: — საძაგელო,
ნუ მკლავ, შიშით ნულარ მლევო,
თორემ არსად არ გაგიშვებ,
ბნელ ოთახში დაგამწყვდევო!

* *

შალვას სადღაცა ეშოვნა
თოფის წამალი ერთ დილას
და შიგ ურევდა მას გოგირდს,
ნახშირს და ცოტა გვარჯილას;
და თან ამბობდა: — ქაღალდში
ჩავყრი ამ მასალასაო
და მაღლა ცაში ავუშვებ
ცეცხლსა და მაშხალასაო;
თუმცა კი მამა მიშლიდა
ამნაირ ცელქობასაო,
მაგრამ ის სახლში არ არის
და ვერვინ გამცემს ხმასაო.
თქვა და ქაღალდში გახვია
მან შეკრებილი მასალა

და ცეცხლი გამოიტანა,
რომ მით აენთო მაშხალა.
მაგრამ უეცრად ქაღალდში
იფეთქა თოფის წამალმა.
და მსწრაფლ დამალა ყმაწვილი
იმისმა კვალმა და ალმა.
ზურგით მიწაზე დაცემულს
შალვას გონებამიხდილსა
ეგონა, რომე დღეს ვეღარ
გადაურჩება სიკვდილსა.
მას პირისახე სრულიად
სხვაგვარად გამოეცვალა,
სახე დაუსკდა და თავზე
შავი თმა გადაეცალა;
თვალებზე გრძელი წამწამნიც
გადაეტრუსა, აეწვა,
გადაეშუშა წარბები
და ლოყებიცა დაეწვა.
კიოდა: — შემიბრალევით
საწყალი ბედით შავიო,
უწარბ-წამწამომ და უთმომ
სადღა გამოვყო თავიო!
არ გასჭრა ჩემზე მშობლების
რჩევამ და დარიგებამო,
დამსაჯა დაუდეგრობამ,
ურჩობამ, უგნურებამო!
მას შემდეგ თუმცა კი შალვა
შეიქმნა წყნარი და დინჯი,
მაგრამ ის, წინათ ლამაზი,
აწ დარჩა გონჯი, მახინჯი.

1884 წ.

მ ხ ე დ ა რ ი

(აღმოსავლეთის ხალხთა თქმულებიდან)

I

სიცხით გადამწვარ მინდორზედ
მიჰქრის არაბი ცხენითა,
მოცურავს ოფლში მერანი,
მიდის და მიდის ქშენითა.
ყურს უგდებს მხედარს მასზედ მჯდომს,
ქუსლი არ მკრასო, ფრთხილდება,
ოდნავ სადავის შეხრაზედ
კორდით კორდს გადაფრინდება.
მკვირცხლობს და ილტვის მალხაზი,
ვარსკვლავებს ეთამაშება,
ხან ძირს გაიქნევს ლამაზ თავს,
უნდა სადავის დაშვება,
ხან ყურებს წასცქვეტს კეკლუცად,
ერთს ალაგს დააცქერდება,
მაგრამ არ ურჩობს მფრინავი,
მიდის და არა ჩერდება.
ამაყადა ზის მხედარიც...
ის ალხენს თავმომწონესა,
რომ არ უკლია ოდნავაც
ჯერ მის საყვარლის ღონესა,
ისევ წინანდლივ თამაშობს,
ხტის, არ ჩერდება გზაზედა,
თუმცა კი მრავალ განსაცდელს
უკვესავს იმათ თავზედა...
დაჰხარის მერანს მხედარი,
მიჰფრენს შევარდნის მსგავსადა,
არ გასცემს თავის მეგობარს
მთელ სოფელ-ქვეყნის ფასადა.
იგი შავფათერაკისგან
მას არაერთხელ უხსნია,

ხშირად გამქრალა უკვალოდ
რა მტერი მტერად უცვნია,
ხშირად ლომ-ვეფხვთა ბრჭყალთაგან
პატრონი გადურჩენია
და დღის სავალი ერთ წამში
ქარივით გადუფრენია...
მიჰქრის მხედარი... ცხენის ფეხს
ხმას აძლევს აბჯართ ჟღერანი...
რაღად ღირს მისი სიცოცხლე,
რომ გასცეს მისი მერანი!
ტყვილა ევედრნენ თავადნი:
უთხარ შენს მერანს ფასიო,
ოქრო და ვერცხლი აიღე,
მიიღე ერთში ასიო!
აქლემის ჯოგებს დაგითვლით,
მოგიყვანთ ჯორს და ცხენსაო,
შენს სიცოცხლეში ვერ დალევ
მაგ ცხენით შენაძენსაო...
ძლიერ განრისხდა თავადი
რაკი არ დამყევ ნებასო;
დროს მოგინახავ, შეგხვდები
და ძალით შეგყრი სნებასო;
ვნახოთ — ვინა სჯობს ჩვენ ორში
მჯობნს დარჩეს შენი ცხენიო:
ჯაბანს რად უნდა მფრინავი,
ვაჟკაცის დამამშვენიო!
ეს როგორ ჰკადრეს გმირ მხედარს?!
ვინ არს მის მჯობნი ჯარშია,
ვინ არს იგეთი, რომ იმას
არ გაჰქცეოდეს ხმალშია?!
მტერთან მან იცის მტერობა,
კაცთან დახვდომა კაცადა,
თუმცა კი სისხლი მართალი
არ დაუღვრია არსადა.

II

მიჰქრის მხედარი... არსად ჩანს
მწვავის სიცხისგან საფარი;
მიდის და მიდის... გულზედ სცემს
მფრინავ მერანის ფაფარი.
ველარც კორდს ხედავს ველარსად,
არც ხე ჩანს, აღარც ჩრდილია:
ყრუ, უმცენარო უდაბნო
შორით შორს გადაშლილია.
ღმუიან შორეს მხეცები,
ისმის ქვემძრომთა სისინი:
სუნი აიღეს ცხოვლისა
და მას ეძებენ ისინი.
ქვიშად ქცეული მიდამო,
ქარი ღრიალებს საზარი
და მისგან აყრილს მტვერბუქში
ძლივსღა ჩანს სადღაც მხედარი.
ფიქრობს: ვაი მას, ვისაც რომ
აქ ცხენი მოუკვდებაო,
ვინც ვერ გაასწრებს ამ ქარბუქს
და ნადირთ წერა ხდებაო...
მიდის მხედარი... ხედავს შორს
რაღაც გამოჩნდა შავადა,
კაცად შეიცნო, შეჰბრალდა,
გულს სევდა მოხვდა მწვავადა,
მერანს ქუსლი ჰკრა, გაქანდა,
მგზავრს დაეწია ერთ წამა...
მგზავრი მიღოღავს: თითქოს მას
მთელს კვირას არრა ეჭამა:
სულ მოხრილიყო, სამოსი
მხარ-ბეჭზე გადახეოდა,
სახეს მალავდა, თითქოს მას
თვის სიგლახაკის რცხვენოდა,
მხედარს შესძახა: „იკურთხოს

უფლით სახელი შენიო!
მომხედე, ბედკრულს, სიკვდილის
ხელიდან დამიხსენიო.
თუმც კი ვარ ვინმე გლახაკი,
თუმც კი ვტანტალებ უქმადო,
მაგრამ კაცი ვარ, ნუ გამხდი
ამ მხეც-ნადირთა ლუკმადო!..“
მხედარმა ცხენი მიაგდო,
უთხრა: „შემოჯექ შენცაო,
კარგსა და გლახაკს სუყველას
ერთგვარად დასცქერს ზეცაო“.
გლახაკმა უთხრა: „არ ძალმიძს,
ვერ შემოვაწევ ცხენზეო,
წელს ვეღარ ვმართავ, სიბერე
დიდ ტვირთად მადევს მხარზეო.
ცხენით გადმოხტი, ამწიე,
შემსვი როგორმე ზედაო,
ღვთის ხარ, ღვთიურად მოიქეცი,
გიცხონდეს მზრდელი დედაო!...“
ცხენით გადიჭრა მხედარი,
მგზავრს ხელი სტაცა წელზედა,
მუხლი შეუდგა, ასწია,
და ერთ წამს შესვა ცხენზედა...
რა შეჯდა მგზავრი მერანზედ,
შეირხა, წელი გამართა,
უცებ სადავე მოსწია
და ცხენი ყალყზე ამართა.
ქუსლი ჰკრა, ცხენი ათრთოლდა,
თავს გაეწია, აქშინდა,
მერცხლისებრ შეიტრიალა
და შავარდნულად გაფრინდა.
ძლივს შეაჩერა მოშორედ
მან ცხენი დაუდეგარი,
უკუ იხედა, მწარედ დგას
დადუმებული მხედარი.

და დაუძახა: „ხომ გახსოვს,
ერთხელ რომ დაგექადეო,
მე ვარ ის ბიჭი... სიცოცხლე
საგლოვად გაგიხადეო.
შენი მერანი ხელთ ვიგდე,
ეს მიჩანს ქვეყნის თვალადო,
შენ შენის ნებით არ მომეც,
მე წავიყვანე ძალადო...“
შორით შეჰბღავლა მხედარმა:
„გყავდეს, რაღა მაქვს ღონეო,
მაგრამ მაქვს ერთი სათხოვნი
და ერთს წამს გამიგონეო:
მფიცე, რომ არვის არ ეტყვი,
რა ჭირსაც შემამთხვიეო,
რა ხერხით შემყევ, მიმუხთლე
და ცხენი გამომტყუეო!“
გულში ჩაფიქრდა თავადი:
აქ რაღაც იმალებაო,
მხედარს უძახის: „რად არ გსურს
ამ ამბის გამეღავნებაო?!.“
„იმისთვის, — უთხრა მხედარმა, —
რომ ვინც ამ ამბავს სცნობსაო,
ტკბილ გრძნობას სიბრალულისას
თვის გულში ჩაიქრობსაო.
რაც მე გადამხდა, ეს საქმე
მყის შეაშინებს ყველასო
და კვალად ვეღარ გაჰბედავს
აწ კაცი კაცის შველასო.
ნუ გამხდი ამის მიზეზად,
იგრძენ ეს წმინდა ვალიო:
კაცი კაცს აღარ ენდობა
და დამედება ბრალიო!“
მძიმედ ჩაფიქრდა თავადი...
ცხენით გადახტა მედგრადა,

წამოიჩოქა ცალ მუხლზე
მხედარის შესავედრადა.
უთხრა: „რაცა სთქვი, შევიგრძენ,
მართალი ბრის ყველაო,
შურმა და თვალის სიხარბემ
გონება დამიბნელაო.
შენ ამაშორე ბოროტ გზას
და კვლავ კაცს დამამგვანეო,
შემინდევ ცოდვა... ეს ცხენი
ისევ შენ წაიყვანეო!“
სთქვა და მშვიდ მხედარს მის წინ მდგომს
მიჰგვარა სიყვარულითა,
მკლავი მკლავთ გადაახვია,
გულზედ მიეკრა გულითა,
ჰფიცა და ისიც აფიცა
ჭირ-ლხინში გასატანადა,
შეჰკრეს მათ აღთქმა უცვლელი
საფლავში ჩასატანადა.

1895 წ.

საგრალო გაგუა

ქარი ქრის, ქარი ზუზუნებს,
ჯოჯოხეთური ღამეა...
ოჰ, ეს გულქვავი გრიგალი
რა უზოგავი რამეა!
ასწლოვან ხეებს წელში ხრის,
ღრიალებს როგორც აფთარი.
ძლივსღა დაღოღავს ცხოველი,
უსმელ-უჭმელი, გამხდარი...

ქარი ქრის, ქარი ზუზუნებს,
მთა-ბარს გაუდის ბღავილი;

თვის დედას, მიწას, მზრდელ მკერდზე
კენესით დააკვდა ყვავილი.
თოვს და თოვს... მისი ფერფლები
ბრწყინავენ ათასფერადა,
კოვის ქარბუქი, ცას ბურავს,
თოვლს აბნევს ნიავ-მტვერადა.
ღამეა, ღამე შავკუპრი,
ჯოჯოხეთური, ბნელეთი,
მოთქვამს და ტირის ქარბუქთან
ყინვით შეკრული ხმელეთი.
ცის თაღი ჩამოღუშული,
მწყრალი, პირქუში რამ არი,
მნათობნი არა ნათობენ
ცა ბნელობს, როგორც სამარი.

თოვლში ჩამდგარი მკერდამდის
მოდის ბილიკზე ზალიკო,
გზა აჰბნეოდა, მოხუცი
სხვა გზაზე გადამდგარიყო;
კორდი კორდსა ჰგავს, სერი სერს,
მთლად დაჰკარგოდა გზა-კვალი,
ღამე რას ნახავს, როდესაც
დღისით ღალატობს მას თვალი!

მოდის, მოაპობს თოვლ-ნამქერს,
მხნეობას არის ჩვეული,
მაგრამ დღეს რა ქნას ბედშავმა:
სიბერე ახლავს წყეული!
მხარს შვილიშვილი შეუსვამს,
რვა წლის გიგოლი ობოლი,
სიცივე ჰყინავს საბრალოს,
და თრთის, ვით ვერხვის ფოთოლი...
მოდის მოხუცი, გზას ებრძვის,
მოარღვევს ქარბუქს მკერდითა,

სერით სერებზე გადადის,
მოდის ფერდობზე ფერდითა.
ღამე მთლად ჩამოშავკუპრდა,
ჩაჯოჯოხეთდა, ჩაბნელდა,
ბუქმა შეხუთა ჰაერი,
გზაზე სვლა უფრო გაძნელდა.

ეჰ, წახდა საქმე! მუხლებში
მოხუცს უმტყუნა ძალამან,
ნაბუქრის რღვევამ მოქანცა,
სულიც კი დაუღალა მან.
უშტოო ხის ქვეშ ჩამოჯდა,
ვერც სძრავს ყინვისგან ენასა,
ყურს უგდებს მთების გოდებას
და მწარ ქარბუქის ღრენასა.

— ბაბუ! გამყინა... გავშეშდი,
ძლივსღა ლუღლუღებს გიგოლი.
— იკივლე! იქნებ გაგვიჩნდეს
ვინმე სოფლამდე მიმყოლი
თორემ ქარბუქი მატულობს,
თავზარსა მცემენ ეს ხმანი;
სადღაც გადაგვჩეხს გრიგალი,
დავიღუპებით, ღმერთმანი!
კივის ზალიკო... თითქოს გრძნობს,
ღონე მოეცა, მხნე მასა,
კივის და, კვალად ყურს უგდებს,
ელის ხმის გამოცემასა;
მაგრამ ხმა არსით არ არის,
ისმის კვლავ ქარის ზუზუნი
და დაგლოვებულ ქვეყანას
თავს აწევს ღამის უკუნი...
ფეხზე წამოდგა ზალიკო,
მიდის და მიდის ქშენითა,
ქარი კი გულ-მკერდს უსერავს,
წინ ხვდება მკაცრი ღრენითა; —

ხან მარჯვნივ ხევში გადაჩეხს,
ხან პირში შეუგუბდება;
წამის სავალ გზას მოხუცი
თითო საათი უნდება...

ამისი ცოდვა მიეცა,
ვინც ეს ჩააგდო ამ დღეში:
მოხუცს პატარა გიგოლი
ჰყავს ერთადერთი ნუგეში.
ამის სწავლებას ფიქრობდა,
სურდა მიეცა სკოლაში,
ამბობდა: სწავლა ხმალია
ამ ცხოვრებასთან ბრძოლაში".
სწავლის დაწყებას ელოდა,
დღეს დღეზე თვლიდა მიყოლით;
აგვისტოს დამლევს ჩავიდა
ქალაქში თავის გიგოლით;
მაგრამ მას უთხრეს: — რა გიყოთ,
ადგილი არ გვაქვს კლასშიო,
თუ მოგვგვრი, მაგას მივიღებთ
უეჭვოდ იანვარშიო!

ეს იანვარიც დაუდგა,
ქალაქს წავიდა ზალიკო,
ნახა უფროსი სკოლისა,
აივანს გადმომდგარიყო.
უფროსს იმისი დანახვა
რომ არ სწყენოდეს, არ იყო,
ეს შეამჩნია მოხუცმა
და ცოტა შეკრთა ზალიკო,
წამოიჩოქა, შევედრა:
— მოიახლოვე ღმერთიო,
ჩემს მოხუცობის იმედად
ეს დამრჩა ერთადერთიო:

ნუ დამიტოვებ უსწავლელს,
მიიღეთ გიგა კლასშიო,
სწავლა სწყურია, მასზე სწუხს,
ვერ დავაკავე სახლშიო!
მაგრამ არ გასჭრა ვედრებამ,
ვერ მოალბუნა ქვა გული;
უარი უთხრეს... დგას ზაალ
სევდით გონებადაბმული.
ფიქრობს: — რა ღმერთის წყრომაა,
სულსა გვხდის ხარჯთა კრეფაო,
თუ სკოლისათვის არ უნდათ,
მაშ სად ჯანდაბას ქრებაო?!

კვლავ ევედრება: — ნუ დამკლავ,
დამყეკ თხოვნაზე ნებასო;
ბავშვი მიიღე... პატივ ეც
ამ ჩემ ღრმა მოხუცებასო!
მაგრამ უფროსმა დაჰბღავლა:
— გასწი, შე მაწანწალაო;
თავსაც მაბეზრებ, ქოფაკო!
ხედავთ, მოსწყურდა სწავლაო!
და გამოაგდეს ზალიკო...
დაბრუნდა უკან ბედკრული,
თან მოსდევს მისი გიგოლი,
თვალცრემლიანი, მოკლული.
გზაში ქარბუქი აუტყდათ,
მოვიდა თოვლი მაღალი,
და მრავალტანჯულ მოხუცსა
დაატყდა ჭირი ახალი...

* *

მიდის მოხუცი... ღამე კი
უფრო და უფრო ბნელდება.
ქარი კვლავ ძალზე გაჰკივის,
თოვლის გვას აღარ სჯერდება!

მიწასაც იღებს, ბუჩქსაც ჰგლეჯს
უძალესია მეხზედა,
თოვლს აყრის პირში ზალიკოს,
აღარ აყენებს ფეხზედა.
ვაიმე! მოხუცს ქალმნები
ფეხზე სულ შემოსცვეთია,
ოფლი ყინვებად ქცეულა,
მკერდით რომ ჩამოსწვეთია.
ჩამოჰხევია საყელო,
გაშიშვლებია გულ-მკერდი...
ფუი შენ, ბედო, თუ მშრომელს
ამგვარ მწარ ბოლოს უწერდი!
ღონე აღარ აქვს საძრავად,
ბუქისგან სული გუბდება,
ფორთხავს და ზეზე ვერ დგება,
უცბად რომ გადაბრუნდება;
ყინვამ გათოშა ძარღვები,
წარბებსაც ყინვა ჰკიდია,
მაჯაც მისუსტდა... მკვდარია,
თუმც სული პირში ჰკიდია.
იქვე ძველ თხრილში ჩაყუჩდა,
გულში ჩაიკრა გიგოლი,
ტანზე გაიძრო საცმელი,
მითი შეჰბურა ობოლი.
თვითონ კი დარჩა ტიტველი,
დარჩა პერანგის ამარა,
ოღონდ გიგოლი გადარჩეს,
სხვა იმას არა უნდა რა!

* *

გრიგალი ღმუის, ცა კვნესის,
შფოთავს და ტირის მიდამო...
მხეციც სოროში იძუძგვის,
გავლას ვერ ბედავს მის გამო.
ჩიტიც კი ბედნიერია,
მისთვის ჯაგები მზად არი,

მხოლოდ ჭირნახულ ზალიკოს
არა აქვს არსად საფარი.
ზის უმოძრაოდ ძველ თხრილში,
გიგოლი გულში უკვრია,
დალურჯებია მკლავები,
თავი ძირს გადაუხრია,
რაღაც უგრძნობლად გამხდარა,
უსიტყვოდ გარინდებულა,
ბეჭზე გამსკდარი პერანგიც
ნაფლეთად გადაგდებულა.
მაგრამ სიცივეს ველარ გრძნობს,
მძლედ ეკიდება თვალს ძილი.
წინ ელანდება ჩვენება,
რაღაც გრძნეული აჩრდილი...
ფერად სიზმრებში დაცურავს,
ხედავს ტკბილ მხარე-სამყაროს,
აქ არ სჭირდება ოფლის ღვრა,
აქ უკვდავების სვამს წყაროს.
მას ელანდება, რომ სხვებთან
სწავლობს იმისი გიგოლი,
ხედავს, რომ იგი პირველობს,
რომ არვინ არის მის ტოლი;
და ალხენს თავის ცხოვრების
ამგვარად გარდაცვალება,
გრძნობს, რომ აქ არის საზღვარი,
აქა თავდება წვალება...

* *

დილაა... თოვა გადიღო,
ქარმა ღმუილი შეწყვიტა,
ამოანათა წყნარად მზემ,
გიგოლს თვალებში შესჭვრიტა;
ყმაწვილმა უცბად სამოსი
გაიძრო, თავი ახარა,

მზეს რომ შეხედა, ლხენისგან
კინაღამ ცრემლი დაღვარა.
ბაბუს შესძახა: — გადავრჩით.
აწ კი მივაღწევთ სახლშიო,
მიდამო მიტკბა... გავსწიოთ,
მეც თან მოგყვები მხარშიო...
მაგრამ ბაბუა მუნჯად ზის,
ხმას აღარ იღებს ზალიკო...
კვირობს გიგოლი: მის უმალ
ეს უნდა წამომდგარიყო!
ხელს ჰკიდებს მოხუცს, ჩასძახის,
აღვიძებს, არყევს ძალზედა.
მაგრამ რაღაცა შენიშნა,
შეფრთხა და გახტა განზედა:
ბაბუა გვერდზე გადიქცა,
დევს მოკრუნჩხული, უძრავი
კისერი გაშეშებია,
ჩამოვარდნია ძირს თავი.
ჩაღრმავებია თვალები,
კბილები დაულრჭენია,
ზედ მიჰყინვია ხორცი ჯოხს,
ცალ ხელში რომა სჭერია.
ლურჯად მოუჩანს მხარ-ბეჭი,
სახე აქვს ყინვით დამჭკნარი,
დევს უმოძრაოდ, უსულთქმოდ,
შესაშინელი, საზარი...
ერთხანს ყრუდ იდგა გიგოლი,
მუნჯობდა, ვერას ამბობდა,
გადიდებოდა თვალები,
თითქოს გასკდომას ლამობდა.
შემდეგ გაერკვა, აღშფოთდა
ელდით და გულის ტრიალით,
შეშინდა, გაჰკრა, გაიქცა
სოფლისკენ მწარე ღრიალით...

• •

მას აქეთ განვლო დიდმა დრომ,
ბევრი რამ მოხდა ცვლილება,
ცხოვრების ბრძოლამ მაგემა
მე მწარე გამოცდილება.
და შავ ფიქრებით მოცულმა
სოფლით შორს ვიწყე მგზავრობა, —
შორს გავურბოდი მწარე ფიქრს,
რაკი დამიწყო მძლავრობა.
ამ მგზავრობის დროს სამარე
ვნახე მე განმარტოებით,
ვნახე და იმის მახლობლად
შევჩერდი მცირე დროებით.
გორაკზე იდგა, გარშემო
ახლდა კორდები, სერები,
ტურფად ქარგავდნენ მათ კალთებს
ყვავილნი ათასფერები.
გულმტკივნეულად უცქერდა
შორით მას მწვანე ტყე-ველი,
ყოველმხრივ იდგა სიმშვიდე,
სიწყნარე შეურყეველი
საფლავს გარს ერტყა ჯგუფ-ჯგუფად
ხევნარი მრავალშტოვანი,
მის ქვეშ მწვანობდა ბალახი
ნორჩი და ხავერდოვანი;
უქროდა წყნარი ნიავი,
ფოთლებს გაჰქონდათ ჩურჩული,
მათ თავზე ჰაერს აპობდა
მერცხალი, როგორც შურდული.
იქ იდგა ძეგლი უბრალო,
იმ ძეგლს დავუწყე მე ცქერა;
„აქ წევს საბრალო ბაბუა“ —
ძეგლის გვერდს ასე ეწერა.
მის სისუფთავის შეხედვით
ტკბებოდა სული და გული,

ირგვლივ მიდამო ყოველმხრივ
იყო დაწმენდილ-დაგვილი.
იქ იჯდა ორი ყმაწვილი,
ქალი და ვაჟი პატარა —
ვაჟს რომ შევკითხე, მან ირგვლივ
სამარე შემომატარა.
და თქვა: — ჩვენ გიგოს შვილნი ვართ,
აქ პაპა ზაალ წევსაო,
როცა კი მოვა მამა აქ,
მწარე ცრემლს დააქცევსაო,
მიტომ რომ პაპას გიგოსი
კლასში მიცემა სდომოდა,
მაგრამ იქ სკოლის უფროსი
თავის რჯულს გადასდგომოდა,
გიგოლი აღარ მიეღო,
და პაპაჩვენი ზალიკო
რომ მოსულიყო ამ ალაგს,
აქ ბუქში ამომხრჩვალიყო.
მამა დღეს უსწავლელია,
ჩვენ კი გვზრდის ყველა შვილებსო,
აქ ნაშუადღევს მოვდივართ
და ვსწავლობთ გაკვეთილებსო.
კვლავ შევეკითხე: — ეგ კარგი,
სწავლა ძვირფასი რამ არი,
მაგრამ საფლავთან რომ სწავლობთ,
ნუთუ არა გაქვთ სახლ-კარი?
—სახლი გვაქვს, მაგრამ აქ ვსწავლობთ,
ხშირად აქვე ვჭამთ პურსაო,
ეს მიტომ, რომ ზალიკოს
სულ ჩვენთან ყოფნა სურსაო:
როცა გაკვეთილს ვკითხულობთ,
ყურს გვიგდებს, როგორც მართებსო,
თუ კარგად ვიტყვით, „ჰოს“ ამბობს,
თუ გლახად, — სიცილს მორთავსო,

მას ჩვენი სწავლა ახარებს,
სიხარულს ვეღარ მალავსო,
რომ მოვალთ, გვესმის ჩურჩული,
ღიმილით გვაძლევს სალამსო.
ვაი, რომ იგი მკვდარია,
მკვდარი ვერ წამოდგებაო,
თორემ ის მუდამ ჩვენ გვხედავს,
ჩვენი ხმაც ეყურებაო!

კვლავ შევეკითხე: — „გინახავთ
თქვენ თქვენი პაპა ზალიკო?“
— არა, — მათ მითხრეს, — აკი ვთქვით,
ის ბუქში ამომხრჩვალიყო,
რით ვერ გაიგე, ნეტავი?
ის აღარ არის მის გვარში,
მხოლოდ ღამ-ღამით შემოდის,
ვნახულობთ მარტო სიზმარში.
მას სიზმრად როცა ვნახულობთ,
ყოველთვის არის მწუხარი,
სცივა, ცეცხლს ეძებს, ძირს ფორთხავს,
უნდა რომ ნახოს ბუხარი.
ფორთხავს და ჩუმად ბუტბუტებს,
იტანჯვის სულთან ბრძოლაში,
ალბათ, იხრჩობა ქარბუქში,
ან გიგო მიჰყავს სკოლაში,
როგორც ინათებს გაჰქრება,
ლანდს ვხედავთ ანაწყოლ მისას,
ალბათა შიშობს, არ შეხვდეს
იმ წყეულს უფროსს სკოლისას...

* *

ბავშვის გულწრფელმა სიტყვებმა
აღმიძრა მწარე ფიქრები...
გულში ვთქვი: როგორც ზალიკო,
ჩქარა მეც ისე მივქრები!

მაშ რისთვის ვზოგავთ სიცოცხლეს,
რად არ შევმუსრავთ იმ ძალსა,
რაცა კარს განათლებისას
უხშობს დღეს მშრომელს საწყალსა?!
ვხედავთ, რომ მტარვალთ გუნდები
ჩვენ ტანჯვას აღარ კმარობენ,
ჩვენს ქედით ნაკრებ სიმდიდრეს
ჩვენს ასალაგმად ხმარობენ!
სწავლა კი, სწავლა ხალხისა,
მტარვალთ მმუსრავი ხმალია,
და გზას უკრავენ მისთვისაც,
მით ჯერ ვერ გაგვიხარია.

1912 წ.

განთიადი

I

გათენდა და მზე არსად ჩანს,
არ აბრწყინებს ცას მის სხივი,
ხმელეთს ნისლი გადაჰკვრია
და სტვენს ქარი ის გულცივი.
ზღვა ჰქუხსა და ზღვა როყინებს.
ქეჩოსა ჰყრის და პირს აღებს,
გულზე ქაფი ბრაზად ადგას,
თავს ევლება ტალღა ტალღებს.
ზღვის ნაპირას კორდი სდგია,
კორდზე მოჩანს ხალხის გროვა
მუშათგროვა დატანჯული
გულმწუხარე, ვით თვით გლოვა.
მწუხარება თავზე აწევსთ,
რაღაც სტანჯავს, თითო მათგანს,

საგანი აქვთ და ყველას სურს,
რომ ემსხვერპლოს ამ დიდ საგანს...
ის, რომ შრომით დღეებს ლევენ,
შუბლს ოფლი ვერ შეუშვრიათ,
მათის შრომით სხვა მდიდრდება,
თვით კი შიათ, მუდამ შიათ!
შია დედას. ქოხში მშრომელს,
გაუშრია ძუძუ შიმშილს,
კნავის შვილი უსუსური
და ვერ შველის დედა თვის შვილს.
უძლურ მოხუცს პური უნდა,
მაგრამ არ აქვს ლუკმა პური
და გულიდან ხშირად გჯება
შვილზე წყევა, საყვედური.
მას ჰგონია, მისი შვილი
იქ, მუშებთან, ქეიფშია,
ის კი, ღონემიღებული,
მარტო წევს და მუდამ შია...
ვინც არ შრომობს თვით სამოთხის
კარი არის მისთვის ღია,
და ამ მუშას, ოფლში მცურავს,
კუპიც კი ვერ გაუძღია.
და ამაზე ზღვის პირს კორდზე
იქ მუშები თათბირობენ,
ზედ ატყვია ყველას სახეს,
რომ ძნელს რასმე აპირობენ.

II

მუშათ შორის დგას მაღლობზე
შავთვალწარბა ვიღაც ვაჟი,
სიტყვას ამბობს რწმენით სავსეს,
ცეცხლებრ ჰკვესავს, ვით ტალ-ტაჟი.
ამბობს: ძმებო! ჩვენი საქმე
წმინდაა, თუ ეუგდებთ ყურსო!

რას გვერჩიან როს გვართმევენ
ოფლით ნაშოვნ ლუკმა პურსო?!.
ნუთუ ჩვენცა კაცნი არ ვართ,
არ გვაქვს აზრი, არც გრძნობაო?
რათ არვის სურს ჩვენი გულის
მწუხარების გაცნობაო?
პირუტყვს ჩვენზე მაღლა სთვლიან!
რაღა დაგვრჩა ჩვენ კაცისო?
რაღათ გვბორკავს ჩვენ კანონი
ან ამ ქვეყნის და ან ცისო?
ჩვენი კვნესა ზეცას სწვდება,
ოფლი ქვეშ ზღვად გადიქცაო,
მაგრამ ჩვენთვის ორნივ ყრუა —
ქვეშ მიწა და ზემოდ ცაო!
ყველა ჩვენ გვთვლის დაბალ ღობედ,
ქედს ამაყად გვაზიანო,
უწმინდურის, ბინძურ ფეხით
ჩვენს გულ-მკერდზედ დადიანო.
შენ მუშა ხარ —ჩაგვძახიან —
შენ გლეხი ხარ, შენ ყრუ ხარო!
წილად გერგო მწუხარება
და ღირსი ხარ, თუ სწუხარო!
მიწა მდიდარს მიათვისეს,
ჩვენ უმიწოდ დაგვაგდესო, —
და მწარს შრომით შორს ქარხნებში
ჩვენ ლუკმა პურს ვეძებთ დღესო,
აქაც ნაშრომს გვიკავებენ,
აქაც გვჭამენ და გვთლიანო;
კაცის სახით დავალთ, თორემ
პირუტყვებად კი გვთვლიანო!
კმარა ტანჯვის ასე თმენა
თავს გადმოდის საწყაულსო,
კმარა!.. ჩვენვე ჩვენი ძალა
დაგვანახვებს სასწაულსო!
ვსთხოვოთ მტარვალს მოგვცეს ჩვენი,
ნუ გვჭამს ცოცხლივ, ნუ გვღუპავსო!

სდუმდა ვაჟი... დაღვრემილად
დაიშალა მუშათ გროვა.
სიწყნარეა... ყველას სახე
მწუხარეა, ვით თვით გლოვა,
მაგრამ არვის არ ეტყობა
არც ეჭვი და აღარც შიში,
თითქოს ყველამ ამ სოფელთან
გაათავა ანგარიში.
მზად არიან თავი დასდვან
აღარ ძალუძთ დარჩნენ მონად;
სურთ, რომ გახდნენ მომავალთა
გმირთა შორის მოსაგონრად.

III

საღამოა... ღამის ძალმა
ფრთა გაშალა ნელა-ნელა,
ზედ გაეკრა დედამიწას
და ცაც ზემოდ ჩააბნელა.
არრა იძვრის: არც ღრუბელი,
ცაზე შავად განართხული,
და ქვეყანა თითქოს ცდილობს,
არ დაბეროს ძილში სული.
ზღვაც მყუდროებს... მოსწყენია
ქარიშხალთან მუდამ ომი
და წყნარ ძილში გადუშლია
თვისი გული, თვალუწვდომი.
იქ, მეთევზის კარავიდან
სანთლის შუქი იყურება,
მაგრამ ისიც მიილია
და ბნელაში წყნარად ქრება.
სძინავს ყველას... მხოლოდ ფხიზლობს
ვაჟი, მუშათ მეთაური,
ქარხნის კედელს მიყრდნობია
ადნობს ფიქრი უცნაური.

ელის ვისმე, ეს ლოდინი
მას წამებად გადაექცა,
აჩრდილს ხედავს, თავს ვერ ჰკავობს,
მყის მუხლები ჩაეკეცა,
და ხმა ესმის გულდამდნობი,
ხმა საამო, ვით თვით ვნება,
ოჰ, იმის გულს ეს ტკბილი ხმა
რამდენს რასმე ეუბნება!
ეს ხმა არის სიყვარულის,
ქვეყნის ძალა, ციურთ გრძნობა...
მით კაცს ძალუძს ცა და ქვეყნის
საიდუმლოს გამოცნობა!
ეს ხმა არის თვით მუსიკა,
თვით ცხოვრების საგანია —
უამისოდ ჩვენი გული
ულმობელი საკანია...
და მას ესმის ეს ტკბილი ხმა,
ესმის და ქალს ეგებება,
ამბავს ელის საიმედოს
და ლოდინით გული დნება!
„ლევან“, — ამბობს წყნარად ქალი, —
„ვერ დავძლიე მამის გული,
არ თანხმდება... თქვენს განთქმაზედ
მას ალღო აქვს აღებული:
ამბობს მტკიცედ: ჯინზე არ ვიქმ,
არ დავუვები მათ ნებასო,
ძალას ვიხმარ... სათავეშივ
მოვკლავ მე მათ ოცნებასო.
ხვალ დილითვე მათ განთქმაზე
წესის დამცველს მე ვამცნობო
და, ვინც თავობს შავ საკანში
სანთელივით დავადნობო!“
და დადუმდა ქალი... კედელს
ვით ქანდაკი მიებჯინა
და შესცქერის ერთ უგონო,
ვაჟს მწარედ მდგომს იმის წინა.

სიწყნარეა... ერთმანეთის
გულში ნაღველს ორნივ ხედავს,
მაგრამ მწარე ფიქრის შეშლას
ერთს მეორე ვერ უბედავს.
ბოლოს ვაჟი ამბობს: „კმარა
რაც გაწამე ისიც კიო!
ვინ მექარხნის ქალიშვილი,
ვინ მე — მუშა, გლახაკიო!
მდიდარსა და ღარიბს შუა
კავშირია გამწყდარიო,
ერთს მეორე ვერ შეიწყობს,
ვერც ცოცხალი, ვერც მკვდარიო.
ვერ შევბორკავ ჩემს ზვიად გულს,
მოძმეთ ცრემლი გულს მიკლავსო,
მათ ტანჯვისთვის მამაშენი
სამაგივროს მიიზღავსო;
და შენ დაგმობ ჩემს სიყვარულს,
მაგრამ რა ვქნა, მშვიდობითო,
უნდა ერთად ვიმოქმედოთ
ვინც საერთო ცრემლსა ღვრისო“.
მიდის ვაჟი... ქანდაკების
ფერი ადევს ქალწულს მწუხარს,
თითქო აზრი გაუქვრია
მასში სევდას, ზღვად ნადუღარს;
მკვდრის ძეგლსა ჰგავს ბნელ ღამეში,
დაუჭდია გულზე ხელი
და ასე მდგომს თავს ადგება
განთიადზე დღის ნათელი.

V

რიჟრაჟია... ქარხნის ახლოს
დინჯათა დგას მუშათ ჯარი,
ყველას სახეს აღბეჭდვია
უცნაური გლოვის ზარი!

თითქოს გრძნობენ ავს რაღაცას
განწირულან ბედისწერით,
მაგრამ შიში არ ეტყობათ
დგანან მხნედ და თავდაჭერით;
გვერდით უდგათ წინამძღვარი,
სიტყვა მკვეთრი ლევან ტკბილი,
მათი ბედის თანამგზავრი,
ხალხის მოძმე, ხალხის შვილი.
ირგვლივ სუფევს მდუმარება —
გულშემზარი, როგორც წყევა:
ბუზმაც სადმე გაიფრინოს,
ამ დუმილში გაირკვევა.
ამ დროს გაჩნდა სადღაც ჯარი,
დარაზმული თოფით, ხმლითა,
წინ წამოდგა ჯარისთავი
ხალხს შეჰყვირა მკაცრის ხმითა:
„თქვენ ლეკვებო, რას გამდგარხართ
რა გინდათო,
რად არ ხედავთ ჩვენს ძალ-ღონეს,
რად გვიცქერით ეგრე ბრმათო?!
როგორ ბედავთ თქვენ განდგომას,
არ მუშაობთ და ყბედობთო!
თავისუფალ რაღაც აზრით
თქვენს ნებაზე მოქმედობთო!
ვასწით ეხლავ ქარხანაში,
დაადექით თქვენს საქმესო,
თორემ დაგსრესთ და შეგმუსრავთ, —
დაგაყენებთ თქვენ შავ დღესო!..“
„არა!“ — ერთხმად ამბობს ხალხი —
მუშაობა არ გვსურსაო!
მუქარით და ლანძღვა-წყრომით
მუდამ გვხდიდენ ჩვენ სულსაო,
მუდამ სიკვდილს ერთხელ მოვკვდეთ
ჩვენთვის დიდად სჯობიაო,
ხომა ხედავთ შიმშილი გვკლავს,
სახე ჩამოგვდნობიაო!

ჩვენ გიდგივართ საჭირკველად,
ჩვენგანა ხართ ძლიერიო:
ჩვენი შრომით თქვენ მდიდრდებით,
ჩვენ კი ვრჩებით მშიერიო!

VI

ჰოი ღამე, წყნარო ღამე,
ხომ იმედით კვლავ დამნამე!
თვალწინ გაჩნდა სხვა სურათი
სასიკეთო, ტკბილი რამე!
შენ შავ ფრთებქვეშ ტკბილად სძინავს
შესვენებულს ხალხს ერთ წამით
და მოვლენა ქვეყნის მხსნელი
იბადება ამ ტკბილ ღამით.
ეხედავ ჯარებს ჩარაზმულებს,
ჩაღერემილად კორდზე მდგარებს,
რაღაც აზრი დიდებული
ჩასახვიათ გულში ჯარებს.
ჰოი ღამე, ტკბილო ღამე,
გული ლხენით გამიძღა მე,
დიდებული საქმის მოწმე
შევიქენით დღეს შენ და მე.
ჰოი ღამე, ტურფა ღამე!
ამის მეტი რა მინდა მე!
საოცნებო ამისრულდა
და აწ გინდ დღეც ჩამიღამე:
რაკი იწყებს გაშუქებას
საიმედო დრო და ხანა,
მსხვერპლი მსხვერპლად მაშინ ითქმის,
თუ ნაყოფი მოიტანა!..

დუტუ მეგრელი

ყმაწვილი და მგოსანი

(ნაწყვეტი)

ყმაწვილი

... ვგრძნობ, ვგრძნობ, მგოსანო, შენი სულის კვეთებას
მწარეს,
ეხედავ შენს ხვედრსა, განაწამებს, ესდენ მწუხარეს
და მინდა გკითხო, შენი კენესა სულს ვის უღონებს?
შენი გულიდან ამოხეთქილ ხმას ვინ უგონებს?..

მგოსანი

სხვა თუ არავინ მყავს ერთგული და მეგობარი,
შენ მაინც ხომ ხარ, ჩემთვის ესეც საკმაო არი;
მაგრამ, ყმაწვილო, დამერწმუნე, სხვაც ბევრი არი
ჩვენს ქვეყანაში, შენებრ, ჩემი თანაზიარი;
ბევრს ახალგაზრდას კიდევ გული აუთრთოლდება,
როდესაც ჩემს ლექსს წაიკითხავს, და აღფრთოვნდება!..

ყმაწვილი

მერე რა ვუყოთ, რომ აღფრთოვნდნენ ზოგიერთები,
უმეტესობას ხომ არ ესმის შენი სიტყვები?
და, მაშ, ყოფილხარ შენ ამ ქვეყნად მხოლოდ მოსული
იმ რჩეულთათვის, რომელთაც აქვთ მგრძნობელი სული!

მგოსანი

მე მოვედი, რომ დავუბრუნო ერს ძლიერება,
მონას, დაჩაგრულს, მოვანატრო თავისუფლება!

უმაწვილი

ხალხი, მდუმარე, რომ თავისს ბედს ემორჩილება,
არც კი დაეძებს, გარს კეთილი თუ ცუდი ხდება?

მგოსანი

ხალხს შენ ვერ იცნობ, ის დიდებული ზღვისაა დარი:
ვით ზღვაზე, როცა არა ღელავს და მშვიდად არი,
გემ-ხომალდები შეუპოვრად დასრიალებენ,
დიდი, პატარა თავისუფლად მით სარგებლობენ,
თითქო უძირო, უსაზღვრო ზღვა მათ ჰმორჩილებდეს,
თითქო საზარი ოკეანე მათ მსახურებდეს!
მაგრამ სიდანმე ერთი მძლავრად ქარმა დაჰბეროს
და მაშინ ნახე, როგორ ყველა შემოიფანტოს
ზღვამ, ვინც აქამდის უყურებდა უშიშრად მასა,
და ვაი მას, ვინც ვერ მოასწრებს თავის შველასა!
ის ზღვის ტალღათა, საშინელთა, მსხვერპლი გახდება,
ის ზღვის უძირო უფსკრულში სწრაფ ჩაიღუპება!
ხალხიც, ზღვასავით, ყველას ფეხქვეშ ექელვინება,
ყველას თავს უხრის: დიდს, პატარას ემორჩილება;
მაგრამ ერთხელვე თუ დაჰკარგა მან მოთმინება,
მაშინ ზღვაზედაც უარესი ის შეიქმნება!
მაშინ მის ძალას ვეღარავინ ვეღარ გაუძლებს,
და ისიც, ვიდრე თავისს სურვილს არ შეისრულებს,
არ გაჩერდება, არაფრის წინ აღარ შედგება:
ყველაფერს შთანთქავს, რაც კი ამ დროს წინ დაუდგება.
ხალხი ცეცხლია, საშინელი, თუ ის აღელდა,
ხალხი მძვინვარე მხეცი არის, თუ ის გახელდა!

უმაწვილი

რა ააღელვებს ხალხს, რომელიც მხოლოდღა ცდილობს,
ავად თუ კარგად დღე წაიღოს, სხვას არას ფიქრობს?

მგოსანი

მგოსნის სიტყვები! ხალხს ჩვენ უნდა შევატყობინოთ
თავისი ტანჯვა; ყოველივე მას ვაგრძნობინოთ:
ჩვენ უნდა ნათლად დავუხატოთ აწმყო, წარსული
და გავუღვიძოთ მონობისგან დახშული სული;
ჩვენ უნდა აღვძრათ ხალხში გრძნობა, გრძნობა მაღალი,
და მოვანატროთ უკეთესი მას მომავალი!..

1886 წ.

მ ტ ა რ ვ ა ლ ს

შორს, არაწმინდავ, შორს, მავნე სულო,
სულო ბოროტო, სულო მაცდურო!
ზეცის ძალთაგან დევნილო, კრულო,
და ჯოჯოხეთის მონავ, მსახურო!
შორს, შორს წყეულო, იგიცა კმარა,
რაც აქამომდე მტანჯე, მაწვალე,
აწ კი ტყუილად არა მითხრა-რა,
შენ აღარ გმონებ, გამოვიცვალე!
წავიდა ის დრო, შენსა ბრძანებას
რომ ვასრულებდი შიშით, კანკალით;
წავიდა, გაჰქრა და დავიწყებას
მიეც, რაც იყო: აწ ვერა ძალით
ვერ დამიმონებ, ველარ მომხიბლავ!
აქამდისაც თუ გმონებდი, მისთვის,
რომ ერთობ სუსტი ქმნილება ვიყავ;
ახლა სულ სხვა ვარ: ახლა ღმერთს ჩემთვის
სხვა ვინმე სული მოუგზავნია,

ტურფა, უმანკო, ანგელოზთ დარი;
მეც იმას ვმონებ დიდი ხანია
და იმით ვცოცხლობ, აქამდის მკვდარი;
შენ-კი, მტარვალო, შორს გამეცალე
და აღაროდეს არ მომეკარო;
ისიც კმარა, რაც მტანჯე, მაწვალე,
აწ კი დრო არის, მეც ვინეტარო!..

1886 წ.

შავ ზღვას

ვითა ჭაბუკი, სიყვარულით გატაცებული,
ძიეშურება სატრფოსაკენ, გაჩქარებული,
აგრეთვე შენკენ მოისწრაფვის, ზღვავ, ჩემი გული.
ჩემი გონება, ჩემი გრძნობა და ჩემი სული,
და, ვით მას თავისს სატრფოს მზერა არ მოსწყინდება,
ისე არც მე, ზღვავ დიდებულო, შენი ყურება!
რისთვის?—იმისთვის, რომ მარტოკა შენღა ხარ ერთი
ჩემს სამშობლოსთან ჩემთა ფიქრთა კვლავ შემაერთი;
მისთვის, რომ როცა შენ გიყურებ, კვლავ მეხატება
თვალწინ სამშობლო, მისი ტანჯვაც კვლავ მაგონდება
და ვფიქრობ: „ვაჰ, თუ ვერ ვეღირსო აწ დაბრუნებას
იქ და მივეცე საუკუნოდ აქ განსვენებას!
ვაჰ, თუ ცოცხალი თვისი შვილი მან ვეღარ მნახოს
და ვეღარც მკვდარი თავისს გმირთა შორის დამმარხოს!“
მაგრამ, ზღვავ, გვედრი, თუ მოვკვდე აქ, შენ მიმიბარო
და მიმიტანო იქ, საფლავი იქ გამითხარო!
დაე, იქაურს მივემატო მეცა მიწასა,
რომ მეც იმასთან, ოდეს იგი სანატრელს ხმასა
კვლავ გაიგონებს და ხელახლა აღორძინდება,
გადავხალისდე. ვიგრძნო ის ხმა. ის ნეტარება,

ვიგრძნო დაჩაგრულთ ზეაღდგომა, მჩაგვრელთ დამხობა
და მტკვრად ქმნილსაც კი შთამებეჭდოს ეს წმინდა
გრძნობა!"

ქ. ოდესა, 1887 წ.

* * *

ბუნებავ, რისთვის დაღონებულხარ,
რად იგლოვ წარსულს ნეტარებასა;
მწარე ნაღველით რად ავსებულხარ,
რად ემსგავსები მკვდარ არსებასა?
ნუ თუ არ იცი, რომ გაზაფხული
კვლავ დაგიდგება, კვლავ აყვავდები,
კვლავ დაგატკბობენ ნაზი ჰანგები?!.

სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ,
რად იგლოვ წარსულს, დიდებულ დროსა;
მწარე ნაღველით რად ავსებულხარ,
რად ემსგავსები უსულდგმულოსა?!
ნუ თუ არ იცი, რომ ეს დროც შავი,
ვით წინანდელი, მალე გაჰქრება;
კვლავ გაგიღიმებს ბედის ვარსკვლავი,
კვლავ მოგეცემა თავისუფლება?!

ჩემი სიმღერა

არ მაქვს ადგილ-მამული,
არ მაქვს სახლი და კარი,
არცა მაქვს გროში-ფული,—
ვარ ღარიბი, საწყალი;

მაგრამ მთლად საქართველო
ხომ ჩემი მამულია,
ყოველ ხის ძირში მდელო
ჩემთვის დაგებულია!
მაშ რა მაქვს სამწუხარო?
ვყოფილვარ ბედნიერი!
ვინძლო არ გავახარო
ჩემი მოსისხლე მტერი.
ვივლი, სანამ ცოცხალვარ
ჩემს საყვარელს მამულში;
ვიტყვი, რითაც ცოცხალვარ,
ვიტყვი, რაცა მაქვს გულში;
და, თუნდ მომკლან ამ თქმისთვის,
ვფიცავ, არ მენაღვლება!
სიკვდილი რაა მისთვის,
ვინც სიმართლისთვის კვდება?!

1869 წ.

ჩემი სურვილი

არ მინდა მოვკვდე ტკივილებით დასუსტებული,
ღონემიხდილი, ჩამომხმარი, ჩაყვითლებული;
არ მინდა მოვკვდე ბნელს ოთახში ხმელს ლოგინზედა,
რომ თავზე მადგეს მარტოდ-მარტო მტირალი დედა!

მე მინდა მოვკვდე ბრძოლისა ველზე,
სადაც მტარვალნი დამარცხდებიან
და დაჩაგრულთა, გამარჯვებულთა,
დროშანი მაღლა აიშლებიან;

გარს მეხვეოდეს, მინდა, მზის სხივი,
მესმოდეს ფრინველთ ჟივილ-ხივილი
და ჩემზე თქმული ამხანაგთაგან:
„სახარბიელო აი სიკვდილი!..“

1869 წ.

დ. უ-ს სიკვდილის გამო

მოჰკლეს ის, ვინც თვით განგებამ
მოგვივლინა, ვით მფარველი;
ვინც იწოდა და ბნელ წყვდიადს
გვინათებდა, ვით სანთელი;
მოჰკლეს, გაჰქრა, აღარ არის
და, მტარვალო, გაიხარე,
შენ კი, ერო, უბედურო,
მწუხარების ცრემლი ღვარე!

1880 წ.

* * *

მაღლობზე მდგარი, ჩემ წინ გაშლილსა
როცა სამშობლოს ვხედავ ბუნებას,
პატარძალივით ტურფად მკობილსა
და სამოთხის მსგავსს იმის შვენებას, —
ნაცვლად სიამის, გული მღელვარებს,
სული სწუხს, თვალი ცრემლით მევსება;
შავთა ფიქრთ გროვა თავს დამტრიალებს
და მეტანჯება მთელი არსება,
რა მაგონდება, რომ იგი ერი,
ვისიც სისხლი აქ წვიმასებრ ღვრილა;
ვისიცა ძვლებით ეს მშვენიერი
ქვეყანა მრავალჯერ მოკენჭილა;
ვისიც ოფლი რწყავს ამ მინდორ-ველებს,
მათის ნაყოფით ვერც კი სარგებლობს!
თუმცა საბრალო ედემში ცხოვრობს,
მისთვის ედემი ეს არ არსებობს.
და ვამბობ: „ღმერთო, როდის იქნება,
რომ იგი აღარ იტანჯებოდეს;

სამოთხის დარი ესე ბუნება
მართლა სამოთხედ გადიქცეოდეს;
„რომ ნაცვლად კვნესის და ტირილისა
აქ გაისმოდეს სიმღერა ტკბილი;
სიმღერა ხალხის, კმაყოფილისა,
ბედნიერებით მხოლოდ ავსილნი!..“

1890 წ.

მთის წყარო

კლდიდან კლდეზედა ჩხრიალით
მირბის მთის წყარო, ანკარა,
თავს დასტრიალებს მზის სხივი,
დაჰყურებს ცისა კამარა;
ხან მითამაშებს, ხან მიხტის,
ხან გველებრ მიიკლაკნება;
ხან უალერსებს მიდამოს
და ტკბილად ეჩურჩულება:
„მშვიდობით, კლდენო, მშობელნო,
გზა დამილოცეთ თქვენს შვილსა:
მივდივარ უფლის ბრძანებით,
რომ შევებრძოლო სიკვდილსა;
მივდივარ, მიმაქვს ქვეყნისთვის
მე ძალა მაცოცხლებელი,
სულიერის და უსულოს,
სუყველას მსაზრდოებელი!
მე მარტო კი არ გეგონოთ,
სხვებიც მყავს ამხანაგები,
რომ შევუერთდე იმათა,
მივდივარ, მივეჩქარები;

თუმცა ცალ-ცალკე სუსტნი ვართ,
მაგრამ ერთად ვართ ძლიერი:
როცა მოვიყრით ბევრნი თავს,
ველარას გვიზამს ჩვენ მტერი!..

„შვიდობით, კლდენო, მშობელნო,
გზა დამილოცეთ თქვენს შვილსა;
მივდიეარ, მიმაქვს სიცოცხლე,
უნდა ვებრძოლო სიკვდილსა!“

და კლდიდან კლდეზე ჩხრიალით
კვლავ მირბის წყარო ანკარა,
ხან მითამაშებს, ხან მიხტის,
წინ დაუდგება ვერა-რა...

1890 წ.

ს ა ლ ა მ ი

სალამი თქვენდა, ნაცნობ ადგილნო,
კლდენო, ღელენო, ჭალავ, მდინარეე,
ყოვლის შვენებით უხვად აღვსილნო,
სალამი, ჩემო ძვირფასო მხარეე!

კვლავ თქვენთანა ვარ თქვენში აღზრდილი,
თქვენი სიტურფით თვალები სტკბება;
ყურთ კვლავ ესმით ხმა ნაცნობი, ტკბილი
და სიხარულით გული მევსება...

ვიგონებ იმ წამთ, როს უზრუნველი
თქვენს შორის დროსა განვატარებდი;
თქვენებრ უფიქრო და უდარდელი,
როს თქვენთან ერთად მეც ვნეტარებდი;

და იმ ბედნიერ დროთ მოგონება
ჩემს ბნელსა აწმყოს სინათლესა ჰფენს,
დაწყლულებულს გულს მალამოდ ხვდება
და ტანჯულ სულში იმედებს აჩენს!

ს. ლაშე, 1890 წ.

* * *

შემოდგომის სუსხმა დაჰკრა,
სიცივეა, ჰბერავს ქარი;
ცა გახუნდა, ტყე გაშიშვლდა,
მოწყენილა მთა და ბარი!
სადღა არის საამური
ჟრიამული ფრინველების;
სადღა არის სუნნელება
მშვენიერის ყვავილების?
გაჰქრა ყველა... იკრიბება
ცაზე შავთა ღრუბელთ ჯარი;
რომ მომაკვდავ ბუნებასა
ბიუმზადონ მათ სუდარი.
და ზამთარიც მოდის მოთქმით,
ვით რიგია ჭირისუფლის;
მოდის ნელა, თეთრ-თმა-წვერა,
კუბო მოაქვს თან ყინულის;
მოაქვს... როცა მოიტანს, შიგ
მკვდარს ბუნებას ჩაასვენებს;
თვითონ თავით დაუჯდება
და მანამდის იქვითინებს.
ვიდრე მეტის მწუხარებით
მთლად ცრემლად არ დაიღვრება;
მაშინ კუბოც მზის სხივებზე
დაირღვევა, დაიშლება;
გაცოცხლდება კვლავ ბუნება,
ბედნიერი, მხიარული
და ქორწილსა გადაიხდის,
დაუდგება გაზაფხული!
ოჰ, ნეტავი შენ, ბუნებავ,
რომ არასდროს არ ჰბერდები,
რომ კვლავ აღსდგე ახალ ძალით,
ცოტა ხნითა მხოლოდ ჰკვდები!..

სექტემბერი, 1890 წ.

* * *

ცას გადაჰკვრია ღრუბელი,
დასტირის დედამიწასა;
ქვეყანა შეწუხებულა,
სხივებს ნატრულობს მზისასა:
არც ნათელსა ჰგავს, არცა ბნელს,
სიცოცხლეს და არც სიკვდილსა;
თითქო მოუცავს სამყარო
საშინელს საღათას ძილსა!
დაე, თუნდ ქარმა დაჰბეროს.
ატყდეს ჭექა და ქუხილი,
იელვოს, მეხი გავარდეს,
შეიქმნეს კვნესა, წუხილი:
წვიმა გადიქცეს თქეშადა,
მიწამ დაიწყოს ზრიალი,
ზღვა აირიოს, აშფოთდეს,
მორთოს საზარი ღრიალი;
ოღონდ ნუ სძინავს ბუნებას,
ნუა მკვდარს დამსგავსებული,
ნუ არის ქვეყანაზედა
სიცოცხლე შეჩერებული!..

1801 წ.

პ ო ე ტ ი

ის პოეტი როდი არის, ვინც თვის ხვედრით
კმაყოფილი, ირთობს თავსა ლექსის წერით;
ვინც უაზროდ ერთმანეთზედ აბამს რითმებს
და ჰგონია, დამღერს ღვთიურს ქნარის სიმებს!
პოეტია მხოლოდ იგი, ვინც ტანჯულა
ერის წყლულით, წმინდა გრძნობით გამსჭვალულა,

და მისთვის მღერს, რომ ჩაჰქოლოს ბოროტება,
ან დაჩაგრულთ გულს მოჰფინოს სასოება!
პოეტი ლექსს სისხლითა სწერს, ცრემლით ალბობს
და ის ლექსი აცოცხლებს მას, კი არ ართობს!..

1892 წ.

* * *

მოდის, მოშხუის, მოღელავს,
მდინარე, ადიდებული,
ასკდება თავისს ნაპირებს
და ებრძვის გაცხარებული;

ცდილობს მილეწოს კლდეები,
ფრთა თავისუფლად გაშალოს;
ცდილობს დასტოვოს ძველი გზა
და ახალი გზა გაჰკვალოს;

მაგრამ ამაოდ უვლის ცდა, —
საბრალო დამარცხებული,
რჩება ძველ კალაპოტშივე
და მიდის დამშვიდებული.

მოდის, მოყვირის, მოშფოთავს
ჭაბუკი, აღელვებული
და გარს შემორტყმულ პირობებს
ებრძვის თავდავიწყებული;

ცდილობს, დასძლიოს ისინი,
ფრთა თავისუფლად გაშალოს;
ცდილობს, გზა თავისს ცხოვრების
თავისს გემოზედ გაჰკვალოს;

მაგრამ ამაოდ უვლის ცდა,
საბრალო დამარცხებული,
ემორჩილება თავისს ხვედრს
და მიდის დამშვიდებული.

მხოლოდ რჩეულნი... (ნეტა მათ!)
აროდეს არ დასცხრებიან, —
ან სძლევენ გარს მყოფ პირობებს
და ან ზედ შეაკვდებიან!..

1893 წ.

ორი დედა

ორი დედა მყავს ძვირფასი,
ორივე მიყვარს გულითა,
მქონდეს სიცოცხლე ათასი,
მათ ვუძღვნი სიხარულითა!

ერთი — საბრალო ქვრივია,
უდროოდ დაბერებული;
საცოდავს მალე ეწვია
ტანჯვა-ვაება წყეული!..

მეორე... მაგრამ ვერ ასწერს
მისს ამბავს ჩემი კალამი;
მოელის ახალს რუსთაველს
ბედკრულის ტანჯვა-ვარამი!

ორი დედა მყავს ძვირფასი,
ორივე მიყვარს გულითა;
მქონდეს სიცოცხლე ათასი,
მათ ვუძღვნი სიხარულითა!

1803 წ.

გაზაფხული

გაზაფხულია! ბუნებამ
გადიძრო თეთრი სუდარი
და შეიმოსა მწვანითა
მთა-ბარი, ტყე და ბუჩქნარი;

მზე გამობრწყინდა, კაშკაშებს
ცა, ფირუზს დამსგავსებული,
და დედამიწაც პატარძალს
ჰგავს, ტურფად აყვავებული;

გაზაფხულია! ტკბილი დრო
ბუნების მკვდრეთით აღდგომის,
დრო მოძრაობის, სიცოცხლის,
დრო სიყვარულის და შრომის;

და თქვენ რას შვრებით, მუშაკნო,
დაუწყეთ თესვა ყანასა?..
ხომ იცით, რომ „პურს არსების“
თქვენ აძლევთ მთელს ქვეყანასა?..

წადით, ბედკრულნო, იშრომეთ,
წადით და გქონდესთ იმედი:
გაზაფხულდება თქვენთვისაც
და გაგიღიმებსთ თქვენც ბედი!

1893 წ.

ჩემი სიმღერა

შეეჩვია ტანჯვას სული და გული,
ჯოჯოხეთის ცეცხლში დამწვარ-დაგული;

შევეჩვიე ჭირს, ვაებას მარადის,
შევეჩვიე და აწ მიჩანს არად ის;
ხან ვღვრი ცრემლსა, ხან ვიცინი და ვმღერი:
ვიღებ ჩონგურს და ზედ ასე დავმღერი:
„დე, ვიტანჯო, ვით აქამდის, აწიცა!
ამაზედ მეტს რაღას მიზამს აწი ცა?
ესდენ ტანჯვამ თუ ბავშვიც ვერ დამძალა,
ვაჟკაცს დამძლევს აწ რა რისხვა და ძალა?!
ვერა, ბედო, ვერას მიზამ, იწამე;
მარტო ერთი მომერევა მიწა მე!“

1893 წ.

გაზაფხულის მზე

სალამი, გაზაფხულის მზევ,
თოვლ-ყინვის გამქარწყლებელო,
ზამთრით დაჩაგრულ ბუნების
ხელახლავ გამცოცხლებელო,
სულიერთა და უსულოთ
მანეტარ-მაამებელო,
გაჭირვებულთა ნუგეშო,
მუშაკთა გამმხნევებელო!..

1893 წ.

ქართველი დედის ლოცვა

სძინავს ყველას, მხოლოდ ერთ ქალს
ჯერ არ სძინავს, შავით მოსილს,
დაჩოქილი დგას ხატის წინ
და ავედრებს სხვაგან მყოფ შვილს!

„ღმერთო, ღმერთო.—ლოცულობს ის:—
საწყალ-ობოლს უპატრონე;
რომ ისწავლოს, განვითარდეს,
მიეც ნიჭი და ძალ-ღონე!

„დედის ერთა, ერთადერთი
ნუგეშია და იმედი;
მას შევწირე სრულად ჩემი
სიყმაწვილე, ჩემი ბედი;

„მით ვცოცხლობდი, ვსულდგმულობდი,
სულსა და გულს ვაყოლებდი:
არ მეგონა, თუ ერთ წამსაც
უიმისოდ ვიცოცხლებდი:

„მაგრამ აი, მოვიდა დრო,
ჩემთვის მწარე და თან ტკბილი,
როცა უნდა მოუმზადოს
სამშობლოსა დედამ შვილი,

„და გულიდან მოვიგლიჯე
სიამ-ნაღვლით უბედური,
და გავგზავნე, რომ ისწავლოს
მან ქვეყნისა სამსახური!

„ღმერთო, ღმერთო, გევედრები,
გამიზარდო სასახელო,
რომ მით ერთად ვამაყობდეთ
მე და მთელი საქართველო;

„რომ ძლიერი, გმირთა-გმირი,
ღირსი შვილი მამულისა,
ის მჩაგვრელის რისხვა იქნეს
და ნუგეში ჩაგრულისა!..“

ასე ღმერთსა მთელი ღამე
ცხარის ცრემლით ევედრება...
ღმერთო, ღმერთო, შეუსმინე
ქართველ დედას ეს ვედრება!..

1884 წ.

სამშობლოს

მაშ ასე, ჩემო სამშობლოვ,
უნდა მოგშორდე ეს არი,
და სხვაგან გადავიხვეწო,
მარადის შენთვის მკვნესარი!
განა თუნდ ცხრა მთას გადაღმაც,
ვერ ვიგრძნობ შენსა ტკივილსა,
ვერ გავიგონებ შენს ოხვრას,
ტირილს და მოთქმა-ჩივილსა?
კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო,
მეყო, რაც სხვაგან ვიყავი;
მენატრებოდა აწ მაინც
სულ შენთან ვყოფილიყავი,
რომ შენთვის შემომეწირა
მთლად ჩემი ღონე და ძალა;
მოყვარე მეხარებია,
მტრისთვის მესმია სამსალა;
მაგრამ, ვაი, რომ უბედურს
არ შემისრულდა სურვილი!..
მშვიდობით... უნდა კვლავ გულში
ჩავიკლა ჩემი წყურვილი...

1894 წ.

* * *

მინდა ვთქვა რამე, — პირაკრული ვარ,
მინდა გავინძრე, — აღარ მაქვს ძალა;
მინდა ვკვნესოდე, — ხმა ჩამწყვეტია;
მინდა ვსტიროდე, — ცრემლი გამშრალა;
მხოლოდ გონება, დაუძლურებულს,
უფრო და უფრო მიცხოველდება
და, ვერც ერთ სურვილს რომ ვერ ვისრულებ,
გული ნელ-ნელა შხამით მევსება!

ოჰ, ბარემ მალე გაივსე, გულო,
გადმოანთხიე ეგ საწამლავი,
რომ მით მოსწამლო ძალა ბოროტი,
ყოველ კეთილის ქვეყნად მჩაგრავი!..

1894 წ.

ოლთისის ციხეს

ვით მგლოვიარე მიჯნურსა
იზიდავს სატრფოს სამარე,
რომ მოგონებით წარსულის
დაიტკბოს აწმყო მან მწარე,
აგრეთვე აქ გადმოტყორცნილს,
მოკლებულს მშობელ მხარესა,
ძეგლო ძველ საქართველოსავ,
იზიდავ სულს მწუხარესა!
როს უცხოთ შორის, მარტოდ მყოფს,
გულს სევდა შემომაწვება,
რომ, მცირედ არის მაინცა,
მივცე საბრალო თავს შვება,
მოვრბივარ შენს ნანგრევებზე,
ვისვენებ, დაღონებული,
და დროთ სივრცეში მიმოვფრენ,
ოცნებით გატაცებული!
ვიგონებ იმ დროს, როდესაც
შენ იდეგ მტკიცე, ძლიერი,
და შენში მედგრად ხვდებოდა
მოსულ მტერს ქართველი ერი,
და შორს, შორს, ოვირფასს მამულში
მიმაფრენს ეს მოგონება,
და გული მიძგერს სიამით,
ვიდრე არ ჰქრება ოცნება!..

1894 წ.

სამშობლოს

ჩემო სამშობლოვ, რისთვის მიყვარხარ,
რად მოჰქრის შენსკენ ჩემი გონება,
მარადის თვალწინ რისთვის მიდგახარ
და შენზე ფიქრი რად არ მშორდება?
მისთვის ხომ არა, რომ მახსოვს ჩემი
სახლი და კარი, მამულ-დედული,
მამა-პაპათგან გადმონაცემი,
დღეს უპატრონოდ მიტოვებული?
ან, ეგებ, მისთვის, რომ მაკონდება
ტკბილი დრო შენში გატარებული,
მრავლად ნაგრძნობი სიამოვნება,
ჩემი ბავშვობა, გახარებული?
და ან, ეგების, მისთვის, რომ ვინმე
მანდ საყვარელი დამრჩა არსება,
ვისაც ვუყვარვარ წმინდა გრძნობით მე
და ვისთან ყოფნაც სულს ენატრება?..
არა და არა!.. არავითარი
არ მაქვს ქონება, გასაწყლებულსა;
ადგილ-მამული, სახლი და კარი
არ აკავშირებს შენთან ჩემს გულსა;
არ მაგონდება მე ტკბილი წამი,
სხვის კარზედ გაზრდილს, ლუკმის ნატრულსა;
ტანჯვა-წვალება, ნაღველი, შხამი,
აკვნითვე დამყვენ ბედით ჩაგრულსა,
და სიყვარულიც არ თუ მრგებია,
მარად მდევნიდა შური და მტრობა
და არასოდეს არ მღირსებია
არც მეგობრობა, არც თანაგრძნობა!..
მაშ რად მიყვარხარ და რად იზიდავს
შენსკენ, სამშობლოვ, სულსა და გულსა;
რა მარჩევინებს შენში ტირილს, მწვავს,
სხვაგან სიამეს და სიხარულსა?..
— რა და, სამოთხებრ შემკულ ბუნების

გამოუთქმელი მშვენიერება;
სინაზ-სიტურფე ჭალა-მინდვრების,
თვალუწვდენ მთების დიდებულება;
ციხეთ და ტაძართ ნაშთნი, ნგრეულნი,
სამაგალითო ბრძოლათ ველები,
მამულის შვილთა სისხლით მორწყულნი
და მათის ძვლებით მოკენჭილები;
და თვით ტანჯული ქართველი ერი,
ათას ჭირისგან გაუტეხელი,
შენებრ ლამაზი და მშვენიერი,
შენებრ დიადი და უძლეველი,
ქართული ენა და სიმღერები, —
ხან გულამოსკვნით მწარე ქვითინი,
ხან სიმამაცით აღსავსე ხმები
და ხან მომგვრელი გრძნობის ღიღინი:
სახელოვანი შენი წარსული,
სიმხნე, გმირობა და ვაჟკაცობა,
მამულისშვილთა თავგანწირული
ბრძოლა მუდმივი და მამაცობა
და შენი აწმყო... და ის სურვილი,
რომ გიშველო რამ გაჭირვებულსა
და, თუ სიცოცხლე არა, სიკვდილი
მხვდეს მაინც შენში მე უბედურსა!..

1894 წ.

შავი ღრუბლები

შავო ღრუბლებო,
თქვე ავსულებო,
შეგშურდათ განა,
რომ ეს ქვეყანა,
არის მდიდარი,
სამოთხის დარი,

და არ ეხსნებით, თავს დასტრიალებთ,
მაცოცხლებელსა მზის სხივებს აკლებთ?
მაგრამ წყეულნო,
შეჩვენებულნო,
ამოვარდება საცაა ქარი,
თავს დაგეცემათ რისხვა საზარი,
გაიფანტებით, ვით ბუმბულთ გროვა.
და ამ ქვეყნის მზე ისევ ამოვა!..
ოჰ, ქარო, მალე
დაიგრიალე
და აქ მთა-ბარი
სრულად შესძარი,
იქ კი წყეულებს,
შეჩვენებულებს,
ეკვეთე ღრუბლებს, თავგასულებსა,
ცაზე შავბნელად გადაკრულებსა,
და მოგვაშორე,
გაჰფანტე შორე,
რომ კვლავ ვიხილოთ ჩვენ მზე და
მთვარე,
კვლავ აღორძინდეს ეს ტურფა მხარე,
სიცოცხლე სდუღდეს, გადმოდიოდეს
და მეც გლახ გული აღარ მტკიოდეს!..

1895 წ.

დედა და შვილი

რა ხანია არ უნახავს
დედას შვილი, საყვარელი;
რა ხანია არ უგრძვნია
ძუძუებზე მისი ხელი!..

„ვაჰ, თუ, შვილო, გიჭირს რამე
ავადა ხარ ან იყავი,
მე კი შორს ვარ და არ ვიცი...
ოჰ, მოგიკვდა ჩემი თავი!
„ვაჰ, თუ გშია, ან გწყურია,
ცივი გხვდება შენ ნიავი,
მე კი შორს ვარ და ვერა ვგრძნობ...
ოჰ, მოგიკვდა ჩემი თავი!
„ვაჰ, თუ მარტოდ-მარტო შთენილს,
მოჩვენება გაფრთხობს ავი,
მე კი შორს ვარ და ვერ გშველი...
ოჰ, მოგიკვდა ჩემი თავი!“
აბნაირად მოთქვამს დედა,
იგონებს რა საყვარელ შვილს,
ნაგრამ სევდას გულში იკლავს
და სწერს მასა ამ გვარ წერილს:
„თვალსაჩინო, ჩემო შვილო,
დედაშენი გენაცვალოს,
შენ იცი, თუ კარგი სწავლით
გამახარებ მე საბრალოს;
„გასალკლდევდი და გამხნევდი.
ჩაისახე გულს იმედი;
ნუ შედრკები, შეშინდები,
გაგირისხდეს რა გინდ ბედი.
„და ერთადერთ მიზნად გქონდეს,
ვაიზარდო სასახელო,
რომ შენით თავს ვიწონებდეთ
მე და მთელი საქართველო!“
შვილიც ცდილობს... უნდა დედას
იმედი არ გაუცრუოს...
ღმერთო, მოეც მას ძალ-ღონე,
რომ სურვილი აისრულოს!..

1895 წ.

* * *

ქარი ქრის, ქარი გრიალებს,
არ ცხრება განრისხებული;
ღამხრჩის მოლოდინშია
ქვეყანა შეშინებული.
გული წუხს, გული მღელვარებს,
არ ცხრება, აღშფოთებული;
სიკვდილის მოლოდინშია
მგოსანი, დასუსტებული.
მაგრამ, დე, ქარმა იქროლოს, —
ღრუბლები შეიკრიბება,
წამოვა წვიმა, ჟუჟუნა,
ქვეყანა კვლავ დამშვიდდება!
დე, იმღელვაროს გულმაცა, —
გამწვავდებიან გრძნობანი,
გადმოხეთქს ცრემლი მდუღარე,
კვლავ აღფრთოვნდება მგოსანი
და ამღერდება ციურ ხმით,
ზეგარდმო მადლით ცხებული,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა
ნუგეშად მოვლინებული!..

1896 წ.

* * *

ორბელიანის სამხატვრო ნიჭი
არ მოუცია ჩემთვის განგებას, —
ვერ ავწერ, მისებრ, მე საქართველოს
სიდიადეს და მშვენიერებას;

არც მომმადვლია ბარათაშვილის
ტიტანიური „სულის კვეთება“ —
იმის „ზღვა გულის“ საშინელს „კვნესას“
ჩემი „ცრემლები“ ვერ შეედრება;
არც აკაკისებრ აზრის ჩამოსხმის
და ლამაზად თქმის მაქვს მე უნარი, —
მისს „სუბექ ფრთითა აღმაფრენ“ ლექსთან
ჩემი ლექსია დასაწუნარი!
მაგრამ რა ვუყოთ? განა ბნელაში
უბრალო ჭრაქიც არ სწევს სანთლობას?
განა იმისი ოდნავ მბეუტავი
სინათლე არ სჯობს სულ არაობას?
მეც იმ ჭრაქს ვგავარ და, თუმც არა ვარ
ზეგარდმო მადლით უხვად ცხებული,
გარს შემორტყმულ ბნელს ვფენ მცირე
ნათელს,
წმინდა, წრფელ გრძნობით
აღფრთოვნებული!..

1896 წ.

მეფე ირაკლი II-ს

(სიკვდილიდან ასი წლის შესრულების გამო)

მეფევ რაინდო, მეფევ გმირო, ღვთაებავ ერის,
თუმც შენი ხმალი, მოყვრის ფარი და რისხვა მტერის,
ჭაბუკობის დროს რა ერთხელვე ამოღებულა,
ვიდრე, მხცოვანო, აღარ მოჰკვდი, არ ჩაგებულა;
თუმცა საყვარელ სამეფოის კეთილდღეობას
შესწირე შენი ძალღონე და ნიჭი სავსებით;

თუმც გაკვირვებით ადევნებდა თვალს შენს მხნეობას
მთელი ქვეყანა და გიკრავდა ტაშს აღტაცებით;
თუმცა სამშობლო ჭირს მრავალჯერ გადაარჩინე,
მაინც მტრის რისხვა უბედურსა ვერ ააცდინე
რადგან, რაც შენგან, ერთისაგან, დღეს კეთდებოდა,
ხვალ ათასისგან უსირცხვილოდ ის ფუჭდებოდა,
დიდ ხანს იბრძოლე... მაგრამ როცა ნახე, რომ ყველა
შენ გღალატობდა შინ და გარეთ, არ იყო შველა,
გაგიტყდა გული, დაგეკარგა რწმენა, იმედი
და საბოლოოდ გადაწყვიტე მამულის ბედი:
იმის მშვიდობას ანაცვალე თავისუფლება
და ერთმორწმუნე ძლიერ ერსა დაუკავშირე,
უარჰყავი-რა მამა-შვილთა ნება-უფლება,
სამეფო ტახტი სამეფოსთვის მეფემ გასწირე!..

. . . . . .

დიდება შენდა, მეფევ გმირო!.. ვიდრე ქართველი
ცოცხლობს და გმირულ თავგანწირვას ფასი ექნება,
არ მიეცემა დავიწყებას შენი სახელი
და არ გაჰქრება ქვეყანაზე შენი ხსენება!..

1898 წ.

ნ ა ტ ვ რ ა

პატარამ წიგნი დაკეცა
და თავი მისცა ოცნებას;
ითვალისწინებს წაკითხულს,
იგონებს გმირთა ცხოვრებას,
რომელთაც სამშობლოსათვის
სიცოცხლე არ დაიშურეს,
სამაგიეროდ უკვდავი
სახელი დაიმსახურეს,
და ფიქრობს: „ნეტა გავხდე მეც
ღირსი მამულისშვილიო,

სამშობლოსათვის ვიცოცხლო,
მისთვისვე მხვდეს სიკვდილიო!“
ასე ნატრულობს პატარა
და, თვალებგაბრწყინვებული,
ოცნების ზღვაში დასცურავს,
წრფელ გრძნობით აღფრთოვნებული...

1898 წ.

ნანინა

(ვუძღვნი პაწაწა ეკას)

ნანინა, ნანა, ნანინა, ნანაო, შვილო, ნანაო!...
იქ ზეცა გვყავდეს მფარველად, მოკეთედ აქ ქვეყანაო;
ჩემი ლოცვა და კურთხევა გდევდეს მარადის თანაო —
ნანინა, ნანა, ნანინა, ნანაო, შვილო, ნანაო!..

გაიზარდე და გაივსე, ვით თხუთმეტის დღის მთვარეო,
მტერს დაუყენე თვალები, მოყვარე გაახარეო;
იარე გამარჯვებითა ყოველთვის, ყოველგანაო—
ნანინა, ნანა, ნანინა, ნანაო, შვილო, ნანაო!..

გებრალებოდნენ ჩაგრულნი, შეიტკბე, შეიყვარეო;
არც დაივიწყო არას დროს შენი სამშობლო მხარეო:
სხვაგან სიცილსა გერჩიოს ტირილი იმასთანაო —
ნანინა, ნანა, ნანინა, ნანაო, შვილო, ნანაო!..

1899 წ.

დიმიტრი უიფიანს

როცა ჩვენი მწარე ხვედრი
გულს მიწუხებს და მიწყლავს სულს,
ეჭვით ვუმზერ მომავალსა
და ვიგონებ შურით წარსულს,—

მაშინ თეალწინ მეხატება
სახე შენი, მადლიანი;
შენგან სიმხნით განვლილი გზა,
სახიფათო, ეკლიანი,
და ვიძახი: „იგი ერი
არ მომკვდარა, არც მოკვდება,
ვისაც შვილი ამისთანა
ჰყოლია და ეყოლება!“

1899 წ.

24 ოქტომბერი, 1899 წ.[1]

მთაწმინდა გაბრწყინვებულა,
მზის სხივი თავს დასტრიალებს;
დიდებულს ტაძრის გუმბათზე
ჯვარი ათასფრად ბრჭყვიალებს!..
ჩუ, ეს რა არის, ვინ არის,
საფლავთა შორის მდგომარე,
ხალხი რომ შემოხვევია,
თავქუდმოხდილი, მდუმარე?
— ქანდაკებაა გმირისა,
ქვეყნისთვის თავდადებულის,
მადლიერ შვილებისაგან
დღეს ისევ გაცოცხლებულის,
რომ გასცქეროდეს მარადის,
დარაჯად მდგარი, მამულსა;
უძლურსა ძალას მატებდეს
და ამხნევებდეს ჩაგრულსა!..
მთაწმინდა გაბრწყინვებულა,
მთაწმინდა დღესასწაულობს
და ეუბნება იქ ზეცას,
რასაც აქ ხალხი ნატრულობს!..

---

1 ამ დღეს გაიხსნა დიმიტრი უოფიანის საფლავზე ძეგლი.

გაზაფხული და საპყრობილე

ყველა აღებს კარ-ფანჯარას,
ეგებება გაზაფხულსა;
ყველა ტკბება მზის სხივებით,
გრძნობს სიამეს, სიყვარულსა;

მარტო ერთი საპყრობილე
ისევ ისე ჩაკეტილა,
თითქო მისთვის არ არსებობს
ეს შვენებით სავსე დილა,

და კვლავ სახე ჩამოსტირის,
კვლავ საშინელ-საზარია,
მის მდგმურთათვის მზე არ ნათობს,
ისევ ისე ზამთარია!..

1901 წ.

პატარა ქართველი

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო —
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ქვეყნის თვალი, ეს ქვეყანა
ღვთის მშობლისა არის წილი;
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრიც ტკბილი:

ხან თუ მტერი აოხრებდა,
იყო მღვრელი ცრემლის ცხარის,
ბრწყინვალე დროც დასდგომია,
დრო დავითის და თამარის!..

მე პატარა ქართველი ვარ,
სახელოვან ერის შვილი
და მსურს მერგოს სასახელო
მეც სიცოცხლე და სიკვდილი!..

1901 წ.

წყარო

I

მზე სითბოს აღარ იძლევა,
ქვეყნად მბრძანებლობს ზამთარი:
ყინვას შეუკრავს მდინარე,
თოვლს დაუფარავს მთა-ბარი.
ბუნება შებოჭილია,
სიცოცხლე შეჩერებულა!
სამარებრივი დუმილი
გარშემო გამეფებულა.
მხოლოდ კვლავ გადმოჩუხჩუხებს
სალ კლდიდან წყარო პატარა
და მოხტის მარად მალხაზი,
მარადის წმინდა ანკარა!
ყოვლისა მძლეველ ზამთრისგან
მარტო ის ვეღარ იძლია,
სიცხის დროს ცივი ყინულებრ,
დღეს, როცა ცივა, თბილია.
და კვლავ ასრულებს თავის ვალს
ქვეყნისა მაცოცხლებელი,
ზამთარ და ზაფხულ გულისა
თანასწორ მაამებელი.

1904 წ.

ნუგეში

„ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მისს ფერ უთვალავს შვენებას?
სიბნელეს აკრობ სინათლით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!“

გრ. ორბელიანი

სისხლის ღვრა, ისევ სისხლის ღვრა,
ტანჯვა-ვაება, ტირილი,
მეორედ მოსვლის დღესა ჰგავს!
ქვეყნად ბატონობს სიკვდილი!

კვლავ გაშმაგებით ეძებენ
მაცხოვარს, ახლად შობილსა,
რომ აკვანშივე გასრისონ
და ჰფენენ ყველგან სიკვდილსა...

მაგრამ რა მოჰკლავს ღვთის სიტყვას,
ჩაგრულთა მხსნელად მოვლენილს:
რა მოსპობს გრძნობას, დიდებულს,
ერთხელვე ხალხში გაჩენილს?

და ჩვენც ვნუგეშობთ, რომ დიდხანს
ვერ გასტანს ეს დრო, შავ-ბნელი;
რომ შესცვლის მალე დღე ღამეს,
გამობრწყინდება ნათელი.

და იწყებს ახალს ცხოვრებას
ქვეყანა, განახლებული, —
თავისუფალი, ძლიერი,
სამოთხეს დამსგავსებული!..

1908 წ.

პრომეთეოსი

ხმა სასურველი,
ხმა სანატრელი
ესმის გმირს, ტანჯულს,
და გულს უხარებს,
სულს უფრთოვანებს
კლდეზე მიჯაჭვულს!
თუმც საზიზღარი
ძერა საზარი,
მკერდს ისევ უპობს
და სვამს მის სისხლსა,
მაგრამ ტკივილსა
სულაც ვეღარ გრძნობს,
რადგანაც იცის,
რომ მალე იმის
ტანჯვა-წამება
უნდა დასრულდეს
და დაუბრუნდეს
თავისუფლება!
ცეცხლმა ღვთიურმა,
რომელიც გმირმა
ცით მოიტაცა
და საბრალოთა,
უშემწეოთა
კაცთა გადასცა,
უკვე თვისი ქმნა,
გონება იხსნა,
განავითარა
და მიწის შვილი,
მონად შექმნილი,
ღმერთს დაადარა!
ხალხი განახლდა,
აღსდგა, ამაღლდა,
შეიგნო ძალა;

ფეხში შეყრილი
მძიმე ბორკილი
შემოიცალა,
და, ჰა, დადგა დრო,
ტკბილ-სანეტარო,
დრო საშინელი,
სასტიკ განკითხვის,
შურის და რისხვის,
როს ძალა ბნელი
უნდა დაემხოს,
უნდა მოესპოს
ქვეყნად უფლება
და კვლავ ეღირსოს
გმირს პრომეთეოსს
თავისუფლება!..
ხმა სასურველი,
ხმა სანატრელი
ესმის გმირს ტანჯულს
და გულს უხარებს,
სულს უფრთოვანებს
კლდეზე მიჯაჭვულს!

1906 წ.

* *

ხალხი ლაჩარი, ხალხი მონა მეზიზღებოდა;
ბალხი, ვერ მცნობი თავის თავის, მებრალებოდა
და ვკითხულობდი: „დადგება დრო იგი განახლდეს?
შეიგნოს თვისი ძლიერება, აღსდგეს, ამაღლდეს
და შეებრძოლოს მხნე, მედგარი, მტარვალ-მჩაგვრელებს,
რომ ქედმოხრილი აღარ ღვრიდეს სისხლისა ცრემლებს,
რომ მოიპოვოს სასურველი თავისუფლება
და მოიშოროს სამუდამოდ ტანჯვა-წვალება?!.“

ხმა იდუმალი „დადგებაო“, მეუბნებოდა;
გულიც ამ ტკბილ ხმას მოუთმენლად ელოდებოდა,
და, ჰა, კიდევაც დადგა ეს დრო, დრო სანატრელი,
როცა ჰქუხს ქვეყნად თან საამო, თან საშინელი
ხალხის ბრძოლის ხმა, თითქო თვით ზღვა ღელავს, ღრიალებს
და თავზარსა სცემს შეშინებულ მჩაგვრელ მტარვალებს!..
ხალხი მებრძოლი, ხალხი გმირი სულს მინეტარებს:
ხალხი, შემგნები თავისს ძალის, მაფრთოვნ-მახარებს!..

1906 წ.

* * *

დიდხანს ვიყავით ჩუმადა,
პირში წყალ დაგუბებულნი:
დიდხანს ვიყავით უმწეო
პირუტყვებს დამსგავსებულნი.
დროა გაისმას ჩვენი ხმაც,
კიდით-კიდემდე მქუხარე;
დროა შეიტყოს ქვეყანამ,
რასაც გრძნობს გული მწუხარე!
მიწა და თავისუფლება! —
სხვა გზა არ არის დღეს ჩვენთვის;
ყოველი ჩვენი სურვილი
მხოლოდ ამ ნატვრას შეერთვის!
მიწა — მშობელი დედაა,
თავისუფლება — ჰაერი:
ცოცხლებში აღარ სწერია,
თუ რომ მოაკლდა მათ ერი!..
დიდხანს ვიყავით უღელ ქვეშ,
ქედ მოხრილ-დაჩაგრულები;
დიდხანს ვიტანჯეთ, ვიწამეთ,
ვაფრქვიეთ ცხარე ცრემლები...

დროა, დრო, გვერგოს კვლავ მაინც
სიამე, მხიარულება;
დრო არის მოვიპოვოთ ჩვენ
მიწა და თავისუფლება!..

1906 წ.

პატარა სიმღერები

I

მეგობარო, ვიცი, ვიცი,
რომ ჩვენია გამარჯვება,
მოეღება ბოლო ჩაგვრას
და ქვეყანა განახლდება;
მაგრამ, ვაი, რომ ვიგონებ
საზარ ბრძოლის ამდენ მსხვერპლსა,
კვლავ მევსება სევდით გული
და კვლავ ვაფრქვევ ცრემლზე ცრემლსა!..

II

ვგრძნობ, ჯერ კიდევ გასავლელი
ბევრი გზა გვაქვს ეკლიანი;
მტერი იკრებს კვლავ ძალ-ღონეს
და შორს არის ჯერ მიზანი;
მაგრამ მაინც ნუ შევდრკებით,
გვახსოვდეს, რომ გამარჯვება
როდი ხდება სასწაულით, —
მხოლოდ ბრძოლით იპოვება!

1900 წ.

საქართველო

ყველა სთვლიდა მომაკვდავად,
უმზადებდნენ ბნელს სამარეს
და იყოფდნენ უსირცხვილოდ
მის მშვენიერს არე-მარეს;
ის კი თურმე ძალს იკრებდა
და, ჰა, ფეხზე კვლავ დამდგარი,
იბრძვის თავისუფლებისთვის,
ისევ ისე მხნე, მედგარი!
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
დაქსაქსული, დაყოფილი,
დღეს კვლავ ერთი საქართველო,
ერთ მიზნისკენ მიისწრაფვის,
ერთის გრძნობით გამსჭვალული,
თითქო ცეცხლით და მახვილით
ერთ ემბაზში მონათლული,
და ვით მთიდან გადმოხეთქილ
ზვავის საზარს ძლიერებას,
წინ ვეღარა დაუდგება
ამ საერთო მისწრაფებას!..

1906 წ.

მთას

ნეტა შენ, მთაო, ცას რომ სწვდება შენი მწვერვალი,
ღრუბლებს ზევიდან თეთრ-სპეტაკად გამომზირალი,
და დგეხარ შენთვის, დიდებული, თავისუფალი,
არავის მონა, არც არავის ბატონ-უფალი!
დგეხარ დღიდანვე გაჩენისა და კვლავც იდგები;
ვერას გაკლებენ ათასობით მიმქროლი წლები:

მოდგმა მოდგმას სცვლის შენს გარშემო და ერი ერსა,
შენ კი, რაც იყავ, იგივე ხარ, არ იცვლი ფერსა!
    დილის მზის სხივნი ყველაზე წინ შენ გეხვევიან,
ათას ფრად მბრჭყვინავ ძვირფას თვლებად ზედ გებნევიან
და საღამოსაც, რა გვირგვინად დაგედგმებიან,
კვლავ ყველაზედვე უფრო გვიან გეთხოვებიან!
    შენთვის ერთია, ავდარია, თუ არის დარი,
მყუდროებაა, თუ ზუზუნებს და კვნესის ქარი;
დღეა მშფოთავი, თუ ღამეა, მშვიდი და წყნარი;
მზე დაგქათქათებს, თუ დაგნათის მთვარე, ნარნარი!
    როცა დარია, შორს, შორს სჩანხარ, გაბრწყინებული,
ზღაპრულ, გამჭვირვალ, ლურჯ პირბადეაფარებული;
როცა ავდარი, — შაავის ნისლით ხარ შებურვილი,
თითქო ცოდნისაც, გარს რა ხდება, არ გაქვს სურვილი!
    დე, წვიმდეს, თოვდეს!.. დე, ელავდეს, ქუხდეს, გრგვინავდეს
მთელი ქვეყანა შიშისაგან ძრწოდეს, გმინავდეს
და ცა წალეკვას იმუქროდეს, განრისხებული,
შენ ყურს არ უგდებ, — დგეხარ ისე დამშვიდებული!..
    ნეტა შენ, მთაო ცას რომ სწვდება შენი მწვერვალი,
ღრუბლებს ზევიდან თეთრ-სპეტაკად გამომზირალი!
ნეტა შენ, მთაო, დიდებულო, თავისუფალო,
არავის მონავ, არც არავის ბატონ-უფალო!

1907 წ.

უბეკვი-მებეკველი

    მიყვარს ჭაბუკი, ოცნებითა გატაცებული,
მიწაზე რომ ფეხს არ აკარებს, აღფრთოვნებული:
პაერში მფრენი სდგამს მშვენიერ დარბაზთა წყებას
და ერთის დაკვრით სპობს ამ ქვეყნად ტანჯვა-ვაებას.
    მიყვარს მოხუციც, დაბრძენებულ-დადინჯებული,
განვლილ ცხოვრებით მოქანცული, დამშვიდებული,

ყურს რომ არ უგდებს ამ სოფლიურს შფოთს, მღელვარეპას
და კმაყოფილი, საიმსოფლოს გრძნობს ნეტარებას.
მაგრამ ყველაზე უფრო მიყვარს, როცა პატარა
მეჟღურტულება, თითქო სჩქეფსო წყარო ანკარა,
თითქო ფრინველი, უცნაური, ტკბილად მღერისო,
თითქო ისმის ხმა ზეციურის ჩანგის ჟღერისო!
ჭაბუკის სიტყვა სასიცოცხლო თუ ძალას მმატებს
და მოხუცისა სიკვდილისთვის ნელ-ნელ მამზადებს,
უტყვ-მეტყველ ბავშვის როცა მესმის ღვთიური ხმები,
მრწამს, უკვდავი ვარ, მეც ღვთაების ნაწილი ვხდები!..

1908 წ.

ჩიტები

(ვუძღვნი იაკობ გოგებაშვილს)

მიყვარს პატარა ჩიტი ბეღურა,
ჩვენ სახლის ჭერქვეშ დაბუდებული,
კრუხ-წიწილებში რომ გარეულა
და ეძებს საკენკს გამალებული;
ზამთარ და ზაფხულ რომ არ გეშორდება,
„ჭივ-ჭავ, ჭივ-ჭავ“-ო, დაგვძახის, გვართობს;
ბოსტნებს და ბაღებს თავზედ ევლება,
მწერებს და ჭიებს უწყალოდ აწყობს!
მიყვარს მერცხალიც, კუდმაკრატელა,
გაზაფხულისა მახარობელი,
უსაზღვრო სივრცე რომ გადმოთელა
და კვლავ მოძებნა მხარე მშობელი;
შევხარი იმის მშობლიურს ზრუნვას,
მისს მოძრაობას დაუცხრომელსა;
ცის კამარაში საამოდ ცურვას,
ჭიკჭიკ-გალობას დამატკბობელსა!

მიყვარს ტოროლაც, მღერალი დღისა,
მზის სხივებითა გაბრწყინვებულის;
მღერალი ყანის, მინდორ-ველისა,
აბიბინებულ-ამწვანებულის;
მაღლა, ჰაერში რომ დანავარდობს,
ვით ლამაზ მძივებს, აბნევს ტკბილ ხმასა,
მსმენელს ახარებს, თვითონაც ხარობს,
თითქო აერთებს მიწას და ცასა!
მიყვარს შაშვიცა, შავად მბზინავი,
ეკლის ბარდებში რომ გამოკრთება,
და დროსა მწუხრის ტკბილად მსტვინავი,
თითქოს ლოცულობს, აგალობდება.
მტრედიც, ნარნარი, მშვიდი და წყნარი,
მისი უმანკო გულუბრყვილობა,
მისი ღუღუნი, გრძნობით დამტკბარი,
მისი სიმტკიცე და ერთგულობა!
მიყვარს არწივიც, მეფე ჰაერის,
იქ, ღრუბლებს ზევით, მარტოდ მფრინავი;
გედიც, მშვენება მოელვარე ტბის,
ყელმოღერებით, კოხტად მცურავი;
მოლაღურიცა, ტყეს რომ აფხიზლებს,
მისი წკრიალა ხმა გულსა სწვდება;
მწყერიც, მიწას რომ ფეხს არ აცილებს,
პურის ყანიდან გვეჭუკჭუკება!
და კიდევ უფრო მიყვარს ბულბული,
მგოსანი ტურფა მაისის ღამის,
რომ აჟღერდება, აღფრთოვნებული,
თითქო ისმისო ხმა ციურ ქნარის!
მისი სიმღერა, გამომხატველი
უცნაურ ძალთა დიად ბუნების,
მხიბლავს, მატყვევებს გრძნობის აღმძვრელი,
ამშლელი ათას ტკბილ ფიქრ-ოცნების!..

1909 წ.

მზეს

მზევ ცხოველო, შენი სხივი
ევლებოდა გარს ჩემს აკვანს,
და კვლავაც შენ მასულდგმულებ:
მეც შენ გეტრფი და გცემ თაყვანს!
დილით, ვახელ თვალს თუ არა,
სარკმლისაკენ ვიყურები,
რომ შევიტყო — შენ კაშკაშებ,
თუ ნისლია და ღრუბლები.
თუ შენ ბრწყინავ, თუნდ ავადაც
ვიყო, აღარ მეძინება,
გული მიძგერს აღფრთოვნებით,
სულს სიამე ეფინება!
მიხარიან, რომ ჯერ კიდევ
ცოცხალი ვარ და არ ვკვდები,
რომ ვიხილავ კვლავ ბუნებას,
მის სიტურფით კვლავ დავტკბები.
და, რაც უნდა მაწუხებდეს,
არ უჩანდეს ნაღველს ბოლო,
გულს არ ვიტეხ და მზადა ვარ
მთელ ჯოჯოხეთს შევებრძოლო!
მაგრამ, როცა შენ ვერ გხედავ,
ცას ღრუბელი გადაკვრია
და ქვეყანა ნისლს მოუცავს,
შავბნელ ბურუსს შეუპყრია,
სამწუხაროც რომ არ მქონდეს
გაღვიძება მეზარება,
მსურს მეძინოს... სულ მეძინოს,
ვიდრე ნისლი არ გაქრება,
ვიდრე ცაზე შენი სხივი
ისევე არ აენთება
და ქვეყანაც, ვით სამოთხე,
მრავალფერად დამშვენდება!

მაშ გვედრი კვლავ ხშირად ნუღარ
მიმეფარვი ღონემიხდილს:
უმისოდაც დღემოკლე ვარ —
დე მაშორე ცოცხლად სიკვდილს!

1911 წ.

ვარსკვლავებთან

ცის უსაზღვრო სივრცეს ვუმზერ, ვხედავ ურიცხვ ვარსკვლავთ
კრებულს,
ზოგს მოელვარ-მოკაშკაშეს, ზოგს მიბნედილ-მიმკრთალებულს,
ცალ-ცალკე და ყველა ერთად საამოდ რომ ციმციმებენ, —
ხან უვლიან თითქო ფერხულს, ხან კი ტკბილად ჩურჩულებენ.
და, მგონია, რომ ისინიც მიყურებენ, მიღიმიან,
ესმისთ ჩემი სულის სწრაფვა, თანაგრძნობით ხელს მიწვდიან!
მეც ოცნებით მივფრენ მათკენ და ვერევი მათ ფერხულში
და ვინთქები მათთან ერთად სივრცისა და დროს უფსკრულში!..
ვიშ, ამ ყოფნას, ამ ქვეყნიურ ფიქრ-ზრუნვისა უარმყოფელს,
მაახლოვებს რომ ვარსკვლავებს და მავიწყებს წუთისოფელს!
ვიშ, ამ ყოფნას, თუმც წამიერს, მარა თითქო მარადიულს,
ვარსკვლავებთან რომ ვგრძნობ კავშირს და ერთობას
ჰარმონიულს!
ვიშ, ამ ყოფნას! გაქრა ყველა: აღარც სივრცე, აღარც დროა.
არც ზეცაა, არც ქვეყანა: მხოლოდ ერთი სამყაროა, —
გროვა ურიცხვ ვარსკვლავების და მეც მათთან მიდევს წილი!
ვიშ, ამ ყოფნას, რომ ვეღარ სძლევს ვერც სიცოცხლე, ვერც
სიკვდილი!..

1913 წ.

ჩემი ვედრება

რაც გონს მოვსულვარ ერთი ნატვრა მასულდგმულებდა
და მწარე ყოფნის მძიმე ტვირთსა მიმსუბუქებდა;
ერთის ოცნებით ვიყავ მარად გატაცებული,
ერთის სურვილით გამსჭვალული, აღფრთოვნებული!

ერთადერთ ხატად დავისახე მშობელი მხარე:
ჰას ვცემდი თაყვანს, მთელ არსებით ის შევიყვარე
და მსურდა მისი ღირსი შვილი გავმხდარვიყავი, —
მისთვის მეცოცხლა და მისთვისვე მოვმკვდარვიყავი!

მაგრამ, ვაი, რომ განგებამ სულ სხვაფრივ ინება:
გულში ჩამიკლა ჭაბუკობის ტკბილი ოცნება;
შეუბრალებლად გადამტყორცნა უცხოსა მხარეს
და სამშობლოსთვის ეღვრი მარადის ცრემლებსა ცხარეს!

სამშობლოვ, გვედრი, თუ რომ ცოცხალს აღარ მერგება
შენით დატკბობა, შეისმინო ჩემი ვედრება, —
და როცა მოვკვდე, მაშინ მაინც მიმიბარო
და მშობლიურის შენის კალთის ქვეშ შემიფარო,

რომ საუკუნოდ შენ ნაწილად გადაქცეული,
შენს წმინდა მიწას შეუერთდეს ჩემი სხეული
და სულიც მარად ხან მზის სხივად თავს გეფრქვეოდეს,
ხან, ქმნილი ცრემლად, ციურ ნამად გეპკურებოდეს!

1914 წ.

ძველი ტყე

ქარიშხალია! წვიმს, ელავს, გრგვინავს
და გარს ყველაფერს მუსრავს გრიგალი;
მეფობს წყვდიადი, ხარობს სიკვდილი,
რომ ჩინებული ხვდა მოსავალი!

მაგრამ კვდებიან მხოლოდ ფოთოლნი,
უწყალოდ რომ გლეჯს და აბნევს ქარი,
თვით ძველი ტყე კი კვლავ ცოცხალია
და დგას კვლავ მტკიცედ შეუპოვარი!

მის ათას წლობით არსებობის დროს
მის თავს ბევრ გრიგალს გადაუვლია,
მაგრამ არა თუ ვერ შეუმუსრავს,
ფერიც კი ოდნავ ვერ შეუცვლია!

და საქართველოც ხომ ძველი ტყეა
და ფოთოლნი კი, ძირს რომ სცვივიან,
მისი შვილები, მის სადიდებლად
დღეს რომ გმირულად იხოცებიან!

ცოცხლობს ძველი ტყე და კვლავ იცოცხლებს,
არის, იქნება საქართველოცა:
ვით განვლილ შავ დროთ ვერ დაუკლიათ,
ვერას დააკლებს ეს მწარე დროცა!..

1915 წ.

გმირი დედა

I

მაღალ კოშკზე ვადმომდგარა
მწუხარებით სავსე ქალი;
ხელით შუბლი დაუჩრდილავს,
მიუპყრია გზისკენ თვალი
და ლოცულობს: „ღვთის-მშობელო,
შენ გავედრებ ჩემს ერთ შვილსო:
ნუ მოაკლებ მფარველობას,
ნუ მომასწრებ მის სიკვდილსო!“
ლოცულობს და დაკვირვებით

ი'ეევ გზისკენ იყურება;
მაგრამ ვერა, ვერსად ხედავს,
ვისიც ნახვა ენატრება!...

II

საზარელი ხმა გაისმა,
რომ მტრის ჯარი ჩვენს სოფლებსო
მოსდებია, ვით კალია,
და უწყალოდ აოხრებსო!
დედამაც მტრის განსაღევნად
გაისტუმრა იმ წამს შვილი;
მას აქეთ კოშკს არ შორდება,
დააავიწყდა ჭამა, ძილი
და უყურებს, როდის ნახავს
მას ბრძოლიდან დაბრუნებულს
და მიიკრავს გულზე ძვირფასს,
სასახელოდ გამარჯვებულს!
დამარცხება და სიცოცხლე
ვერც კი წარმოუდგენია:
დამარცხებულ შვილის ნახვას,
მკვდარი ნახოს, ურჩევნია!

III

ჩუ, აგერ ძლივს მოჰკრა თვალი
ქალმა გზაზე შავს წერტილსა;
დააცქერდა და დარწმუნდა,
რომ მომავალს ხედავს შვილსა;
დარწმუნდა და გამოუთქმელ
სიხარულით გაიმსჭვალა,
მაგრამ, ვაი, რომ ეს გრძნობა
მალე ტანჯვად შეეცვალა,
რადგან მიხვდა, რომ ის ნახა,
რასაც სულ არ მოელოდა:
მისი შვილი თავის რაზმით,
სჩანდა, მტრის წინ გამორბოდა!...

IV

თითქო გაქვავებულაო,
სდგას დედა, ხმაგაკმენდილი,
და ვერ ამჩნევს, რომ მოადგა
კოშკის კარებს კიდეც შვილი..

შვილი

დედა, დედა, მტერი მოგვდევს,
რატომ კარს არ აღებინებ?
ხომ ხედავ, ძლივს მოვაღწიეთ
და რაღაზე გვალოდინებ?
მხოლოდ ახლა გამოერკვა
მწარ ფიქრებში მყოფი დედა
და იმედის გამცრუებელს
საყვედურით გადმოხედა.

დედა

შვილო, რაზე შემარცხვინე,
მომიკიდე ცეცხლი, მწვავი?
მტერი მოგდევს და შენ მორბი,
რომ აქ შეაფარო თავი?!

შვილი

ერთიათასსა ხომ ვერ დასძლევს
და ტყუილად თავს შეაკლავს?!
დაჭრილი ვარ, დაჭრილია
თითიქმის ყველა, ვინც მე მახლავს,
მტრის ჯარი კი ურიცხვია,
ხელში ცოცხლად ჩაგვიგდებენ,
სჯობს ამ კოშკში გავუმაგრდეთ:
აქ ვერაფერს დაგვაკლებენ!

დედა

გასწი უკან!.. რას მიქვია
დამარცხება და სიცოცხლე?
სანამ პირში სული გიდგას,
იდექ მტრის წინ და იბრძოლე!

შვილი

ამ ხელით?!.
სთქვა და ასწია:
სისხლმა იწყო ძირს თქრიალი,
მაგრამ დედამ მოარიდა
ამ სანახავს უცებ თვალი...

დედა

კარგი, დარჩი, მე კი წავალ
და, ვიდრემდის მიძგერს გული,
შენსავით არ მოვაშურებ
სახლს, მტრისაგან დაძლეული!...

ასე უთხრა, ძირს ჩავიდა,
შეჯდა ცხენზე, იძრო ხმალი,
დაიძახა: „უკან მომყვეს,
ვისაც კიდევ აქვსო ძალი!“
და გაჰკურცხლა, რომ იპოვოს
გამარჯვება ან სიკვდილი...
შერცხვა და თან გაჰყვა უკან
დედას თავისს რაზმით შვილი!..

V

მალე მტერიც მოახლოვდა
და მოზვავდა, ვით ღრუბელი...
გმირ დედისგან გამხნევებულთ

გამოიღეს ქართველთ ხელი;
დაერივნენ, ასტყდა ბრძოლა
საშინელი, შესაზარი!..
მეომარის ქალის ნახვამ
მტრის ჯარს დასცა შიშის ზარი, —
გადასწყვიტეს: „ანგელოზი
ეხმარებათ ქართველებსო
და უბრალო მომაკვდაკი
მათთან ბრძოლას ვერ შესძლებსო“.
და, დამფრთხალნი, უკუ იქცნენ,
გამარჯვება დარჩათ ჩვენებს!..
ღმერთო, ღმერთო, გვედრით კვლავაც
ნუ მოგვაკლებ ამგვარ დედებს!..

1890 წ.

ღრუბლები და მთვარე

ერთხელ ღრუბელთ გადასწყვიტეს,
დააბნელონ ბადრი მთვარე
(სჩანს, შეშურდათ, მის სიკეთეე,
სინაზე და სინარნარე!):
შეიკრიბნენ ყველა ერთად,
შეიკუმშნენ მთლად გაშავდნენ
და, მიმავალს თავისს გზაზე,
ღამის მნათობს მედგრად დასდგნენ:
მაგრამ მთვარემ არც შეხედა,
სწრაფ გასცურა ის ადგილი
და დასტოვა ღრუბელთ გროვა
პირში ჩალა გამოვლილი:

გასცურა და ქვეყანასა
მან ნათელი კვლავ მოჰფინა,
ღამის მეჩრის და მგზავრის გულს
სიხარული აგრძნობინა;
ავ ღრუბლებს კი საიდანღაც
მძლავრმა ქარმა დაუბერა,
ცხრა მთას იქით გადაჰფანტა,
ერთ წამსაც არ გააჩერა.

1892 წ.

ყინული

ერთ ზამთრის დილას პატარა
ბავშვმა ნახა, რომ ყინული
ზზეზე ბრჭყვიალებს, საწვიმარ
ღარზედა ჩამოკიდული,
და უთხრა დედას სიამით:
„დედილო, გენაცვალეო,
ეგერ, ალმასი ჰკიდია
და ჩამომიღე მალეო“.
— „მოიცა, შვილო“, სთქვა დედამ:
„მზე კარგად ამოვიდესო
და მაშინ ნახე, შენს ალმასს
აბა რა მოუვიდესო!...“
მართლაც, გათბა დღე თუ არა,
წვეთა დაიწყო ყინულმა
და ისევ დედას მიმართა
პატარამ გაკვირვებულმა:
— „უიმე, დედა, შეხედე,
მოსწვეთავს, წყლად ქცეულიო!“
— „რად გიკვირს, შვილო? დამდნარა,—
თოვლია, გაყინულიო!“

— „მე კი ალმასი მეგონა,
ისე რომ ბრჭყვიალებდაო,“ —
სთქვა გულდაწყვეტით პატარამ. —
„და მისთვის მახარებდაო“.
    დედამ მიუგო: „ჰო, ხშირად
გვატყუებს გარეგნობაო;
მიტომაც არის საჭირო
დაკვირვება და ცნობაო!..“

1892 წ.

ვ ე რ ხ ვ ი

I

    ერთს დაბურულსა, ხშირს ტყეში
ლამაზი ვერხვი ჰხარობდა
და, უმადური ხვედრისა,
დღე მუდამ ასე ამბობდა:
„რა არის ჩემი სიცოცხლე,
ვერ ამომითქვამს სულიო:
ვეება ხეებისგან ვარ
შეკრული, შეხუთულიო;
მე უნდა ვიყო მარტოკა
ტრიალს მინდორზე მდგარიო,
რომ თავისუფლად ჩემს ფოთლებს
აფრიალებდეს ქარიო!..“
შესრულდა მისი წადილი:
ერთხელ მოვიდნენ გლეხები
და მოჭრეს ყველა, რაც იყო
იმ ტყეში დიდი ხეები.

იამა ვერხვსა, რომ ნახა,
სურვილი აღსრულებია,
მაგრამ ეს სიამოვნება
დიდხანს არ გაგრძელებია:
დაჰბერა ქარმა ძლიერად,
ასტყდა გრიგალი, საზარი,
შეინძრა ცა და ქვეყანა,
მიწამ დაიწყო ზანზარი,
და ვეღარ გასძლო, დასუსტდა
ვერხვი, შთენილი ობლადა,
და ამოსთხარა გრიგალმა
ძირიან-ფესვიანადა!
მაშინ კი იგრძნო საბრალომ,
რომ კვლავ ხეებში მდგარიყო,
ასე არ მოუვიდოდა,
მაგრამ გვინ-ღა იყო!

1892 წ.

ბავშვები და მზე

დედამ შვილების ოთახში
ერთს მშვენიერს დღეს შესულმა,
ნახა, რომ ბნელა და ბავშვებს
მიმართა გაკვირვებულმა:
„რისთვის აბნელებთ ამ ოთახს,
თქვენ გენაცვალოსთ დედაო?
დღეის მზეს კაცი დაკარგავს?..
რად არ აჰხადეთ ფარდაო?“

უფროსმა ბავშვმა მიუგო:
„ჩვენ განგებ არ ვხდით იმასო,
რადგან შემოაქვთ ოთახში
მტვერი სხივებსა მზისასო!..
— „სტყუვდებით!“ უთხრა მათ დედამ:
„მტვერი ოთახში არიო
და სიბნელეში იმალვის
თვალისთვის უჩინარიო;
მხოლოდ როდესაც მოხვდება
მზის სხივი, გამოჩნდებაო
და ჩვენც ვგებულობთ რომ ოთახს
გაწმენდა ეჭირვებაო!..“
სწავლაც იგივე მზე არის:
სადაც თავისს შუქს მიაფენს,
თუ სადმე იმალებოდა
სიავე რამე, მყის აჩენს;
მაგრამ, ბავშვების არ იყოს,
უგუნურები ჰფიქრობენ,
რომ სწავლას მოაქვს სიავე
და მის შეზღუდვას ცდილობენ...
და ფარდა უცებ აჰხადა
დასარწმუნებლად დედისა...
მართლაც გამოჩნდა მზის შუქზედ
გროვა და გროვა მტვერისა.

1892 წ.

ბაყაყი

ერთხელ ბაყაყი ტბის პირად
იჯდა და მზეზე თბებოდა;
უეცრად ირემს შეჰხედა,
რომელიც მისკენ მორბოდა,
და ჰკითხა: „რა ამბავია,
ძმობილო, სად იყავიო?“..
— „მონადირენი მომდევენ,
მსურს დავაღწიო თავიო“, —
უთხრა ირემმა და ტყისკენ
გაჰქანდა, გამალებული;
ბაყაყიც მაშინვე ტბაში
გადეშვა, შეშინებული,
და მორთო მაღლა ყიყინი:
— „ვაი ნადირთა ბრალიო!
ერთს წუთსაც არ გვასვენებენ;
სად არის სამართალიო?“
— „ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. ნუთუ შენც
ნადირად მოგაქვს თავიო?
შენგან აბა ვის რა უნდა:
ხორცი, ქონი, თუ ტყავიო?“ —
დასძახა ხიდან კაჭკაჭმა:
— „გაჩუმდი, რა გაყვირებსო?
ბაყაყს ვინ გამოგიდგება?
ირემს მოსდევენ, ირემსო!..“

1894 წ.

კრუზო

როგორც ყველა ფინია,
დიდგული, თავმომწონე
იყო კრუზო, თუმც სულაც
არ შესწევდა ძალ-ღონე;

იმის ყეფას და წაწკანს
არ ჰქონდა დასასრული,
ხან ვის მივარდებოდა,
ხან ვის გაანჩხლებული!
ერთხელ თვალი მოჰკრა მან,
ეზოს გარეთ გასულმა,
უცხო ნაგაზს და ყეფა
დაუწყო გულმოსულმა.
ძაღლმა ჯერ ხმა არ გასცა,
როგორც სუსტს მოუთმინა,
მაგრამ მერე გაბრაზდა
და ისეთი უკბინა,
რომ კრუზო დიდხანს ეგდო
უგონო და ცოცხალი;
თუმც გადარჩა, საშინლად
დასახიჩრდა საწყალი...

1894 წ.

ბ ა ტ ე ბ ი

წყლის პირად მთვლემ, დადინჯებულთ,
დასაკლავად გასუქებულთ,
ბატთ ყვირილი მორთეს უცებ,
ცისკენ კისრებ წაგრძელებულთ:
თან გარბიან და ფრთებს შლიან,
გასაფრენად იწევიან,
მაგრამ ვაი, რომ სიმძიმეს
თავისას ვერ ერევიან!
ყოველ ღონეს თუმც ხმარობენ,
ბობოქრობენ, ხმაურობენ,
მაინც არა გამოდის-რა,
მიწაზედვე ფართხუნობენ.

იქ კი, მაღლა, ცის სივრცეში,
გარეული ბატებისა
გუნდი მოჩანს, თუმც გამხდრების,
მაგრამ თავისუფლებისა.
და მათი ხმა ძგერს ჰაერში,
თითქო ზარის წკრიალია,
თუმცა კვნესა გმინვასა ჰგავს,
მაგრამ თავისუფალია!..
ესენიცა მისთვის შფოთვენ
და ყვირილით აყრუებენ
მთელ ქვეყანას, რომ შორს, ცაში
მიმფრინავ გუნდს უყურებენ.
შური ისმის ამ ყვირილში:
მათ შურთ გარეულებისა
ᲫᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ, თუმც მშივრების,
მაგრამ თავისუფლებისა!..

1902 წ.

ჭინაჭინა

მშვენიერი ზაფხულის დილა იყო. მზეს თუმცა უხვად მოეფინა დედამიწაზე თავისი სხივები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა. ხანდახან ქროდა საამო ნიავი და ჰფენდა გარშემო ბაღებიდან ტკბილ სურნელებას სხვადასხვა ყვავილებისას. დიდი სიმხიარულე იყო ყველგან: სულიერი თუ უსულო სიამოვნებით შეჰხაროდა ამ ბედნიერ დილას.

არც კ-ის სასოფლო სკოლის პაწაწა შეგირდებით მოფენილი ეზო იყო მოწყენილი ამ დილას: ბავშვები უკან არ ჩამორჩებოდნენ საერთო მხიარულებაში სიცოცხლით სავსე ბუნებას და მასთან ერთად დღესასწაულობდნენ ათასნაირ თამაშობაში გართულნი: სულ პატარები ჭრელ პეპელებს დასდევდნენ დასაჭერად, უფრო მოზრდილები რიკტაფელას თამაშობდნენ, ყველაზე უფროსები ბურთს გაეტაცნა და აქეთ-იქით დარბოდნენ თავდავიწყებულნი. სკოლის აივანი სავსე იყო პატარა გოგონებით. ესენი რაღაცეებს აკეთებდნენ — ალბათ თავიანთი ტიკინებისათვის და მხიარულად იცინოდნენ.

აგერ გამოვიდა აივანზე ახალგაზრდა, ცოტა გამხდარი კაცი, ღიმილით გაირ-გამოიარა გოგოებში, ზოგიერთებს კიდეც დაელაპარაკა და მივიდა სვეტთან, სადაც ზარი ეკიდა. გოგოებმა იცოდნენ, რომ ზარის დარკევა იყო საჭირო და თვალებში შესცქეროდნენ მასწავლებელს: არა მე დამარეკინე, არა მეო.

— დარო, მოდი დარეკე! — დაუძახა მასწავლებელმა ყველაზე უფრო პატარა გოგოს, რომელიც კუთხეში იჯდა მარტოდ. გოგოს აქამდის მოწყენილი სახე გაუბრწყინდა, ლოყები გაუწითლდა, თვალები გაუცოცხლდა, ტუჩებმა გაუღიმა. თვალის დახამხამებაზე მიირბინა სვეტთან, ძლივს მოჰკიდა ზარის თოკს ხელი და რამდენჯერმე ჩამოაწკარუნა.

გაიგონეს თუ არა ბავშვებმა ზარის ხმა, მაშინვე მიატოვეს თამაშობა და ყვირილით გაიქცნენ სკოლისაკენ. გოგოები დაროსთან ერთად ბიჭებზე უმალ შევიდნენ სკოლაში. სკოლის კარებთან იდგა მასწავლებელი და უცინოდა მოწაფეებს, რომელნიც მხიარულად მოხტოდნენ მის წინ.

— ბევრი ითამაშე? — ჰკითხა მასწავლებელმა ერთ შეგირდს.

— ბევრი, — მიუგო მან.

— როცა სახლში მიხვიდე, არ დაგავიწყდეს. გააკერინე სახელო, დაგლეჯილია.

ბავშვმა დახედა ჩამოხეულ სახელოს, გაწითლდა და შევიდა სკოლაში.

— სიკო, რად კოჭლობ? — ჰკითხა მეორე შეგირდს მასწავლებელმა.

— ეკალი შემესო ფეხში, — უპასუხა ბავშვმა და აჩვენა გამოგლეჯილ წუღიდან გამოყოფილი ტიტველი ქუსლი.

— მერე ვერ გამოიღე?

— ვერა.

— მოდი ჩემთან, მე გამოგიღებ.

მასწავლებელი და ბავშვი შევიდნენ იქვე ოთახში. პატარა ხანს უკან ბავშვი გახარებული გამოვიდა ოთახიდან და თამაშობით შევიდა სკოლაში.

როცა ყველანი მივიდნენ და დასხდნენ თავთავიანთ ადგილზე, მასწავლებელიც შევიდა; შეგირდები მაშინვე ადგნენ და ერთმა მათგანმა წაიკითხა სწავლის დაწყების წინ სათქმელი ლოცვა.

— დაჯექით! — უთხრა მასწავლებელმა შეგირდებს, როცა ლოცვა გათავდა.

შეგირდები დასხდნენ, მასწავლებელი გაჩერდა შუა ადგილზე. შეგირდებმა ხმა გაკმინდეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრენასაც გაიგონებდა ადამიანი.

— დღეს ჩვენ გვეწვევა ერთი სტუმარი, — ღიმილით დაიწყო მასწავლებელმა: — როცა აქ შემოვიდეს, ყველანი ადექით და, სანამ არ გითხრათ, ნუ დაჯდებით. როცა გკითხოთ რამე, პასუხი თამამად უთხარით, ხმამაღლა, გარკვევით, არ შეგეშინდეთ! ის ერთობ კეთილი კაცია და ბაშვები ძლიერ უყვარს. გკითხავთ მხოლოდ იმას, რაც იცით. ცოდნა კი უნდა მოიხმაროთ, როცა საჭიროება მოიტანს, და დღეს სწორედ საჭირო იქნება მისი მოხმარება, რაც გისწავლიათ. **აბა თქვენ იცით!..**

გაათავა ეს სიტყვები, მივიდა კედელთან, სადაც გამოკიდებული იყო შეგირდების სახელები, და გვარები, და ჩამოიკითხა, რომ გაეგო, ვინ არ იყო დღეს სკოლაში. აღმოჩნდა, რომ ერთი პაწაწა ბავშვის, მიხას, გარდა ყველა იყო.

— ავად ხომ არ არის მიხა, თუ იცით ვინმემ? — იკითხა მასწავლებელმა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და პასუხი კი ვერავინ უთხრა.

II

პაწაწა მიხა ავად არ იყო, მაგრამ სკოლაში წასასვლელად მაინც არ ეცალა. მიხას დედას აციებდა და იმ დილასაც საშინლად გააცივა. მიხას მამა ყანაში იყო წასული და ავადმყოფს მიხას მეტი პატრონი არავინა ჰყავდა. ჯერ ვითომ გაუძალდა მიხას დედა სენს და და სადილის კეთებას მიჰყო ხელი, მაგრამ ფეხებმა და ხელებმა უსუსტეს და იძულებული შეიქნა დაწოლილიყო. დაწვა საწყალი, მოატანია აგრეთვე, რაც რამ ქვეშაგებისმაგვარი მოიპოვებოდა მათ სახლში; მოატანია აგრეთვე, რაც რამ კონკები ებადათ, და დაიყარა ყველაფერი თავზე, მაგრამ არაფერი ეშველა, ვერ გათბა.

— მოდი, შვილო, შენც დამაწვეი. თორემ მოვკვდი სიცივით — უთხრა შვილს აკანკალებულმა დედამ.

მიხა მაშინვე მივიდა და ჩაეკრა დედას. რამდენსამე ხანს ასე იყვნენ დედა-შვილი. გათბა როგორც იქნა მიხას დედა და მიხაც ძირს ჩამოვიდა. ნელ-ნელა სიცხემ უმატა ავადმყოფს და პატარა ხანს უკან ისეთი ბორგვა დაიწყო, რომ რაც ეხურა, ყველაფერი გადაყარა.

— წყალი, წყალი!.. — იძახოდა ყოველ წამს ავადმყოფი და მიხაც აწოდებდა პატარა ხელადით წყალს.

ამასობაში შუადღემ მოატანა, ავადმყოფს ოფლი მოედინა და დაწყნარდა. მიხა თავთით უჯდა და ფიქრებში იყო გართული.

„ახლა რა ამბავია სკოლაში? — ფიქრობდა მიხა:—იქნება, კარგი რამ არის და მე კი წასვლა რა შემიძლია...“

მიხა არ ტყუვდებოდა: სკოლაში მართლა კარგი ამბავი იყო. სტუმარი, რომელზედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეგირდებს. მართლაც ეწვია სკოლას. იგი დაესწრო გაკვეთილებს და შეგირდების ცოდნით კმაყოფილი დარჩა. ბევრმა შეგირდმა საჩუქარიც მიიღო მისგან კარგი სწავლისათვის და მთელმა სკოლამ მასწავლებელთან ერთად მადლობა დაიმსახურა.

„ნეტა ახლა მამა მოვიდოდეს, — ფიქრობდა მიხა, — რომ მე სკოლაში წავიდე!“

მიხამ იცოდა, რომ ახლა გვიანღა იყო, მაგრამ მაინც უნდოდა სკოლაში მისვლა. დიდი ხანი არ იყო, რაც მიხა სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ისე შეუყვარდა სკოლაში სიარული, მასწავლებლის ყურისგდება, სასიამოვნო ამბების კითხვა ახალ წიგნში, რომელიც ანბანის შემდეგ დააწყებინეს, რომ ის დღე, რა დღესაც სკოლაში ვერ წავიდოდა, დღეთ არ მიაჩნდა.

ამ დროს მიხას მამა სიმინდს ბარგლავდა ყანაში. სადილობის დრომ მოატანა და მისთვის კი სადილი კაცს არ მოუქონდა.

„ალბათ კიდევ გააცივა დედაკაცს“, — გაიფიქრა მან, როცა ნახა, რომ აღარავინ მოდის, და მწარედ დაღონებული წავიდა შინისაკენ.

„რა ვქნა რა მოვახერხო, რომ არ ვიცი? — ფიქრობდა გზაზე: — ავადმყოფს მოვუარო, სადილი ვაკეთო, თუ ვთხოვნო? დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!.. მარტოხელი კაცი ვარ და ამდენი საქმე კისერზე მაწევს. რა ვქნა, რომელ ერთს გავუძღვე? ამ დღეებში „ბორჩიკიც“ მომადგება კარებზე ფოსტის ფულისათვის და მე კი ორი გროშიც ვერ მიშოვნია, ქინაქინა ვიყიდო, იქნებ, დედაკაცს ციებამ თავი დაანებოს...“

ამ მწარე ფიქრებში იყო გართული უბედური მიხას მამა, მაგრამ შევიდა თუ არა თავის სახლში, სადაც ავადმყოფი ცოლი დახვდა, მაშინვე ალერსიანად დაეკითხა: როგორა ხარო.

— რაღა როგორა ვარ, საშინლად გამაცია, — ძლივს უპასუხა ცოლმა.

— არაფერია, — ღიმილით უთხრა ქმარმა, — დღეს ან ხვალ საიდანმე ფულს ვიშოვი, ერთი-ორკერ ქინაქინას გადაგაშუშხვინებ და სულ კუდით ქვას ვასროლინებ შენს ციებას.

— ქინაქინა კი არა, ნეტავი. რაც საჭიროა, იმისათვის ვიშოვიდეთ ფულს, — თქვა ავადმყოფმა.

— ვიშოვით, ვიშოვით!.. აბა ხომ ჩვენზე არ შეიკვრის ქვეყანა, — ამბობდა მიხას მამა.

— მამი, რა არის ქინაქინა? — იკითხა მიხამ, ცნობისმოყვარეობით გატაცებულმა.

— წამალია, შვილო. მერე რა წამალი?! დედაშენმა ახლა ერთი წვეთი რომ დალიოს. მაშინვე ფეხზე წამოდგება. — უთხრა მამამ.

მიხა ჩაფიქრდა და გაიტაცა დედის მორჩენის სურვილმა.

„ნეტა ერთი ფულს ვიპოვნიდე დღეს, რომ დედისათვის ქინაქინა ვაყიდინო მამასაო“, — ფიქრობდა მიხა.

— მიხა, შვილო, თუ გინდა, წადი სკოლაში! — უთხრა დედამ მიხას, რადგან იცოდა, რომ სკოლაში წასვლა მიხას არ ეწყინებოდა.

— წადი, შვილო, წადი, უთხრა მამამაც. — წადი, იქნებ ისწავლო რამე და გამოიყენო. თორემ ხომ ხედავ ჩვენს გაჭირვებას? წადი, მე სადილს დაგახვედრებ...

მიხასაც ეს უნდოდა, მაშინვე წამოხტა ზეზე, ჩაიწყო ჩანთაში წიგნები და მხიარული გაექანა სკოლისაკენ.

III

როცა მიხა სკოლაში შევიდა. დაინახა თავისი ამხანაგების გაბრწყინებული სახეები, ბედნიერი მასწავლებელი, კმაყოფილი სტუმარი; დაინახა, რომ მთელ სკოლას რაღაც სადღესასწაულო ფერი დასდებია, — აღარ იცოდა რა ექნა, შემკრთალი გაჩერდა ერთ ადგილზე და მიაჩერდა მასწავლებელს, თითქოს თვალებით შესთხოვს, გამაგებინე, რა ამბავია აქაო.

— მიხას გაუმარჯოს! — დაუძახა მასწავლებელმა ღიმილით:— სად იყავი ამდენ ხანს?

მიხა არაფერს ამბობდა და გაშტერებული იდგა.

— სხვა დროს არ დაგიგვიანია და დღეს როგორ დაგემართა, რომ ამისთანა დღეს გამოგვაკლდი? დღეს ჩვენ გვეწვია სტუმარი, ყველანი

შეძლებისდაგვარად დავხვდით და მადლობა დავიმსახურეთ, შენ კი ასე გვიან მოხვედი... აგრე უნდა მასპინძლობა?..

მიხას თვალები ძირს დაეშვა და ცრემლებით ავსებოდა. რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვათ კიდევ, ის ტირილს დაიწყებდა; მაგრამ ამ დროს მიიხმო სტუმარმა მასწავლებელი და ცოტა ხანს ჩუმად ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ორივენი მიხას უყურებდნენ; მერე მივიდა მასწავლებელი მიხასთან, გადაუსვა თავზე ხელი და უთხრა:

— არა უშავს რა! კიდევ კარგ დროს მოხვედი!

— მოდი, პაწაწავ! — უთხრა სტუმარმა ალერსიანად, მიხას იამა მასწავლებლისა და სტუმრის სიტყვების კილო და თამამად მივიდა.

— აბა, დაიწყე აქედან! — უთხრა სტუმარმა და აჩვენა გადაშლილ წიგნზე ადგილი. მიხა ჯერ ხმის კანკალით შეუდგა კითხვას, მერე და მერე კი გათამამდა და ჩინებულად დაიწყო კითხვა. წაკითხვის მერე სტუმარმა ათქმევინა წანაკითხი და მიხამაც მშვენივრად უამბო ყველაფერი, რაც წაიკითხა. მერე ლექსები ათქმევინეს ზეპირად, მერე საანგარიშო მისცეს. მიხამ თავი გამოიჩინა, ისე კარგად უთხრა ყველაფერი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!—იძახოდა სტუმარი. მასწავლებელი გახარებული იყო მიხას პასუხებით, სტუმარი გაკვირვებული.

გაათავეს მიხას გამოკითხვა.

— საჩუქარი რომ აღარა მაქვს შენთვის! — გულდაწყვეტილი ეუბნებოდა მიხას სტუმარი, — რაც მქონდა, ყველა დავარიგე დღეს.

— ნუ შეწუხდებით, მე მივცემ საჩუქარს თქვენ მაგიერ, — უთხრა სტუმარს მასწავლებელმა.

— თქვენ კი მისცემთ, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემგანაც ჰქონდეს რამე. მე მოგცემთ ფულს და გთხოვთ, ჩემ მაგიერ უყიდოთ, რაც თვითონ სურს.

ამ სიტყვებზე ამოიღო სტუმარმა რამდენიმე თეთრი ფული და მისცა. მასწავლებელმა გამოართვა და მიუბრუნდა მიხას.

— მიხა, ბარემ ახლავე მითხარი, რა გიყიდო ამ ფულით?

— ქინაქინა! — წამოიძახა უცებ გახარებულმა მიხამ. ყველამ ყურები ცქვიტა და გაოცებულებმა შეხედეს.

— რა?—დაეკითხა მეორედ მასწავლებელი, რომელსაც ეგონა, ყურმა მომატყუაო.

— ქინაქინა! — გაიმეორა ბავშვმა.

— იცი მერე, რა არის ქინაქინა? — ღიმილით ჰკითხა სტუმარმა.
— წამალია, — მიუგო ბავშვმა.
— მერე რად გინდა შენ ეგ წამალი? — ჰკითხა მასწავლებელმა.
— დედას აციებს და მამა სწუხს: უფულობას რა ვუყო, თორემ ქინაქინას ვიყიდდი და მოვარჩენდიო.
სტუმარმა და მასწავლებელმა ერთმანეთს შეხედეს...

იმ საღამოს მასწავლებელი და ფერშალი მახლობელ დაბიდან მივიდნენ მიხას სახლში. ფერშალმა ნახა ავადმყოფი, საჭირო წამლები (რასაკვირველია, ქინაქინაც) დაუტოვა და დარიგებაც მისცა, როგორ მოქცეულიყო. მასწავლებელმა კი პატარა სურათებიანი წიგნი მოუტანა მიხას. აუწერელია ის სიხარული, რომელსაც გრძნობდნენ, როგორც მიხას მშობლები, ისე თვითონ მიხა; ამისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და არა გამოთქმა!

კეთილი პეტრე

ერთ მშვენიერ მაისის დილას, როცა ტიტიკომ ჩაი დალია და სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა, დედამ ბარათი მიცა, პატარა ლიზას გამოუგზავნიაო.
„ჩემო ძამიკო, — ეწერა ბარათში: — დღეს ნასადილევს ქალაქს გარეთ მივდივართ სასეირნოდ; გაკვეთილები რომ გაათავო, მაშინვე ჩვენსა მოდი: სადილი ერთად ვჭამოთ და წავიდეთ. ოთხი საათის ნახევარზე გვყავს ეტლი დაბარებული. თუ გიყვარდე, მოდი. თორემ მე რა უნდა ვისიამოვნო მარტომ დიდებთან? აბა შენ იცი, თუ დღეს მასწავლებლებს არ აწყენინებ, თორემ უსადილოდ რომ დაგტოვონ, ვეღარ მოგვისწრებ და მე ძალიან მეწყინება.

შენი მოყვარული და ლიზა“.

დედამ ნება მიცა ტიტიკოს წასულიყო ლიზასთან და ისიც, გახარებული, გაემგზავრა სკოლისაკენ.

„ო, რამდენ ყვავილებს დავკრეფთ, რამდენ თაიგულებს გავაკეთებთ, — ფიქრობდა გზაზე ტიტიკო: — იქნება, მარწყვიც ვნახოთ სადმე და გრძელ ბალახის ღეროებზე აცმულს წამოვუღებ დედას“...

ამისთანა ფიქრებში გართული, მივიდა ტიტიკო სკოლაში და დაჯდა თავის ადგილზე.

გათავდა ერთი გაკვეთილი, მეორე, მესამე, მეოთხე და ტიტიკოს ერთი შენიშვნაც კი არ მიუღია მასწავლებელთაგან. ახლა ერთი გაკვეთილი კიდევ და ტიტიკო გაიქცევა თავისს საყვარელ ლიზასთან, რომელიც, ალბათ მოუთმენლად მიელის.

დაიწყო მეხუთე და უკანასკნელი გაკვეთილიც. ტიტიკო ზის, სულგანაბული, და უსმენს მასწავლებელს...

ო, როგორ გაგრძელდა ტიტიკოსთვის ეს გაკვეთილი! ამას ჰგონია, რომ ერთი საათის მაგიერ რამდენიმე საათი გადააბეს ერთმანეთზეო; ერთობ მოწყინდა ტიტიკოს; ლამის დაეძინოს კიდეც! რა ქნას, არ იცის, რომ როგორმე წაიღოს დრო! ჩუ, რაღაც მოაგონდა ტიტიკოს; გაიღიმა და ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო ლიზას ბარათი და დაიწყო კითხვა, რომ ცოტათი მაინც შეამოკლოს დრო. ტიტიკოს გვერდით მჯდომარე ამხანაგმა რომ შეხედა ამას, ისიც გაიტაცა ცნობისმოყვარეობამ, მიიწია ტიტიკოსკენ და თვითონაც დაუწყო კითხვა ბარათს. კითხვას გაღიმება მოყვა, გაღიმებას — ჩურჩული. ტიტიკოსა და მის ამხანაგს თითქო დააავიწდათ, რომ გაკვეთილზე ისხდნენ და გააბეს მუსაიფი. ეს შეამჩნია მასწავლებელმა, დაინახა აგრეთვე, რომ ტიტიკოს რაღაც ბარათი ეჭირა ხელში— და თვალის დახამხამების უმალ მასთან გაჩნდა. ტიტიკო შეკრთა და უნდოდა ბარათის დამალვა, მაგრამ გვიანღა იყო. მასწავლებელმა დაუჭირა ხელი და გამოართვა ბარათი. სკოლაში სიცილი ატყდა; ტიტიკო კი თავზარდაცემული იდგა. მასწავლებელმა წაიკითხა ბარათი და უთხრა ტიტიკოს:

— ვწუხვარ, რომ ვერ შეასრულე ამ ბარათის მომწერის თხოვნა და ბოლომდის ვერ მოითმინე, რომ შენებურათ ცელქობა არ დაგეწყო. გაკვეთილის შემდეგ ორი საათით დამიტოვებიხარ უსადილოდ.

ტიტიკო გაშრა მწუხარების გამო, მაგრამ რაღას იზამდა?

გაკვეთილი გათავდა. მასწავლებელმა ჩააბარა ტიტიკო სკოლის მოსამსახურე მოხუც პეტრეს და უთხრა, ოთხი საათის შესრულებამდი არ გაუშვა შინაო. ტიტიკოს თვალები ცრემლებით აევსო.

გავიდა ერთი საათი, რომელიც ტიტიკოს მთელ საუკუნედ მოეჩვენა. საბრალო ტიტიკო! მოდგომია პაწაწა სარკმელს და იხედება, დაღონებული, თვალებზე ცრემლ მორეული...

მოისმა ფეხის ხმა და სარკმელთან გამოჩნდა პეტრე.

— პეტრე, რამდენი საათია ახლა? — ჰკითხა ტიტიკომ.

— ჯერ ადრეა, სამი საათი ახლა შესრულდა. ხომ არ მოგშივდა? — ჰკითხა თავის მხრით პეტრემ.

— არა, არ მშია...

—თუ გინდა პურს მოგიტან. — გააწყვეტინა პეტრემ.

— არა, არ მინდა პური; მე სხვა რამ უნდა გთხოვო.

— რა?

— გამიშვი.

— არა არ შემიძლია, — იმნაირი კილოთი უთხრა პეტრემ, რომ თხოვნის განმეორება საჭირო აღარ ყოფილიყო.

— იცი, როგორ არის საქმე? — უთხრა ტიტიკომ და მოუყვა, როგორ მიელის ახლა პატარა ლიზა.

— არ შეიძლება, — ეუბნებოდა პეტრე.

ტიტიკოს გული აუჩვილდა და ტირილი დაიწყო.

— მამა, მამა, — მოისმა ამ დროს პაწაწა ბავშვის ხმა და პეტრესთან მიირბინა ექვსი-შვიდი წლის ვაჟმა.

— ეს გასაღები გამოგიგზავნა დედამ; ჩვენ სხვაგან მივდივართ,— უთხრა ბავშვმა და გაუწოდა გასაღები.

— შენ გენაცვალოს მამაშენი! — დაიძახა პეტრემ, გამოართვა გასაღები და აიყვანა ბავშვი ხელში, რომ ეკოცნა.

— აჰ, აჰ, გამიშვი!.. დედა და დაია ქუჩაში მიცდიან. — ყვიროდა ბავშვი და იწევდა წასასვლელად.

— ა, შე საძაგელო, შენ! — უთხრა პეტრემ და გაუშვა ხელი.

ბავშვი უცებ გაქანდა.

— პეტრე, — მოისმა ამ დროს ტიტიკოს სიტყვები: — ახლა რომ ვისმე დაეჭირა შენი პატარა ბიჭი და დედასთან და დასთან არ გაეშვა, კარგი იქნებოდა? — პეტრეს სახე დაემანჭა ამის გაგონებაზე.

— პეტრე, მეც ისე მინდა ახლა წასვლა, როგორც შენ ბიჭს; მეც ისე მიცდის ლიზა, როგორც იმას უცდიდა დედა და და... გამიშვი,

ჩემო პეტრე, გამიშვი და ყოველთვის შენთვის ვილოცავთ მე და ლიზა.

პეტრემ საათი ნახა. ოთხის ნახევარს ცოტა-ღა აკლდა.

— გამიშვი, ჩემო პეტრე, ჯერ კიდევ მივუსწრებ... — დაიწყო ისევ ტიტიკომ თვალების წმენდით.

— კარგი, კარგი, წადი, მაგრამ ერიდე — მასწავლებელს არ შეეფეთო, — უთხრა პეტრემ და გაუღო კარი.

— შენ გენაცვალე, ჩემო კეთილო პეტრე! — დაიძახა გახარებულმა ტიტიკომ. თვალის დახამხამების უმალ შეახტა პეტრეს კისერზე, ერთი მაგრა აკოცა და გაიქცა ლიზას სახლისკენ...

ტიტიკომ ფეხზე მიუსწრო ლიზას და მის მშობლებს...

პატარა ქველმოქმედი

I

მართამ გააუთოვა ერთი წყება სარეცხი, გამოახვია ზეწარში და უნდოდა მუშტართან წაეღო. მაგრამ ნახა, რომ, უთო ჯერ კიდევ გახურებული იყო და განაგრძო საქმე. მართას საუთოებელი ბევრი ქონდა და არ უნდოდა უთოს ტყუილ-უბრალოდ გაცივება. გააუთოვა კიდევ რამდენიმე ნაჭერი, მაგრამ მოაგონდა, რომ სარეცხის წაღება იყო საჭირო და არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს ისევ არჩია, რომ მუშტარს არ აწყენინოს; გადადვა იქით უთო, რომელიც ისევ, თითქო მის გასახელებლად, ძალიან ცხელი იყო და დააპირა სარეცხის წაღება. ამ დროს ოთახში შემოვიდა სკოლიდან დაბრუნებული, მართას პატარა ვაჟი, კოტე და, დედა რომ წასასვლელად მომზადებული ნახა, უცებ ჩამოიხსნა წიგნების ჩანთა და სიხარულით მოებღაუჭა კალთაზე მართას.

— დედიკო, მეც წამოვალ შენთან, მეც წამოვალ! — დაუწყო ხვეწნა.

— შენ რა გინდა?.. დაისვენე! — უპასუხა დედამ.

— არა, არა, წამოვალ... მე არა ვარ დაღალული, — ემუდარებოდა კოტე. მართა უცებ შეჩერდა, ეტყობოდა, რაღაც ფიქრმა გაუელვა და შეხედა შვილს.

— იცი, რა გითხრა?.. თუ აგრე გულით გინდა სიარული, შენ

წადი მარტო და წაუღე სარეცხი მუშტარს, მე კი დავრჩები და ვაუთოვებ, სანამ უთო არ გაცივებულა.—თქვა მართამ.

—ძალიან კარგი! — აღტაცებით წამოიძახა კოტემ და მივარდა სარეცხს.

— მოიცა, მოიცა, ნელა მოკიდე ხელი, არ გასვარო, ან არა დაკარგო რა!.. აქვე, მეორე ქუჩაზე რომ „ჩინოვნიკი“ დგას, იმას მიუტანე. — უთხრა მართამ და კარგათ გამოხვეული სარეცხი მიცა შვილს.

— ფული გამოვართვა? — ჰკითხა კოტემ, როცა კარში გავიდა.

— თუ მოგცეს, გამოართვი, მანეთი და ერთი შაური მერგება, — მიაძახა მართამ.

— კარგი, კარგი, — ჩაილაპარაკა კოტემ და გაკურცხლა.

— დული, დული, იაბლოკი, ჰაა!.. — დაიყვირა კოტემ, როცა ქუჩაზე გამოვიდა, კოხტად დაიდვა თავზე სარეცხი, თითქო ხილით სავსე გობიაო. და თავმომწონედ წავიდა დანიშნულ სახლისკენ. კოტეს პირველათ დაავალეს მუშტართან სარეცხის წაღება და მის მხიარულობას საზღვარი აღარა აქვს. მაშ, ის დიდია ახლა და შეუძლია დაეხმაროს დედას, რომელიც მუდამ დღე შრომობს: ხან რეცხს, ხან აუთოებს, ხან საჭმელს აკეთებს, ხან მუშტართან მიდის, ხან ბაზარში გარბის და სხვა. დღეიდან სარეცხის წამღებად კოტე იქნება და ამნაირად ცოტათი მაინც მოეხმარება საყვარელ დედას; დაიდებს ხოლმე სარეცხს თავზე და, თითქოს ხილის გამყიდველი კინტოაო, შემოსძახებს: „დული, დული, იაბლოკი, ჰაა!“.. იჰ, იჰ, რა კარგია! რა ბედნიერია კოტე! აქამდის რატომ არ მოიგონა ან თითონ, ან დედამ რატომ არ იფიქრა, რომ სარეცხის წაღება კოტესთვის მიენდო? ჯერ დილაობითაც, სანამ სკოლაში წავა, შეუძლია კოტეს ახლომახლო სარეცხის მიტანა, თვარა სკოლიდან რომ დაბრუნდება, ხომ სულ თავისუფალია და ბიჭებთან კოჭაობას, დედას დაეხმაროს არ ჯობია?.. რასაკვირველია, ჯობია და კოტეც ბეჯითად შეასრულებს თავისს მოვალეობას: არც გასვრის სარეცხს, არც დააბნევს და ისე მიუტანს მუშტარს.

ამნაირ ფიქრებში გართულმა წუთში მიირბინა კოტემ მუშტართან, ჩააბარა სარეცხი, ჩაიჩხრიალა ჯიბეში მანეთის თეთრი ფული და ერთიც შაურიანი და გამობრუნდა უკან, ბედნიერი, რომ პირველი მონდობილება მშვენიერად შეასრულა. მოდის კოტე არხეი-

ნათ ქუჩაზე; მოდის ამაყად და თავმოწონედ. „ჩხრრრ, ჩხრრრ“, გააქვს ჩხრიალი ჯიბეში ფულებს ღა მის ნეტარებას საზღვარი არა აქვს: კოტე ახლა პატარა კი აღარ არის, დედის მომხმარეა, მისი მარჯვენა ხელია და შუაზე უყოფს შრომას. მივა თუ არა შინ, ახლა მეორე წყება სარეცხი დახვდება მზად და წაუღებს მუშტარს.

ამ ფიქრებში იყო კოტე, ხელები ჯიბეში ჩაეყო და თან ფულებს ანგარიშობდა, რომ უეცრათ ქუჩაზე დამჯდარი გლახის საცოდავი ხმა: „გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხავსო“, შემოესმა. გლახა იჯდა ქუჩის პირას და გამვლელ-გამომვლელს მოწყალებას სთხოვდა, მაგრამ გაიარა ერთმა, გაიარა მეორემ, მესამემ, მეოთხემ და არც ერთმა ყურადღება არ მიაქცია გლახის მუდარას. კოტეს შეეცოდა გლახა და გული მოდიოდა მგზავრებზე, რომელთაც თითქო არც კი ესმოდათ გლახის ვედრება. „გულქვავები, საზიზღრები! ფიქრობდა კოტე: რატომ არ აძლევენ თითო გროშს საჭირალოს?... იქნება, დღეს არა უჭამია რა!“ ამ დროს კოტეს ხელს მოხვდა ჯიბეში შაურიანი. „ამოიღე და მიეცი!“—უთხრა გულმა კოტეს. ამანაც მოკიდა შაურიანს ხელი, მაგრამ უცებ შეჩერდა. ფული ხომ მისი არ არის, დედამისისაა. თვითონ კი განა ბევრი აქვთ, რომ გლახებს ურიგონ ფული? არა, კოტე თავს დაღუნავს და ისე გაივლის გლახის წინ, როგორც სხვა მგზავრები მიდიან. მართლაც დაღუნა კოტემ თავი და უნდოდა უცებ გაერბინა მათხოვარის წინ, მაგრამ კიდევ მოესმა გულის შემზარავი: „გამიკითხე, ღმერთი გაგზრდისო“ და შეჩერდა. გლახას ხელი გამოეშვირა და იმისთანა თვალებით უყურებდა კოტეს, რომ ბავშვმა ანგარიშ მიუცემლათ ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო შაურიანი, მისცა მათხოვარს და გაიქცა საჩქაროდ, თითქო უკან მისდევს ვინმეო. „ღმერთმა გაგზარდოს, ღმერთი შეგეწიოს!“ წუწუნებდა გლახა მადლობის ნიშნად, მაგრამ კოტეს აღარაფერი აღარ ესმოდა და მირბოდა. მან არ იცოდა რა ჩაიდინა, კეთილი საქმე, თუ ცუდი? გლახას ფული მისცა, მაგრამ დედას წაართვა; იმ დედას, რომელიც წელებზე ფეხს იდგამდა, სისხლის ოფლში იწურებოდა და ისე ჭამდა პურს, ისე ზრდიდა თავისს კოტესაც. გაირბინა კოტემ რამდენიმე ნაბიჯი და გაჩერდა მოსახვევთან, საიდანაც მოჩანდა მათი სახლი. დგას კოტე და აღარ იცის, რა ქნას, რა მოიგონოს შაურის შესახებ. მართლაც რა უნდა უთხრას დედას? მათხოვარს მივეციო? მერე ვინ უთხრა მიეციო?

არა, კოტეს არ უნდა მიეცა მათხოვრისთვის დედის ფული და ვერც გაუმხელს ამას დედას. მაშ რა უთხრას? არა, რაღა ამ გზაზე დამჯდარა მაინც ეს გლახა? ამის შემდეგ ხომ აღარ ენდობა დედა კოტეს და აღარსად გაატანს სარეცხს? ამნაირად გამოდის, რომ კოტეს არ შეძლებია დედის მოხმარება, უსარგებლო ყოფილა მისთვის; დიახ, კოტე ცუდი ბავშვია: დავალებული საქმე ვერ შეუსრულა დედას, გამოტანებული ფული ვერ მიუტანა და დაუკარგა. დაუკარგა?.. არა, კოტემ კარგად ქნა, რომ მათხოვარს ფული მისცა: ძალიან კარგად, რადგან, იქნება, აქამდის მშიერი იყო საბრალო და ახლა კი შეუძლია პური იყიდოს და ჭამოს, მაგრამ დედასაც რომ ძალიან სჭირდება ფული? რახანია, სახლის პატრონი ქირასა სთხოვს და იმას კი ჯერ ვერ მოუგროვებია მისაცემი ფული. არა, კოტემ ძალიან ცუდად ქნა, რომ დედას შაური მოაკლო; კოტე ცუდი ბავშვია...

დგას კოტე მოსახვევთან ამნაირ ფიქრებში გართული, ხან კმაყოფილი თავისს საქციელით, ხან უკმაყოფილო, და ვერც იქით წასულა, ვერც აქეთ; უნდა სახლში მივიდეს, მაგრამ რა პირით შეხედოს დედას, რა უთხრას, როცა ის კითხავს, შაური რა უყავიო?.. ვინ იცის, რამდენ ხანს იდგომებოდა კოტე ერთ ადგილზე, რომ უეცრათ დედის ხმა არ გაეგონა.

— კოტე, კოტე, მანდ, რას აკეთებ? რატომ არ მოდიხარ? — მოესმა კოტეს ნაცნობი ხმა და შეკრთა. მართას უთო გაუცივდა და ხელახლა აღარ გაუხურებია, რადგან დაბრუნდებოდა თუ არა კოტე, პური უნდა ეჭამათ. იცადა მართამ, იცადა და კოტეს მოსვლას რომ აღარაფერი ეშველა, გამოვიდა ქუჩაში, გაიგონა თუ არა დედის ხმა, კოტე, როგორც დამნაშავე, შეშინებული და თავჩაღუნული წავიდა მისკენ.

— რა ქენი, მიუტანე სარეცხი? — ჰკითხა მართამ.

— მივუტანე, — ძლივს ამოილუღლუღა კოტემ.

— ფული მოგცა?

— მომცა, აჰა! — თქვა კოტემ და გადასცა დედას მუჭით თეთრი ფული. მართამ უცებ დაითვალა ფული და შეხედა შვილს.

— შაური? — ჰკითხა მან.

კოტე ხმას არ იღებდა და თავჩაღუნული იდგა.

— შაური? — განუმეორა მართამ. — შაური რა უყავი? — კოტე

მაინც ხმას არ იღებდა. — არ გესმის, რომ გეკითხები? — გული მოუვიდა მართას, მოკიდა ხელი ნიკაპზე და თავი აუწია. კოტეს ცრემლები მოერია.

— შაურიც მოგცა ხომ მუშტარმა და რა უყავი? — კიდევ ჰკითხა მართამ.

— არა, არ... — დაიწყო კოტემ, მაგრამ ცრემლი ყელში მოებჯინა და ვეღარ დაათავა, რის თქმაც უნდოდა.

— არ მოუცია?... როგორ არ მოგცემდა?.. წამო, მაშ წავიდეთ იმასთან! — დაიძახა მართამ, დაავლო ხელი კოტეს და დააპირა მუშტართან წასვლა.

— კი მომცა, კი... — ძლივს ამოიღო ხმა კოტემ.

— მაშ, რა უყავი?.. იყიდე რამე განა, შე საძაგელო, შენა?.. რა იყიდე?.. კაკალი? მაჩვენე ჯიბეები! — ყვიროდა გაგულისებული მართა და უშინჯავდა ჯიბეებს.. მართა გულ-კეთილი ქალი იყო, მაგრამ გაჭირვებას გაესასტიკებინა და გულს წვავდა თავისს ნაოფლარის უბრალოდ დაკარგვა, როცა გარს იმდენი საჭიროება ეხვია.

— არაფერი არ მიყიდია...—თქვა კოტემ და ტირილი დაიწყო.

— მაშ რა უყავი? — არ ეხსნებოდა მართა.

— დამეკარგა, — უთხრა კოტემ ბოლოს.

— როგორ დაგეკარგა, სად დაგეკარგა?.. წამოდი ახლავე და მოძებნე, სადაც დაგეკარგა! — ამ სიტყვებით დაავლო მართამ ხელი ბავშვს და წაიყვანა,—ეძებე, ეძებე!—უყვიროდა გზა და გზა. კოტე ძლივს მიჩანჩალებდა და, გულამომჯდარი, ტიროდა.

— გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხავს! — მოისმა ამ დროს და ორივე დედა-შვილმა მიიხედეს გლახისაკენ. გლახა იჯდა იმავე ადგილზე, ხელში პური ეჭირა; თან ჭამღა და თან ივედრებოდა. კოტეს ჯერ ეწყინა თავისს ტანჯვის მიზეზის დანახვა, მაგრამ, როცა ნახა, რა მადიანად შეექცეოდა გლახა პურს, იფიქრა, ეს ჩემი მიცემული შაურით იქნება ნაყიდიო და კმაყოფილება იგრძნო.

— იქნება შენ ნახე შაურიანი?.. ამ ბავშვს აქ შაურიანი დაეკარგა და შენ ხომ არ გინახავს? — ჰკითხა მართამ მათხოვარს, როცა მიუახლოვდენ. უკანასკნელმა გაკვირვებით შეხედა ჯერ მართას, მერე კოტეს და გაიღიმა. მან იცნო კოტე და მიხვდა ყველაფერს.

— არა, მე არ მინახავს, — თქვა მან.

— აბა რა იქნა? — დაიწყო მართამ: — ამ საძაგელს სარეცხი

გავატანე მუშტართან და მანეთი და ერთი შაური უნდა მოეტანა: მანეთი მოიტანა და შაური — კი დამეკარგაო, მითხრა.

გლახამ შეხედა კოტეს, რომელიც, სრულიად დამშვიდებული, მიჩერებოდა მას. გლახა მიუბრუნდა მართას და ვედრებით უთხრა:

— შაური მე მომცა, ნუ გაუჯავრდები!.. კეთილი ბავშვი ყოფილა, ღმერთმა გაზარდოს და კაი კაცი გამოიყვანოს.

— შენ მოგცა?..—გაკვირვებით წამოიძახა მართამ.

— დიახ, მე მომცა და აი, პური ვიყიდე კიდეც, — უთხრა გლახამ და აჩვენა პური.

— მერე რატომ მაშინვე არ მითხარი, შვილო, თუ გლახას მიეცი, როცა გკითხე, რა უყავი-მეთქი? — ტკბილი ხმით მიუბრუნდა მართა კოტეს და დაუსვა ალერსით თავზე ხელი. — გლახის მიცემა ცუდი არ არის და, რაკი მიეცი, რაღაზე დამიფიცე? მართალია ჩვენ თვითონ გაჭირვებულები ვართ, მაგრამ ეს კიდევ უფრო გაჭირვებულია ჩვენზე. ნეტა ბევრი მოგვცა, რომ ბევრის მიცემა შეეძლოთ...

— ეჰ, — ამოოხვრით დაიწყო გლახამ; — გაჭირვებულს ისევ გაჭირვებული თუ გაიკითხავს. თვარა მდიდარს ჩვენი არა ეყურება რა. დილიდან აქ ვზივარ და ამ ბავშვის მეტს ჩემთვის სამოწყალო არავის მოუცია. ღმერთმა გაზარდოს და კეთილ გულთან იმდენი შეძლება მისცეს, რომ ყოველი გლახისა და გაჭირვებულის გაკითხვა შეძლოს...

მართას სიხარულის ცრემლებით აევსო თვალები; მოხვია ხელი თავის პატარა ქველმოქმედს და ორივე დედა-შვილი მხიარულად წავიდენ შინისკენ...

შენიშვნები

პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ 1884—1885 წლებში გამოდიოდა. სულ 11 ნომერი გამოვიდა. პირველი ნომრიდან მოყოლებული თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა პარმენ ცასელის ლექსები, პოემები. პარმენ ცასელის ოხზულებები გამოქვეყნებულია საყმაწვილო ჟურნალებში: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, ხალიტერატურო კრებულ „გრდემლში“. მისი ბევრი ნაწარმოები შეარნია იაკობ გოგებაშვილმა „დედაენისთვის“, „ბუნების კარისთვის“. პოეტის სიცოცხლეში ცალკე წიგნებად გამოიცა:

1. „შალვას თავგადასავალი“ სამჯერ — 1885 წელს თბილისში, ელ. ტატიშვილის გამოცემა, 1892 წელს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, 1903 წელს ისევ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. სამივეჯერ გრ. ტატიშვილის მსატვრობით.

2. „რამდენიმე ლექსი ცასელისა“. 1891 წელს, თბილისში, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

3. „ზარნაშო“ (ლეგენდა). 1892 წელს, ქუთაისში, ი. სეთერელის გამოცემა.

4. „გურგენ რაინდი“ (ლეგენდა). 1893 წელს, ქუთაისში, ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა. პოეტის დაღუპვის შემდეგ, 1920 წელს თბილისში გამოსცა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

5. „უკეღაეი სარდალი (ლეგენდა) და რჩეული ლექსები“ 1896 წელს, ქუთაისში მ. ლადიძის გამოცემა.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ ცასელის ოხზულებანი გამოიცა საბჭოთა სელისუფლების პერიოდში:

1. „შალვას თავგადასავალი.“ (ლექსები და პოემები: მსატვ. მ. თარიშვილი) ანა ღვინიაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. 1936 წელს, თბილისში გამოსცა სახელგამმა უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვთათვის.

2. „ლექსები და პოემები“ (მსატვარი გ. ჭიაურელი) თინა ჯიბლაძის წინასიტყვაობით. 1948 წელს თბილისში გამოსცა საბლიტგამმა უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვთათვის.

3. „საბავშვო ლექსები, პოემები და ივავ-არაკები“. რჩეული (მსატვ. ნ. ფოფსაძე) მარიამ ბურჭულაძის წინასიტყვაობით 1950

წელს თბილისში გამოსცა საპლიტგამმა უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის პაეშეთათვის.

4. „საბავშვო ლექსები, პოემები და ივავ-არაკები". რჩეული. 1955 წელს მეორედ გამოსცა საპლიტგამმა.

5. „ყვავილთ სიმღერა". შეადგინა თამარ თეალჭრელიძემ. 1977 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა".

ამ კრებულში შეტანილი ლექსები და პოემები თითქმის ყველა ეამოცემაშია გამოქვეყნებული.

„დილის ლექსი"

დაწერილია 1882 წელს. გამოქვეყნებულია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში".

„მკერავი გოგოცუნების სიმღერა"

დაწერილია 1883 წელს. ეამოქვეყნებულია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში".

„ბებია და მისი შვილიშვილები"

დაწერილია 1884 წელს და გამოქვეყნებულია 1885 წელს ჟურნალ „ნობათის" პირველ ნომერში სათაურით „ზამთრის სურათი". ამავე სათაურითაა გამოქვეყნებული წიგნში „რამდენიმე ლექსი" 1891 წელს. სათაურით „ბებია და შვილიშვილები" იაკობ გოგებაშვილს შეუტანია „ბუნების კარში".

„ყმაწვილი და ჩიტი"

დაწერილია 1884 წელს და გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ნობათის" მესამე ნომერში სათაურით „ჩიტი და ყმაწვილი". მიწერილი აქვს „აზრი ფრანციზულიდან". ჯერ მოთხრობილია, ნიკომ როგორ დაიჭირა ჩიტი და როგორ ეაუშვებინა ედდამ. შემდეგ მოსდევს ლექსი უსათაუროდ. 1884 წელს ეაზეთ „ივერიის" მეოთხე ნომერში მისეილ ნახიძე წერილში „პედაგოგიური შენიშვნანი" იხილავს მოთხრობას, ავტორს აძლევს შენიშვნებს, მაგრამ არაფერს ამბობს ლექსზე.

„მძინარე დედა"

დაწერილია 1884 წელს. გამოქვეყნებულია 1891 წელს წიგნში „რამდენიმე ლექსი".

„ახალი წელი"

დაწერილია 1884 წელს.

„ყვავილთ სიმღერა"

დაწერილია 1884 წელს.

„რუ ყინულქვეშ"

დაწერილია 1884 წელს გამოქვეყნებულია „ნობათში" იმავე წელს მეათე-მეთორმეტე ნომერში.

(დაე ზეცამ დაპკრას ზარი)

დაწერილია 1885 წელს. გამოქვეყნებულია 1896 წელს წიგნში „უკვდავი სარდალი (ლეონდა) და რჩეული ლექსები".

„ნ ა ნ ა“

დაწერილია 1885 წელს. იგი ცასელმა უძღვნა თავისი ძმის, ანტონის ეაუს, ალექსანდრეს (შემდეგში აკადემიკოსი). უნდა გამოქვეყნებულიყო „ნობათში“, აიწყო კიდეც, მაგრამ ცენზორს ამოუღია. გამოქვეყნდა 1919 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“.

 გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი“

გამოქვეყნებულია წიგნში „უკვდავი სარდალი (ლეკენდა) და რჩეული ლექსები“. 1896 წელს.

„შ ო შ ი ა“

დაწერილია 1886 წელს. გამოქვეყნებულია წიგნში „უკვდავი სარდალი (ლეკენდა) და რჩეული ლექსები“ 1896 წელს.

„შეთე და ნაიბა“

დაწერილია 1836 წელს. გამოქვეყნებულია წიგნში „უკვდავი სარდალი (ლეგენდა) და რჩეული ლექსები“ 1896 წელს.

„მეურმის სიმღერა“

დაწერილია 1891 წელს. აწერია (ღამის სურათი). გამოქვეყნებულია წიგნში „რამდენიმე ლექსი“.

„სოფელს გაეშორდი“

დაწერილია 1894 წელს.

„წ ყ ა რ ო“

დაწერილია 1895 წელს. გამოქვეყნებულია ჟურნალ „ნაკადულში“ მოზრდილთათვის 1906 წლის იელასში. აწერია მიბაძვა.

(ქვეყნის ერთგული ის არის)

დაწერილია 1896 წელს. გამოქვეყნებულია წიგნში „უკვდავი სარდალი (ლეგენდა) და რჩეული ლექსები“.

„ნემს შვილს თამარს“

დაწერილია 1906 წელს.

გამოქვეყნდა წიგნში „ყვავილთ სიმღერა“.

„ილია ჭავჭავაძეს“

ლექსი დაწერილია 1907 წელს ილია ჭავჭავაძის მოკელის გამო.

„ა კ ა კ ის“

ლექსი დაწერილია 1908 წელს. აკაკის იუბილეისა გამო.

„რა დროა?“

გამოქვეყნებულია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“.

„მოუმკელი ყანა“ (თარგმანი ნეკრასოვიდან).

თარგმნილია 1883 წელს.

გამოქვეყნებულია იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“.

„გველი და გლესი“

თარგმნილია 1894 წელს. გამოქვეყნებულია იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“.

პ ო ე მ ე ბ ი

„შალვას თავგადასავალი“

დაწერილია 1884 წელს. 1885 წელს გამოქვეყნდა პირველად

წიგნად. პირველ გამოცემას წინ უძღოდა ორსტროფიანი მაქმარიკა, პირველი სტროფი, როგორც ასლაა, მეორე ასეთი იყო:

ეს მსოლოდ თქვენთვის დავწერე.
ახალ წელს მოსაძღვნობელად.
თქვენსაკე დასასტავად.
და თქვენდა გასარითობელად.

შემდეგ გამოცემებში მეორე სტროფი ამოღებულია.

„მ ს ე ლ ა რ ი“

დაწერილია 1895 წელს. გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „მოამბეში“. ამ პოემას კარგი შეფასება მისცა ჟურნალმა „იკერიამ“. 1895 წელს 272-ე ნომერში წერია: „ეტად მშვენიერი აზრი ატისკროვნებს“ ცასელის „მსედარს“, ხოლო 1896 წლის მეცამეტე ნომერში დაბეჭდილია კიტა აბაშიძის „სალიტერატურო მიმოხილვა 1895 წლისა“, რომელშიც აღნიშნულია: „პოეზიაში ცახელის „მსედარი“ და ვაჟა-უშაკელას „ხის ბეჭი“ იქცევენ ყურადღებას“.

„საბრალო ბაბუა“.

პოემა „საბრალო ბაბუა“ პირველად ლექსად დაუწერია, სულ 52 სტრიქონი და გამოუქვეყნებია 1907 წელს ჟურნალ „ნაკადულში“, მაისრდილთათვის № 8. მერე ეს ლექსი პოემად გადაუკეთებია. ლექსი იწყებოდა სტრიქონით: „ერთსელ ფიქრებით მოცულმა“ და მთავრდებოდა, „და ვსწავლობთ გაკვეთილებსო“. პოემა 1912 წელს გამოუქვეყნებია სალიტერატურო კრებულ „გრდემლში“, წიგნი I. „გრდემლში“ საოაურის ქვეშ მიწერილი აქვს „ამბავი“.

„ვ ა ნ ი ა ა ლ ი“

დაწერილია სიცოცხლის ბოლო წლებში. ისე გამოასალმეს წუთისოფელს, გამოქვეყნება არ დასცალდა. საერთოდ, ბოლო სანებში ნაკლებად აქვეყნებდა ოსზულებებს.

• • •

ღუტუ მეგრელის ლექსები, პოემები, დრამები, ოგაე-ოარაკება, პუბლიცისტური წერილები, თარგმანები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. იბეჭდებოდა 1886 წლიდან „თეატრში“, „იკერიაში“, „კავალში“, „ჯეჯილში“, „ნაკადულში“...

მწერლის პირველი წიგნი — „სურათები ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან“ გამოიცა 1892 წელს ქუთაისის ამსანაგობის მიერ, ხოლო 1893 წელს პეტრე პაველეს-ძე ველეიშვილმა თბილისში გამოსცა მისი ლექსების კრებული „ცრემლები“. „ცრემლებს“ 1894 წელს მოპყვა მოთხრობა „პირველი ტალღება“, რომელიც თბილისში ვა-

მოხცეს ვ. მასსულიამ და ი. კილაძემ. 1897 წელს ისევ ქუთაისში, გამოიცა დუტუ მეგრელის ახალი ლექსების კრებული სათაური „მწარე ფიქრები“.

დუტუ მეგრელის თხზულებები ორ წიგნად გამოიცა თბილისში, 1909 წელს, „ლექსები“, ხოლო 1910 წელს „მოთხრობები“.

ამ გამოცემასთან დაკავშირებით, უფრო ზუსტად, მეორე წიგნზე, 1912 წელს „ხასალსო ვაზეთში“ (№№ 550, 551, 552, 554, 556, 557) დაიბეჭდა იპოლიტე ვართაგავას წერილი „დუტუ მეგრელის მოთხრობები.“ წერილს დართული პქონდა რედაქციის შენიშვნა: „ეარშან შესრულდა 25 წელიწადი, რაც ბ-ნი დუტუ მეგრელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მით უფრო საკულტისმოდ და შესაფერად მიგვაჩნია მის ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვა, რის გამოც სიამოვნებით ეუთმობთ ადგილს ბ-ნი ი. ვართაგავას წერილებს.“

იპოლიტე ვართაგავა ამ წერილში, მართალია, დეტალურად მოთხრობებს აანალიზებს, მაგრამ დუტუ მეგრელის ლიტერატურულ მოღვაწეობას საერთოდ მიმოიხილავს და ასკვნის: „დუტუ მეგრელი სწორედ იმ მუშაკ-მწერლების გუნდს ეკუთვნის, რომელთა ნაწარმოებებს ისტორიული მნიშვნელობა აქვს... დუტუ მეგრელი სხვებთან ერთად გზას უკაფავს, მასალას უმზადებს ჩვენს მომავალ დიდს ეროვნულ მხატვარს. თავისთავადაც მის ნაწარმოებებს, როგორც ეუმანურის იდეებით გაჟღენთილს, თანამედროვე ცხოვრებისათვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.“

წერილში საკმაოდ მკაცრად იყო ნათქვამი, რომ „დუტუ მეგრელი მოთხრობებში ვერ იცავს მსატვრულ ზომიერებას და ხშირად გმირის რეალურს და მშვენიერ სახეს შესამჩნევად ჩრდილავს, სიცოცხლეს არსმევს თავის ძმრალი მსჯელობით და სენტენციით“. მაგრამ კრიტიკოსი გულწრფელად აქებდა მის სამაგალითო მოთხრობებს. „მხოლოდ ამ მოთხრობებში იგი უფრო ზომიერია, მარტივად და მსატვრულად აქვს ცხოვრების სურათები აღწერილი. ეს მოთხრობები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და კეთილშობილი გრძნობის სიტკბოებას აგრძნობინებს მას.“

ასეთ მოთხრობებად მიჩნეულია „კეთილი პეტრე“, „პატარა ქველმოქმედი“ და „ქინაქინა“.

მოთხრობა „ქინაქინა“ თავიდანვე აღიარეს საუცხოოდ. „მაღალი აზრი, უწმინდესი გრძნობა, მშვენიერი ფორმა, ტექნიკა, მარტივობა, ბუნებრივობა აქ ერთად შესამებულ-შეზავებულია და აღმოუფსვრელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ამ მოთხრობებში დუტუ მეგრელის ნიჭი უნაკლოდ გამოკაშკაშებს და რომ მას ამ მოთხრობის მეტი არაფერი დაეწერა, მაინც ჩვენს ლიტერატურაში მისი სახელი უკვდავი იქნებოდა.“ — წერს იპოლიტე ვართაგავა.

1921 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ეამოსცა დუტუ მეგრელის „მოთხრობები.“

1932 წელს გამოიცა ასალი ლექსების კრებული „ჩემი სიტყვა“, 1937 წელს „საყმაწვილო მოთხრობები“, 1948 წელს სერვი ჭილაიას რედაქციით გამოიცა „თხზულებანი,“ ამავე წელს სასკოლო ბიბლიოთეკის სერიით გამოვიდა „მოთხრობები.“

ამ წიგნში შეტანილია თხზულებები, რომელთაგან ზოგი თვითონ მწერალმა მიიჩნია საყმაწვილოდ, ზოგი კი ყმაწვილებმა მიიჩნიეს სათავისოდ.

„ყმაწვილი და მგოსანი“

დაწერილია 1886 წელს. გამოქვეყნებულია 1909 წელს გამოცემულ „ლექსებში“. იქაც „ნაწყვეტი“ აწერია, მაგრამ უფრო ვრცელია. მთავრდება ლექსი ყმაწვილის სიტყვით: „ეცანი, მგოსანო, ეცანი შენი დანიშნულება...“ და ყმაწვილი შიშს გამოთქვამს, ვაი თუ სანამ შენსას მიაღწევ, მტერმა საწადელი აისრულოსო. ამ სახით როგორც აქაა წარმოდგენილი, გამოქვეყნებულია 1948 წელს წიგნში „დუტუ მეგრელი. თხზულებანი. სასელგამი“.

„მტარვალს“

დაწერილია 1886 წელს. გამოქვეყნებულია 1892 წელს წიგნში „ცრემლები“, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს „თხზულებანში.“

„შავ ზღვას“

დაწერილია 1887 წელს, როცა დუტუ მეგრელი სწავლობდა ოდესაში. გამოქვეყნებულია 1892 წელს წიგნში „ცრემლები“, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

(...ბუნებავ, რისთვის ადღონებულსარ...)

დაწერის თარიღად უზის 1888 წ. გამოქვეყნებულია წიგნში „ცრემლები“ 1892 წელს მსოლოდ პირველი ნაწილი. 1909 წელს „ლექსებში“ მეორე ნაწილიცა აქვს დამატებული „საშობლოვ, რისთვის შეწუხებულსარ...“ და ისეა გამოქვეყნებული.

„ჩემი სიმღერა“

დაწერილია 1889 წელს. გამოქვეყნებულია წიგნებში 1909 წელს „ლექსები“ და 1948 წელს „თხზულებანში“.

„ჩემი სურვილი“

დაწერილია 1889 წელს. გამოქვეყნებულია 1892 წელს წიგნში „ცრემლები“ უსათაუროდ: იწყება ასე: „მე არ მსურს მოვკვდე...“ სათაურით გამოქვეყნებულია 1909 წელს „ლექსებში“ და 1948 წელს „თხზულებანში“.

„დ. ყ.-ს სიკვდილის გამო“

ლექსი დაწერილია 1889 წელს, დიმიტრი ყიფიანის დაღუპვიდან ორი წლის შემდეგ. გამოქვეყნებულია 1892 წელს წიგნში „ცრემლები“ და სათაურად აქვს „№-ის სიკვდილზე“. ლექსი საგრძნობლადაა შემდგომ გამოცემაში, 1909 წელს შეცვლილი, სათაურიც „დ. ყ.-ს სიკვდილის გამო“ აწერია. „ცრემლებში“ ლექსი ოთხი სტროფია.

მოპკვლა ის, ვინც სალსას ტკივილს
პურძნობდა, თითქო თვით ხტკიოლა,
მის ცრემლს თვისაც შეუერთა,
იმასთან ერთად ხტარიოდა.
მოპკვლა იგი, ვინც ეწამა
თვის აზრისთვის, იდეისთვის,
ვინც თავი არ დაიშურა
მსხვერპლად დასავრულ ერისთვის.
მოპკვლა უკვე დიდი ხნის წინ
მაშულისთვის ძალად მკვლარი,
გაპქრა ამ საზარ წყვდიადის
მანაითობელი ლამპარი.
მოპკვლა, გაპქრა, აღარ არის,
მწვალებელნო, გაიხარეთ,
ტანჯულნო და დასავრულნო,
იმოთქმეთ და ცრემლი დვარეთ!..

...(მაღლობზე მდგარი...)

დაწერილია 1890 წელს, გამოქვეყნებულია 1892 წელს წიგნში „ცრემლები", 1909 წელს წიგნში „ლექსები", 1948 წელს წიგნში „თხზულებანი". „ცრემლებში" დასაწყისი ასეა: „მაღლობზე მდგარი, როს ჩემ წინ გაშლილს ვხედავ სამშობლოს მდიდარ ბუნებას..." 1909 წელს წიგნში „ლექსები" კი იწყება: „როს სერზე მდგარი ჩემ წინ გაშლილს ვხედავ..." და მთავრდება: „სიმღერა, წმიდა ერმნობით აღსილი!.."

„მთის წყარო"

დაწერილია 1890 წელს და გამოქვეყნებულია იმავე წელს „ჯეჯილის" მესამე ნომერში, 1892 წელს წიგნში „ცრემლები", 1909 წელს წიგნში „ლექსები", 1948 წელს წიგნში „თხზულებანი".

„ს ა ლ ა მ ი"

დაწერილია 1890 წელს სოფელ ლაშეში, გამოქვეყნებულია წიგნში „ცრემლები" 1892 წელს, წიგნში „ლექსები" 1809 წელს, წიგნში „თხზულებანი" 1948 წელს.

(შემოდგომის სუსხმა დაპკრა)

დაწერილია 1890 წელს. გამოქვეყნებულია 1892 წელს წიგნში „ცრემლები", 1809 წელს წიგნში „ლექსები," 1948 წელს წიგნში „თხზულებანი".

(ცას გადაპკრია ღრუბელი)

დაწერილია 1891 წელს, გამოქვეყნებულია წიგნში „ცრემლები" 1892 წელს, გაზეთ „ივერიაში" 1893 წელს 27 იანვარს. წიგნში „ლექსები" 1909 წელს, წიგნში „თხზულებანი"" 1948 წ.

„პ ო ე ტ ი“

დაწერილია 1892 წელს, გამოქვეყნებულია წიგნში „მწარე ფიქრები“ 1897 წელს, წიგნში „ლექსები“ 1909 წელს, წიგნში „თხზულებანი“ 1948 წელს.

(ბოდის, ბოშსუის...)

დაწერილია 1893 წელს, გამოქვეყნებულია წიგნში „მწარე ფიქრები“ 1897 წელს.

„ორი დედა“

დაწერილია 1893 წელს. გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები“, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს „თხზულებანში“. 1897 წელთან შედარებით 1909 წელს ლექსიდან ამოღებულია ორი სტროფი:

ოცი წლის ძლიერს იქმნებოდა,
როცა მოუკვდა მას ქმარი
და მეღა დაერჩი მსოლოდ
ნუგეშად ძუძუმწოვარი.

ქება მას ღირსეულადა,
ჩემლამი თვისი შან ვალი
ვით დედამ, შეასრულა და
აწ ელის შვებას მაშვრალი...

გადაკეთებულია მესამე სტროფი:

ბეორე... მაკრამ მის ამბავს,
სამწუხაროს და ერთობ გრძელს,
ვერ გეტყვით, რადგან ღრო
არ მაქვს და არც აღგილი მიწყობს ხელს,

ამოღებულია მომდევნო სტროფი:

ვიტყვი მხოლოდ, რომ წარსულსა
მარად იგონებს საბრალო
და სტირის, სტირის ჩაგრულსა —
მოსვლე ღმერთო, მადალო!

„გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი“

დაწერილია 1893 წელს. გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები“ სათაურით: „გაზაფხულია!“ 1909 წელს წიგნში „ლექსები“ სათაურით: „გაზაფხული“. ასევე 1948 წელს წიგნში — „თხზულებანი“.

„ჩემი სიმღერა“

დაწერილია 1893 წელს. გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები“, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„გაზაფხულის მზეს“

დაწერილია 1893 წელს. გამოქვეყნებულია 1895 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეორე ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„ქართველი დედის ლოცვა“.

დაწერილია 1894 წელს და იმავე წელს გამოქვეყნებულია ჟურნალ „ჯეჯილის“ მეექვსე ნომერში. ლექსს სათაურად აქვს „დედის ლოცვა“. 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები“ სათაურად ისევ „დედის ლოცვა“ აქვს, 1909 წელს წიგნში „ლექსები“ სათაურად „ქართველი დედის ლოცვა“ აქვს.

„ს ა მ შ ო ბ ლ ო ს“

დაწერილია 1894 წელს, გამოქვეყნებულია უსათაუროდ წიგნში „მწარე ფიქრები“ 1897 წელს. ბოლო სტროფი მაშინ ასე ჟღერდა:

მინდოდა, მაგრამ, ვაი, რომ
არ შემისრულდა სურვილი
და გულშივე უნდა ჩაიტანა
ჯერ სანად ჩემი სურვილი.

1909 წელს წიგნში „ლექსებში“ სათაური აწერია და ბოლო სტროფიც შეცვლილია. უკანა თხუთმეტი წელი იყო. მწერალი უცხო ქვეყანაში მუშაობდა და ამიტომ გადაწყვეტილი ექნება სამშობლოში დაბრუნებისა.

(მინდა ვთქვა რაზე)

დაწერილია 1894 წელს, გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები“, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს „თხზულებანში“.

„ოლთისის ცისას“

დაწერილია 1894 წელს, გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები“, 1909 წელს „ლექსებში“, 1948 წელს „თხზულებანში“.

„სამშობლოს“

დაწერილია 1894 წელს, გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები“, 1909 წელს წიგნში „ლექსები“ და 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“. პირველ წიგნში ლექსს ბოლო ორი სტროქონი ასე იყო: „და მისი აწმყო... და ის სურვილი“

„შავი ღრუბლები“

დაწერილია 1895 წელს, წიგნში „მწარე ფიქრები“ 1897 წელს გამოქვეყნებულია უსათაუროდ, იწყება ასე: „შავო ღრუბლებო, ხაძაკლებო..“ მთავრდება „და ჩვენც კვლავ ცული ალარ ვაჩალოდეს“. შემდგომ გამოცემებში: 1909 წელს „ლექსებში“ და 1948 წელს „თხზულებანში“ სათაური აქვს და ბოლოც შეცვლილია.

„დედა და შვილი“

დაწერილია 1895 წელს, გამოქვეყნებულია ჟურნალ „ჯეჯილის“ 1896 წლის მეორე ნომერში. შემდეგში ლექსიდან ამოიღო შემდეგი სტროფები:

ზარმაცობა არ დაიწყო
და სირცხვილი არ მაჭამო,
სომ იცი, რომ გული წყლული
შენით უნდა დავიამო.
ღმერთი მრავალ-მოწყალეა:
რემ სიქვრივეს, შენს სიობლეს
შეიბრალებს და მოვა დრო,
ვეღირსებით ტკბილ სიცოცხლეს.
როდესაც შენ დაბრუნდები,
ნამღვილ კაცად გარდაქმნილი,
ერთმანეთსა კვლავ ჩავიკრავთ
ბედნიერი დედა-შვილი.

ასე გამოუქვეყნებია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები". ასევეა გამოქვეყნებული 1909 წელს „ლექსებში". გამოქვეყნებულია 1948 წელს „თხზულებანში".

(ქარი ქრის).

დაწერილია 1896 წელს. გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები", 1909 წელს წიგნში „ლექსები", 1948 წელს წიგნში „თხზულებანი".

(ორბელიანის სამსატვრო ნაჭი...)

დაწერილია 1896 წელს. გამოქვეყნებულია 1897 წელს წიგნში „მწარე ფიქრები", 1909 წელს წიგნში „ლექსები", 1948 წელს წიგნში „თხზულებანი".

„მეფე ირაკლი II-ს"

დაწერილია 1898 წელს მეფე ერეკლე მეორეს სიკვდილიდან ასი წლის შესრულების გამო. გამოქვეყნებულია 1909 წელს „ლექსებში", 1948 წელს „თხზულებანში".

„სატვრა"

დაწერილია 1898 წელს. გამოქვეყნებულია ჟურნალ „ჯეჯილის" 1899 წლის პირველ ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები", 1948 წელს წიგნში „თხზულებანი".

„ნ ა ნ ი ნ ა"

დაწერილია 1899 წელს. მიძღვნილია ეკასადმი. გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ჯეჯილის" მეორე ნომერში, 1909 წელს „ლექსებში", 1948 წელს „თხზულებანში". აქეს დუტუ მეგრელს ეკასადმი მიძღვნილი მეორე ლექსიც, რომელიც დაუწერია ეკას გარდაცვალების გამო.

„დიმიტრი ყიფიანს"

დაწერილია 1899 წელს. გამოქვეყნებულია 1909 წელს წიგნში „ლექსები" და მიწერილი აქეს „მასი საფლავის კურთხევის გამო." 1948 წელს „თხზულებანში" არაფერი აქეს მიწერილი.

„24 ოქტომბერი. 1899 წელი“

ეს ლექსი დაწერილია დიმიტრი ყიფიანის საფლავზე ძველის გასსნის დღეს და გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეოერთმეტე ნომერში. შემდგომში ლექსიდან ამოუღია პირველი სტროფის მომდევნო ორი შემდეგი სტროფი:

მთაწმინდა ღღესასწაულობს,
შორს ისმის რეკვა ზარისა
და ხალსშიც ყოველი მსრიდან
მიდის და მიუსარისა.
აი, გაივსო კიდეკვაც
ძოელი მთაწმინდის მიდამო...
ყველას თვალებში გამოკრთის
სევდა. თან ვრცნობა ხალმი.

და ბოლო სტროფში შეუცვლია სტრიქონი „ვრცხაც იქ ხალსი ლოცულობს!“

გამოქვეყნებულია წიგნში „ლექსები“ 1909 წელს და წიგნში „თხზულებანი“ 1948 წელს.

„გაზაფხული და საპყრობილე“

დაწერილია 1901 წელს. გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერში, 1909 წელს „წიგნში „ლექსები“, 1949 წელს წიგნში „თხზულებანი“. „ჯეჯილში“ პირველი სტროფის ბოლოს ნაცვლად „ვრძნობს სიამეს, სიყვარულსა“ წერია „ვრძნობს სიამე-სიხარულსა“ და მეორე სტროფის სტრიქონში ნაცვლად „ისევ ისე“ — „ჩვეულებრივ“.

„პატარა ქართველი“

დაწერილია 1901 წელს. გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეათე ნომერში. ლექსი სათაურით „საყვარელი ხაშბლო“ იაკობ გოგებაშვილმა უცვლელად შეიტანა „დედაენაში“. ღღეს ამ ლექსს „მე პატარა ქართველი ვარ“ სათაურით იცნობენ, რადგან მას თაეიდანვე მღერიდნენ. მწერალი ბაბილინა სოსიტაშვილი იგონებს: „ჩვენი დიდებული მწიკნობარი წინაპრების წარმტაცი ენა ჩვენთვის უცნობი იყო. თითქოს ქართველობა არც საუკეთესო ყოფილიყოს, თითქოს ქართველთ არც ისტორია ვექონდეს და არც კაზმული სიტყვიერება! გერმანელი მასწავლებელი გვასალისებდა მოკრძალებულ მოსწავლეებს, ქართული სიმღერები იმღერეთო და ღები ჯაფარიძეები თუ ანდრონიკაშვილებიც ბედავდნენ: მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი... ემღერეთ“. (ბ. სოსიტაშვილი — „მშობლიური სოფლიდან დედაქალაქში“. 1964 წ.).

„წ ყ ა რ ო“

დაწერილია 1904 წელს. გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ნაკადულის“ მეცხრეწლოვანთათვის მესამე ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“.

„ნ უ გ ე შ ი“

დაწერილია 1906 წელს, გამოქვეყნებულია 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„პროშეიოსი“

დაწერილია 1906 წელს, გამოქვეყნებულია 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

(ხალხი ლაპარაკობ...)

დაწერილია 1906 წელს, გამოქვეყნებულია წიგნში „ლექსები“ 1909 წელს, წიგნში „თხზულებანი“ 1948 წელს.

(დიდხანს ვაყვავით ნუშადა)

დაწერილია 1906 წელს, გამოქვეყნებულია წიგნში „ლექსები“ 1909 წელს, წიგნში „თხზულებანი“ 1948 წელს.

„პატარა სიმღერები“

დაწერილია 1906 წელს, გამოქვეყნებულია წიგნში „ლექსები“ 1909 წელს, წიგნში „თხზულებანი“ 1948 წელს. ამ სათაურით სხვადასხვა სასაათის ლექსები დაუწერია დუტუ მეკრელს სხვადასხვა დროს: 1900, 1901, 1904, 1908 წლებში...

„საქართველო“

დაწერილია 1906 წელს, გამოქვეყნებულია წიგნში „ლექსები“ 1909 წელს, წიგნში „თხზულებანი“ 1948 წელს.

„ე თ ა ს“

დაწერილია 1907 წელს. გამოქვეყნებულია 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„უტყვი-მეტყველი“

დაწერილია 1908 წელს. გამოქვეყნებულია 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„ნ ი ტ ე ბ ი“

დაწერილია 1909 წელს. გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ნაკადულში“ (მოსრდილთათვის), 1909 წელს წიგნში „ლექსები“. 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“. ლექსი მიძღვნილია იაკობ გოგებაშვილისადმი.

„ა ს ე ს“

დაწერილია 1901 წელს. გამოქვეყნებულია 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„ვარსკვლავებთან“

დაწერილია 1913 წელს.

„ძველი ტყე“

დაწერილია 1915 წელს.

„გმირი ლელა“

დაწერილია 1896 წელს. გამოქვეყნებულია ჟურნალ „ნაკადულში“. 1906 წლის მაისის ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“ და 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„ღრუბლები და მოყარე“

დაწერილია 1892 წელს, გამოქვეყნებულია 1893 წლის ჟურნალ „ჯეჯილის“ მესამე ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„ყ ი ნ უ ლ ი“

დაწერილია 1892 წელს, გამოქვეყნებულია 1893 წლის ჟურნალ „ჯეჯილის“ პირველ ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“ და 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“

„ე ე რ ხ ვ ი“

დაწერილია 1892 წელს, გამოქვეყნებულია 1893 წლის ჟურნალ „ჯეჯილის“ მესუთე ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს „თხზულებანში“.

„ბავშვები და მზე“

დაწერილია 1892 წელს. გამოქვეყნებულია 1893 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“ და მესამე სტროფს მოსდევს შემდეგი სტროფი:

და ფარდა უცებ აესადა
დასარწმუნებლად ლელია ..
მარილიც გამოსნდა მზის შუქზე
ეროვა და ეროვა მტკერისა.

შემდგომში ეს სტროფი ამოუღია.

„ბ ა ყ ა ყ ი“

დაწერილია 1894 წელს, გამოქვეყნებულია 1895 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ პირველ ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“, 1948 წელს წიგნში „თხზულებანი“.

„კ რ უ ზ ო“

დაწერილია 1894 წელს, გამოქვეყნებულია 1894 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეორე ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“.

„ბ ა ტ ე ბ ი“

დაწერილია 1902 წელს, გამოქვეყნებულია იმავე წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეორე ნომერში, 1909 წელს წიგნში „ლექსები“.

„ქ ი ნ ა ქ ი ნ ა“

დაწერილია და გამოქვეყნებული სათაურით „ქინაქინა“ წიგნში „სურათები ჩვენი სალხის ცხოვრებიდან“ 1892 წელს. 1910 წელს გამოცემულ მოთხრობებში შეტანილია სათაურით „ქინაქინა“. ასევე შეტანილი იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“.

„კეთილი პეტრე“

დაწერილია და გამოქვეყნებულია 1894 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მესამე ნომერში. 1910 წელს წიგნში „მოთხრობები“. 1921 წელსაც წიგნში „მოთხრობები“.

„პატარა ქველმოქმედი“

დაწერილია და გამოქვეყნებული 1897 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ მეექვსე ნომერში, 1910 წელს წიგნში „მოთხრობები“, 1921 წელსაც მოთხრობების კრებულში.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

პარმენ ცასელი

ლექსები

ღილის ლექსი 15
მკერავი ეოეოცუნების სიმღერა . 16
ბებია და მისი შვილიშვილები . . 17
ყმაწვილი და ჩიტი 18
მძინარე ღედა 20
ასალი წელი 22
ყვავილო სიმღერა 23
რუ ყინულქვეშ 24
*** (ღაე ზეცამ ღაპკრას ხარი) . . 25
ვაზაოსული 27
ნანა 28
შოშია 29
შეთე და ნაიბი 32
მეურმის სიმღერა 33
სოფელს ვავშორდი 36
წყარო 39
*** (ქვეყნის ერთგული ის არის) . . 41
ჩემს შვილს ოამარს 42
ილია ჭავჭავაძეს 44
ალაკის 46
რა ღროა? . . 47
მოუმკელი ყანა . . 47
გცელი და ეალესი . . 48

პოემები

შალვას თავგადასავალი . 49
მსედარი . . . 63
საბრალო ბაბუა . . 68
ვანთიადი . . 79

დუტუ ეეგრელი

ლექსები

ემაწვილი და მგოსანი . . . 87
მტარვალს . . . 89
შავ ზღვას . . . 90
*** (ბუნებაო, რისთვის ადამიანებულსარ) . . . 91
ჩემი სიმღერა . . . 91
ჩემი სურვილი . . . 92
დ. ყ.-ს საკვლილის გამო . . . 93
*** (მაღლობზე მდგარი) . . . 93
მთის წყარო . . . 94
სალამი . . . 95
*** (შემოდგომის სუსხმა დაკარა) . . . 96
*** (ცას ვადაკვრია ღრუბელი) . . . 97
პოეტი . . . 98
*** (ძალის, მომსუის).. . . . 99
ორი ლედა . . . 99
ვაზაფხული . . . 100
ჩემი სიმღერა . . . 100
გაზაფხულის მზეს . . . 101
ქართველი დედის ლოცვა . . . 101
სამშობლოს . . . 103
*** (მინდა ვთქვა რამე) . . . 105
ოლთისის ციხეს . . . 104
სამშობლოს . . . 105
შავი ღრუბლები . . . 106
ლედა და შვილი . . . 107
*** (ქარი ქრის) . . . 109
*** (ორბელიანის სამსატკრო ნაჯი) . . . 109
მეფე ირაკლი II.-ს . . . 110
ნატვრა . . . 111
ნანინა . . . 112
დიმიტრი ყიფიანს . . . 112
24 ოქტომბერი, 1899 წელი . . . 113
ვაზაფხული და საპყრობილე . . . 114
პატარა ქართველი . . . 114
წყარო . . . 115
ნუგეში . . . 116
პრომეთეოსი . . . 117
*** (სალხი ლაჩარი, სალხი მონა მეზიზღებოდა) . . . 118

*** (დიდსანს ვიყავით ჩუმადა...) . . . 119
პატარა სიმღერები 120
საქართველო 121
მოთა 121
უტყვი-მეტყველი 122
ჩიტები 123
მზეს 125
ვარსკვლავებიან 126
ჩემი ვედრება 127
ძველი ტყე 127
ცხარი დელა 128
ღრუბლები და მთკარე 132
ყანული 133
ვერხვი 134
ბიუსვები და მზე 135
ბაყაყი 137
კრუზო 137
ბატები 138

ᲒᲣᲗᲘᲡᲠᲝᲕᲔᲑᲘ

ქანაქანა . . 140
კეთილი პეტრე . . 145
პატარა ქალმოქმედი . 149
შენიშვნები . . 155

ს. ბ. № 585

რედაქტორი მანანა ზუბალაშვილი
მხატვარი ი. დიენოკორცევა
მხატვრული რედაქტორი შ. ღოლაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. შეელაძე
კონტრ.-კორექტორი ე. ლაღაძე
კორექტორი ქ. გუნცაძე
გამომშვები ო. ბუღაძე

გადაეცა ასაწყობად 20.06.80. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.11.81. ანაწყ. ზომა 6×9. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. ნაბეჭდი თაბახი 10. სპ. ქაღალდი № 2. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 7, 21. ხელმავალტარება 9,88. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 741.

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили, № 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი ხატვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР, по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.